პალიტრა მედია

# სარბიელი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 ივლისი **ხუთშაბათი** 2010

№ 158 (13 146) ფასი 60 თეთრი

**კვირას**

## ჰოლანდია — ესპანეთი

ამათგან ერთ-ერთი მუნდიალს პირველად მოიგებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაობა, რომელიც მსოფლიო თასს იმსახურებს!



შაბათს გერმანია-ურუგვაი მესამე ადგილისთვის » გვერდი 2

## თქვა და გაიმარჯვა კიდეც!



» გვერდი 12

## ახალი პრეზიდენტის პირველი მონაგარი




» გვერდი 7

პეპის კონტრაქტი, საეჭვო სესხი, 150 მილიონი კრედიტი

# თაობა, რომელიც მსოფლიო თასს იმსახურებს

## ლიოვს ფრთხილმა ტაქტიკამ არ გაუმართლა, მაგრამ მის გუნდს დიდი მომავალი აქვს

7 ივლისი. დურბანი. მოზეს მაბჰიდა. 60 960 მაყურებელი

### გერმანია-ესპანეთი 0:1

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ფრიდრიხი, ჟ. ბოატენგი (52. იანსენი) - ხედირა (81. გომესი), შვაინშტაიგერი - ტროხოვსკი (62. კროოსი), იოზილი, პოდოლსკი - კლოზე.

**ესპანეთი (4-2-3-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პიკე, პუიოლი, კაპდევილა - ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო (93. მარჩენა) - ინიესტა, ჩავი, პედრო (86. სილვა) - ვილია (81. ფერნანდო ტორესი).

**გოლი:** 0:1 პუიოლი (73)

**გაფრთხილება:** არავინ

**მატჩი დაიწყო:** გერმანია; **დარტყმა:** 6(2)-16(5); **ჯარიმა:** 9-7; **კუთხური:** 6-7; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

### საინტერესო მომენტები

14' - **ჩავიმ** და **ინიესტამ** მარჯვენა ფლანგზე **შვაინშტაიგერისა** და **ჟერომ ბოატენგის** წყვილი გააბითურეს, ინიესტამ საჯარიმოში იდეალურად ჩააწოდა, იქ კი ბურთს **კარლეს პუიოლი** დახვდა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი **მანუელ ნოიერის** კარს მცირე მანძილით ასცდა.

32' - მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ, დისკვალიფიცირებული **თომას მიულერის** შემცვლელი **პიოტრ ტროხოვსკი** შეტევაში ჩართული პირველად ვიხილეთ. „ჰამბურგის" ნახევარმცველმა 25 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ **იკერ კასილიასი** ყურადღებით იყო და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

50' - ჩავის კარგი პასი **ჩაბი ალონსოს** მისამართით და ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა 22 მეტრიდან - ბურთი ნოიერის კარს ასცდა.

58' - უდიდესი ქაოსი გერმანიის ნაკრების დაცვაში! ბურთი **პედროს** მიუვიდა, რომელმაც 18 მეტრიდან დაარტყა. ნოიერმა მისი დარტყმა მოიგერია, მაგრამ **პერ მერტეზაკერმა** ბუნდესმეკარისგან ასხლეტილ ბურთზე რეაგირება დააგვიანა, რითაც ინიესტამ ისარგებლა და მახვილი კუთხიდან კარის გასწვრივ გაისროლა. შორეულ კუთხესთან ბურთისკენ **დავიდ ვილია** ჩასრიალდა და სანტიმეტრები დააკლდა იმისათვის, რომ ბურთი კარში შეეგორებინა.

69' - გერმანიის ნაკრებს ანგარიშის გახსნის ბრწყინვალე შანსი მიეცა! **მესუთ იოზილმა** შესანიშნავი პასით მოძებნა თავისუფალი **პოდოლსკი**, რომელმაც რბილი, მაღალი პასით, კართან თავისუფლად მდგომი **ტონი კროოსი** იპოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ერთი შეხებით საკმაოდ უხეიროდ დაარტყა. ბურთი კასილიასის ნადავლი გახდა.

73' - კუთხური გერმანიის ნაკრების კართან. ჩავიმ მარცხნიდან ჩააწოდა, პუიოლი საჯარიმოში ჩვეულად შეიჭრა, ბურთისკენ „გაფრინდა" და თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან მთელი ძალით „ურქინა", **ხედირა პიკეს** მეურვეობდა და პუიოლზე ვერ გადაერთო, „ბარსელონას" მცველის დარტყმული ვეღარც ნოიერმა მოიგერია - 0:1.

82' - შეტევაში წასულ გერმანელებს ესპანელთა სახიფათო კონტრშეტევა გამოეპარათ და პედროს მეორედ უნდა დაელაშქრა ნოიერის კარი, მაგრამ ძალიან ეგოისტურად მოიქცა, **ფრიდრიხმა** და კროოსმა კი მომენტი განმუხტეს.



გერმანიის ნაკრების ოცნება მეოთხე ვარსკვლავზე დასრულებულია! გუნდი, რომელმაც ინგლისისა და არგენტინის ნაკრებებს კუდით ქვა ასროლინა - დამარცხებულია! თავიდანვე მსოფლიოს ჩემპიონატის ნომერ პირველ ფავორიტად შერაცხული ესპანეთის ნაკრები, არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა მუნდიალის ფინალში. **ჩავის, ინიესტას, ფერნანდო ტორესს, ვილიას** და კომპანიას, ესპანური ფეხბურთის ამ მართლაც ბრწყინვალე თაობას, ისტორიული შანსი აქვს, გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. მსოფლიო თასისთვის **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი კვირას, ჰოლანდიასთან ფინალურ მატჩში იბრძოლებს, გერმანია კი, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, ამჯერადაც მესამე ადგილისთვის გასამართი შეხვედრით (ურუგვაისთან) უნდა დაკმაყოფილდეს. ესპანეთთან ერთად, მსოფლიო თასი არც ჰოლანდიას ღირსებია ოდესმე, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება!

ვისენტე დელ ბოსკემ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფერნანდო ტორესი სათადარიგოთა სკამზე დატოვა, მაგრამ მის ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში არა ალტერნატიული ცენტრფორვარდი **ფერნანდო ლორენტე**, არამედ „ბარსელონას" ახალგაზრდა გარემარბი **პედრო** გაამწესა. შესაბამისად, თავდასხმის შუაში, ეული ცენტრფორვარდის ადგილი დავიდ ვილიამ დაიკავა. უნდა ვთქვათ, რომ ესპანეთის ნაკრების თავკაცის ამ გადაწყვეტილებამ გაამართლა: აქ ნაკლებად ვგულისხმობთ ვილიას ეულ ცენტრფორვარდობას, რადგან ესპანელები, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაინც ჯიუტად აწოდებდნენ მაღალ ბურთებს ვილიას მისამართით, რომელიც ნამდვილად არ გამოირჩევა მეორე სართულზე კარგი თამაშით. არამედ, ვგულისხმობთ პედროს სასტარტოში გამწესებას, რადგან ამ ფეხბურთელმა გერმანელი უკანახაზელები არაერთხელ ააწიოკა და შესაძლოა, მკითხველების დიდმა ნაწილმა პედრო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც კი მიიჩნიოს.

ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** კი, დისკვალიფიცირებული **თომას მიულერის** ნაცვლად, რომელიც, პირდაპირ ვთქვათ, გერმანიას ძალიან დააკლდა, **პიოტრ ტროხოვსკი** ათამაშა და იოგის ამ ნაბიჯმა აშკარად არ გაამართლა, რადგან ტროხოვსკის სახეირო ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია. ლიოვს სათამაშო სქემა არ შეუცვლია, მაგრამ შეცვალა ტაქტიკა. გუშინ ბუნდესგუნდი გაცილებით ფრთხილი იყო, ვიდრე ინგლისთან ან არგენტინასთან. გერმანიის ნაკრები პირველივე წუთებიდან მარტივად შეეგუა მეორეხარისხოვან როლს და მოედნის ცენტრი მეტოქეს დაუთმო. შესვენებისას, ლიოვის ასეთი ფრთხილი და მომლოდინე ტაქტიკა ყველა გერმანელმა ექსპერტმა შეაქო. მათ შორის იყო თვით **ფრანც ბეკენბაუერიც**, მაგრამ როგორც საბოლოოდ დავინახეთ, ეს იყო შეცდომა, რადგან განსხვავებით ინგლისთან და არგენტინასთან მატჩებისა, გუშინდელ შეხვედრაში ერთხელაც არ გვიფიქრია, რომ გერმანიას ესპანეთის დამარცხების რეალური შანსი ჰქონდა. ეს უკვე სულ სხვა ბუნდესგუნდი იყო, რომელიც არც **კარლეს პუიოლის** გოლის შემდეგ აფეთქებულა. კი მოინდომეს და შეუტიეს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ჰგავდა განრისხებული გუნდის რეაქციას. ჩვენ კი გვინდოდა და ვფიქრობთ, სამართლიანადაც ვითხოვდით განრისხებული გერმანიის ხილვას - თორემ ანგარიშს თვითონ რომ გახსნიან, მით უმეტეს, სწრაფი გოლით და მერე კარგად რომ თამაშობენ, ეს უკვე ვიცით. ეს ინგლისთან და არგენტინასთან ვნახეთ!

ბევრი ფიქრობდა, რომ ამ შეხვედრაში ორმხრივი შეტევების კასკადს ვიხილავდით - ესპანეთი ისედაც შემტევ ფეხბურთს თამაშობს, გერმანიამ კი ინგლისთან და არგენტინასთან იმდენად სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა, რომ... მაგრა, რაკი ბუნდესგუნდმა ესპანეთის ძლიერ ნახევარდაცვას ცენტრი დაუთმო, ჩავი და კომპანია გერმანელებს დიდხანს კატათაგვობანას ეთამაშებოდნენ. დელ ბოსკეს გუნდი თამაშის ტემპს აკონტროლებდა, ბურთს ფლობდა და მეტოქეს მეტწილად უბურთოდ არბენინებდა. ხოლო, როცა გერმანელები ბურთს ჩაიგდებდნენ, ესპანელები მათსავე ნახევარზე მიმართავდნენ პრესინგს. შედეგი: გერმანელები ხშირად თავიანთ ნახევარზევე კარგავდნენ ბურთს. ბუნდესგუნდის თამაშის დალაგება ვერც **შვაინშტაიგერმა** შეძლო, რომელიც მუდმივად ბურთს ითხოვდა და თუ ესპანელებმა ერთადერთი გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გაიტანეს, მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანიის ნაკრების დაცვის ცენტრი (**მერტეზაკერი/ფრიდრიხი**) იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ამ დუეტს ესპანელთა მხოლოდ ერთი კომბინაცია გაეპარა.

მეორე ტაიმში გერმანიის ნაკრების უკანა ხაზი ოდნავ აირია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დელ ბოსკეს გუნდმა გამარჯვების გოლი კუთხურიდან გაიტანა. Pუიოლმა გაიტანა გოლი, რომლითაც თავის გუნდს დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

ის, რაც აუცილებლად უნდა ვთქვათ: გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს დიდი მომავალი აქვს, ესპანეთის ნაკრებს კი ჰყავს თაობა, რომელიც უკვე მზადაა და იმსახურებს მსოფლიოს ჩემპიონობას!

### საუკეთესო ფეხბურთელი

კარლეს პუიოლი (ესპანეთი)

**ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ საუკეთესო ფეხბურთელის წოდებას პედროც იმსახურებდა, მაგრამ პუიოლის როლი ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია – იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთადერთი, გამარჯვების გოლი მის ანგარიშზეა. ამასთან, „ბარსელონას" მცველმა თავის უშუალო მოვალეობებსაც ბრწყინვალედ გაართვა თავი.**

### მატჩის შემდეგ

იოახიმ ლიოვი (გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„ესპანეთის ნაკრებს უდიდესი კომპლიმენტები ჩემგან! ვფიქრობ, ეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება და ეს ლოგიკურიც იქნება, რადგან ორი-სამი წელია, ესპანეთს მსოფლიოში საუკეთესო ნაკრები ჰყავს. ესპანეთის ნაკრები ბურთს ისე ათამაშებს, რომ ყველა მეტოქეს უბურთოდ არბენინებს ხოლმე. მუნდიალი ჩვენთვის ჯერ არ დასრულებულა, მესამე ადგილის დაკავება გვინდა. მერვედფინალში და მეოთხედფინალში ჩატარებული ბრწყინვალე მატჩების შემდეგ, იმედგაცრუება უდიდესია, მაგრამ დღევანდელი შედეგი ლოგიკურია. ესპანეთი დამსახურებული ფინალისტია".**

ფილიპ ლამი (გერმანიის ნაკრების კაპიტანი): **„ყველანი შოკში ვართ. მსოფლიოს ჩემპიონობა გვინდოდა, მაგრამ მიზანს ისევ ვერ მივაღწიეთ. პირველ ტაიმში არასაკმარისად ვაჟკაცურად ვუტევდით. დაცვაში კი კარგად ვიდექით, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და ვერც იქნებოდა, რადგან ესპანეთის ნაკრებს შეტევაში უდიდესი პოტენციალი აქვს. სიმართლე გითხრათ, მესამე ადგილისთვის მატჩი ოდნავადაც არ მიზიდავს. მე ფინალში გასვლა მინდოდა..."**

ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„კონკრეტულად არავის გამოვყოფ, მაგრამ ჩემი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელმა დღეს სასწაულად ითამაშა. გერმანიას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ ჩემი შეგირდები უფრო გამოცდილები არიან და ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი გადამწვეტი ფაქტორი იყო. ფინალში, ჰოლანდიასთან რთული თამაში გველის."**

დავიდ ვილია (ესპანეთის ნაკრები): **„ესპანეთის ნაკრებმა დღეს თავის საუკეთესო თამაში ჩაატარა. როგორც ხედავთ, ჩვენ გადამწყვეტ მატჩებში მაქსიმალურად მობილიზება შეგვიძლია. ესპანეთს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში არასდროს უთამაშია და ჩვენ ეს შევძელით. იმიტომ, რომ მართლაც ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელიც ევროპის ჩემპიონია და ახლა მსოფლიოს ჩემპიონობა უნდა."**

გოტფრიდ ლენცი

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384.* ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ურუგვაი-ჰოლანდიის შემდეგ

# დავა სნეიდერის გოლზე

მრავალწლიანი შესვენების შემდეგ, ურუგვაის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა და ძალიან ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ სულაც გადამწყვეტი მატჩი ეთამაშა. თავად ურუგვაელები მიიჩნევენ, რომ **ვესლი სნეიდერის** მიერ გატანილი გოლი არ უნდა ჩათვლილიყო და პირველ რიგში სწორედ ამ უსამართლობის გამო დამარცხდნენ ჰოლანდიელებთან. გავიხსენოთ ის ეპიზოდი და დანარჩენზე შემდეგ ვთქვათ: ვესლიმ საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი და უზუსტესად დაარტყა - ამ დროს, **რობინ ვან პერსი** იდგა თამაშგარის ზღვარზე და თითქოს შეუშალა ხელი **ფერნანდო მუსლერას**, რომელმაც რეაგირება ვერ მოასწრო. ლაინსმენმა ჩათვალა, რომ იმ ეპიზოდში ვან პერსის კიპერისთვის ხელი არ შეუშლია და გოლი ჩაითვალა. თუმცა, ხელის შეშლას რომ თავი დავანებოთ, ისიც საკითხავია, იყო თუ არა საერთოდ ვან პერსი ოფსაიდში. ასეა თუ ისე, ურუგვაელებმა ერთი ამბავი ატეხეს და პრინციპში, ეს სრულიად ბუნებრივია.

სნეიდერის გოლთან დაკავშირებით, თავისი მოსაზრება გამოთქვა **პიერლუიჯი კოლინამ**, რომელიც ძალიან აქტიურად არის ჩართული მუნდიალის საკამათო საკითხების გარჩევაში. აი, რა თქვა ვეტერანმა იტალიელმა არბიტრმა:

*„ფიფას წესდებაში პირდაპირ წერია, რომ თუ სხეულის ერთი ნაწილი მაინც უფრო წინ არის, ვიდრე უკანასკნელი მცველი, მაშინ თამაშგარე მდგომარეობა უნდა დაფიქსირდეს. სნეიდერის გოლის ეპიზოდი არაერთხელ ვნახე, მაგრამ ზუსტი წარმოდგენა არ შემექმნა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან ხანდახან იდეალურ სურათს ვერც ერთი კამერა ვერ გაძლევს. აი, ასეთ დროს კი უპირატესობა შემტევს უნდა მიენიჭოს და ესეც ფიფას წესდებაში წერია. ვან პერსი მეკარეს ხელს უშლიდა? - არა მგონია, კარისგან საკმაოდ მოშორებით იდგა და მეკარის ხილვადობას ხელს ვერ შეუშლიდა. ამ გადასახედიდანაც გოლი უნდა ჩათვლილიყო".*



ყველაზე, ყველაზე...

# მუნდიალის ათი აღმოჩენა

აქამდე გამართულ ყველა მსოფლიოს ჩემპიონატს ჰყავდა თავისი გმირები და ანტიგმირები. ბუნებრივია, გამონაკლისი არც სამხრეთ აფრიკის მუნდიალია, რომელიც დასკვნით ფაზაშია შესული. ძალიან ბევრს ელოდა ხალხი ლიონელ მესისგან, მაგრამ „ბარსელონას" შემტევმა თავი ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრა. რიგ ეპიზოდებში გამოავლინა მაღალი კლასი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი გახლდათ - მისგან ხომ დაახლოებით იმავეს ელოდნენ, რაც დიეგო მარადონამ გააკეთა 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. სამაგიეროდ, შესანიშნავად ირჯებიან მიროსლავ კლოზე, ვესლი სნეიდერი და დავიდ ვილია, რომელთა ნაყოფიერმა თამაშმაც განაპირობა გერმანიის, ესპანეთისა და ჰოლანდიის ნაკრებთა წარმატება. თუმცა, ჩამოთვლილი ფეხბურთელებისგან გულშემატკივრები სწორედ ასეთ გარჯას მოელოდნენ და მათაც გაამართლეს ავანსები. ქვემოთ იმათზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებმაც გადააჭარბეს მოლოდინს და მთელი საფეხბურთო სამყარო გააოცეს. მართალია, ჯერ ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილია თამაშები. მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება უკვე გვაქვს. აქვე აღვნიშნოთ, რომ ჩამონათვალში მხოლოდ ფეხბურთელები არ არიან, პირველ ადგილზე კი სულაც არბიტრია. მაშ ასე, მუნდიალის აღმოჩენები...

## 10. სიფივე ჩაბალალა
**(სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავდამსხმელი)**

**ჩაბალალა** სამხრეთაფრიკულ გუნდში, „კაიზერ ჩიფსში" ასპარეზობს და ბუნებრივია, მის შესახებ აქამდე არაფერი გვსმენოდა. მართალია, მასპინძელთა ნაკრები ჯგუფში ჩარჩა, მაგრამ ამ ფეხბურთელმა ნამდვილად დაგვამახსოვრა თავი. პირველივე შეხვედრაში მექსიკის ეროვნულ გუნდს ულამაზესი გოლი გაუტანა და შევიდა კიდეც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. თავგანწირულად ითამაშა, ბოლომდე იბრძოდა და გარდა იმისა, რომ შეტევაში გახლდათ აქტიური, დაცვასაც ეხმარეობდა. დიდია შანსი, ჩაბალალა რომელიმე ევროპულ გუნდში გადაბარგდეს.

## 9. მილოვან რაიევაცი
**(განის ნაკრების მთავარი მწვრთნელი)**

აფრიკული ფეხბურთისთვის 2010 წლის მუნდიალი ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. მუდმივად გვესმოდა საუბრები იმის შესახებ, რომ შავ კონტინენტზე სპორტის უპირველესი სახეობა დიდი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. შესაბამისად, სამხრეთაფრიკული მუნდიალი ამის ნათელი დადასტურება უნდა ყოფილიყო. ნიგერიელებმა, ჩვენი მთავარი პრობლემა არაორგანიზებულობააო და მწვრთნელად **ლარს ლაგერბაკი** მიიწვიეს. კიდევ უფრო სახელიანი შვედი, **სვენ გორან ერიქსონი** კოტ დ'ივუარის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, ცნობილმა ფრანგმა მწვრთნელმა **პოლ ლე გენმა** კი კამერუნი ჩაიბარა. ვერც ერთმა ვერ მოახერხა ის, რაც გააკეთა **მილოვან რაიევაცმა** და მისმა განამ. გუნდი მეოთხედფინალში გავიდა და რომ არა **ასამოა გიანის** მიერ გაცუდებული თერთმეტმეტრიანი, სულაც ნახევარფინალს ითამაშებდა. სერბ სპეციალისტს და მის შეგირდებს განაში დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ. არადა, რაიევაცის საეჭვო კვალიფიკაციიდან გამომდინარე, განელთა ასეთ წარმატებას ბევრი არ ელოდა.

## 8. მაარტენ სტეკელენბურგი
**(ჰოლანდიის ნაკრების მეკარე)**

ჰოლანდიელები დიდ ხანს ნერვიულობდნენ იმაზე, ვის უნდა დაეცვა ეროვნული ნაკრების კარი **ედვინ ვან დერ სარის** წასვლის შემდეგ. რამდენიმე კიპერი გამოსცადეს, დიდად ვერავინ გამოირჩა და თითქოს შეეშინდათ კიდეც, რომ დაახლოებით იმავე დღეში ჩავარდებოდნენ, როგორშიც ინგლისელები არიან აგერ უკვე რამდენი წელია. თუმცა, მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატმა ნათლად დაგვანახვა, რომ ჰოლანდიელებს სანერვიულო არაფერი აქვთ. მათ ჰყავთ შესანიშნავი მეკარე, რომელსაც კიდევ დიდხანს შეუძლია უმაღლეს დონეზე ასპარეზობა. სტეკელენბურგი 27 წლის გახლავთ, ამსტერდამის „აიაქსის" ღირსებას იცავს და როგორც თავად ამბობს, მუნდიალის დასრულების შემდეგ, კარიერის უცხოეთში, რომელიმე გრანდში გაგრძელებაზე იფიქრებს. მის მიმართ უკვე გამოხატა ინტერესი **ლუის ვან გაალმა** და როგორც ჩანს, ყველა ღონეს იხმარს თანამემამულის მიუნხენის „ბაიერნში" წასაყვანად.

## 7. კეისუკე ჰონდა
**(იაპონიის ნაკრების თავდამსხმელი)**

ის, ვინც ჩემპიონთა ლიგას, ან რუსეთის პრემიერლიგას ყურადღებით ადევნებს თვალს, **კეისუკე ჰონდას** შესახებ მუნდიალამდეც ექნებოდა გაგონილი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფართო მასებმა ის მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიცნეს. ჰონდამ შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშა და გუნდის აშკარა ლიდერად მოგვევლინა. თავი დაგვამახსოვრა ტექნიკური და გააზრებული თამაშით - არც შეტევების დაგვირგვინება ეშლებოდა და არც ზუსტი პასების კეთება. ამასთან, დანიის ნაკრებთან ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმა გაიტანა და ამით, დაამსხვრია მითი იმის შესახებ, რომ „ჯაბულანით" ჯარიმის გატანა შეუძლებელია. მოკლედ, ჰონდამ ყოველმხრივ კარგად წარმოაჩინა თავი და დიდია შანსი, რომელიმე ევროპულ გრანდში მოხვდეს.



რავშან ირმატოვი

## 6. ბერტ ვან მარვიიკი
(ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი)

ვინ აღარ იმუშავა ჰოლანდიის ნაკრებში? - დაწყებული **გუუს ჰიდინკით**, რომელიც მეგა-მწვრთნელის სახელით სარგებლობს და დამთავრებული გამოუცდელი, მაგრამ პერსპექტიული **მარკო ვან ბასტენით**. იყო **ფრანკ რაიკაარდიც**, რომელმაც შემდეგ „ბარსელონა" დამოძლვრა და კატალონიურ გრანდთან ერთად აბსოლუტურად ყველაფერი მოიგო. როდესაც ჰოლანდიის ნაკრები **ვან მარვიიკს** ჩააბარეს, ბევრმა უკმაყოფილება გამოთქვა, რადგან მათ გაცილებით უფრო სახელიანი მწვრთნელის ხილვა სურდათ „ნარინჯისფერთა" სათავეში. თუმცა, გავიდა ხანი და ბერტმა ყველას დაუმტკიცა, რომ ძალიან საინტერესო და მცოდნე მწვრთნელია. მან ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, ეს კი უკვე ნამდვილად ისტორიაა.

## 5. რობერტ ვიტეკი
**(სლოვაკეთის ნაკრების თავდამსხმელი)**

ყველასათვის უცნობმა ფეხბურთელმა შეძლო ის, რაც ვერ გააკეთა არაერთმა მსოფლიო ფეხბურთის აღიარებულმა ვარსკვლავმა. ითავა გუნდის ლიდერობა, გაიტანა უმნიშვნელოვანესი გოლები და ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში გაერია. დიახ, **რობერტ ვიტეკს** ოთხი გოლი აქვს გატანილი და მართალია, საუკეთესო მეგოლე უკვე ვეღარ გახდება, მაგრამ თავისი სახელი აშკარად დატოვა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. ვიტეკი მრავალმხრივად წარმოჩინდა, ფეხითაც შესანიშნავად გაისარჯა და მეორე სართულზეც საუკეთესო თამაში აჩვენა. იცით, სად თამაშობს სლოვაკთა მთავარი ფორვარდი? - თურქულ „ანკარაგიუჯიუში".

## 4. თომას მიულერი
**(გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი)**

გერმანელებმა ძალიან დიდი მადლობა უნდა გადაუხადონ **ლუის ვან გაალს**, რომელმაც **თომას მიულერი** აღმოაჩინა და დიდი ფეხბურთისკენ გზა გაუხსნა. შარშან ამ დროს, ის ჯერ კიდევ „ბაიერნის" დუბლებში იყო და სწორედ ჰოლანდიელი ტაქტიკოსის ინიციატივით, აგვისტოში მთავარ გუნდში აიყვანეს. ვინ იფიქრებდა, რომ ერთ წელიწადში მიულერი არათუ „ბაიერნის", გერმანიის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი დამრტყმელი ძალა იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თომასმა საკლუბო დონეზე შესანიშნავად წარმოაჩინა თავი, მსოფლიოს ჩემპიონატზე მის გაბრწყინებას ცოტა თუ ელოდა. ერთ-ერთი ოპტიმისტთაგანი **იოახიმ ლიოვი** გახლდათ, რომელმაც ახალგაზრდა ფეხბურთელს დიდი ნდობა გამოუცხადა და დაუფასდა კიდეც.

## 3. დიეგო ფორლანი
**(ურუგვაის ნაკრების თავდამსხმელი)**

ფორლანი რომ შესანიშნავი ფორვარდია, ეს მუნდიალის დაწყებამდეც ძალიან კარგად ვიცოდით. თუმცა, აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ მასში ახალი თვისებები აღმოვაჩინეთ - გარდა იმისა, რომ მეტოქის საჯარიმოშია სახიფათო, თურმე სიღრმიდან თამაშიც სცოდნია და თანაც, ძალიან კარგად. სწორედ ამ მუნდიალზე აღმოვაჩინეთ, რომ შესანიშნავი პასი აქვს - ამასთან, უკან დახევა და იერიშების სიღრმიდან დაწყებაც შეუძლია. ყველა სიკეთესთან ერთად, ლიდერის თვისებები გამოავლინა და ურუგვაის ეროვნულ ნაკრებს წარმატებისკენ გაუძღვა. დიდწილად სწორედ მისი დამსახურებაა, რომ სამხრეთამერიკელები ოთხ საუკეთესო გუნდს შორის მოხვდნენ. ფორლანი ისედაც დაფასებული ფეხბურთელი გახლდათ ბევრ კონტინენტზე, თუმცა აშკარაა, რომ მუნდიალის შემდეგ მისი ფასი კიდევ უფრო აიწევს.

## 2. ლუის სუარესი
**(ურუგვაის ნაკრების გარემარბი)**

კიდევ ერთი ურუგვაელი, რომელიც მიმდინარე ჩემპიონატზე საუკეთესო კუთხით წარმოჩინდა. 23 წლის შემტევი ამსტერდამის „აიაქსში" ასპარეზობს და ჰოლანდიაში ძალიან კარგად იცნობენ. თუმცა, საქმეც მაგაშია, რომ მხოლოდ ჰოლანდიაში - ევროპული და მსოფლიო მასშტაბით ის მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიცნეს. აშკარაა, რომ მუნდიალის დასრულებისთანავე მასზე დიდი მოთხოვნა იქნება და „აიაქსის" მესვეურებს სერიოზული შეტევის მოგერიება მოუწევთ. თუმცა, თუ ამ კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას გავითვალისწინებთ, ალბათ სარფიანადაც გაყიდიან. ერთი სიტყვით, სუარესი სამხრეთამერიკული მუნდიალის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა.

## 1. რავშან ირმატოვი
**(უზბეკი არბიტრი)**

სამხრეთაფრიკული ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენა მაინც **რავშან ირმატოვია**. გამოცდილი უზბეკი რეფერი, რომელიც აზიის სამგზის საუკეთესო არბიტრი გახლავთ. ირმატოვი მსოფლიომ სწორედ ამ მუნდიალზე გაიცნო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ ვინმემ გამოავლინა პროფესიონალიზმი, პირველ რიგში სწორედ ის გახლავთ. როდესაც გახსნის თამაშის მსაჯობა მიანდეს, ძალიან ბევრი გაოცდა და მის კვალიფიკაციაში ეჭვი შეიტანა, თუმცა პირველივე პაექრობაში გამოაჩინა, რომ მაღალი კვალიფიკაციის გახლავთ. იმსაჯა მეოთხედფინალური და ნახევარფინალური მატჩები და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ თავისი საქმის უბადლო მცოდნეა. მაშინ, როდესაც **რობერტო როსეტი** და სხვა ძალიან ცნობილი არბიტრები კატასტროფულ შეცდომებს უშვებდნენ, ირმატოვმა ძალიან მშვიდად და აუღელვებლად გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პალმეირასი რონალდინიოს ეპატიჟება

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, ბრაზილიური „პალმეირასი“ ყველაფერს ილონებს იმისთვის, რომ „მილანიდან“ **რონალდინიო** გადაიბიროს. ამ უკანასკნელის თავის გუნდში ხილვა ძალიან სურს **ლუიშ ფელიპე სკოლარის**, რომელმაც „პალმეირასი“ ახლახან ჩაიბარა და მომავალი სეზონისთვის დიდი მიზნები დაუსახავს.

სან პაულუელები რონალდიონიოს წელიწადში მილიონევროიან ხელფასს სთავაზობენ, რითაც ძნელი წარმოსადგენია, რომ იგი მოხიბლონ. „პალმეირასი“ რონალდინიოს ერთადერთი მსურველი არაა - რიგში დგანან ასევე ბრაზილიური „ფლამენგო“, ბერძნული ოლიმპიაკოსი და ამერიკული „ლოს ანჯელეს გელექსი“.

თავად ფეხბურთელს კი ჯერ გარკვევით არ უთქვამს, „მილანში“ დარჩება თუ ადგილსამყოფელს შეიცვლის. *„ახლა შვებულებაში ვარ და ფეხბურთზე ნაკლებად ვფიქრობ. პრესაში დაწერილ ინფორმაციებზე კომენტარს არ გავაკეთებ, ჩემს გადაწყვეტილებას მალე გავახმაურებ“*, - ასეთია ბრაზილიელი ფლეიმეიკერის კომენტარი.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მას არასოდეს უთამაშია არც „პალმეირასში“ და არც „ფლამენგოში“. ერთადერთი ბრაზილიური კლუბი, რომლის ღირსებასაც რონალდინიო იცავდა, პორტუ ალეგრეს „გრემიო“ იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეალი



ბურით ანხელ დი მარია

# დი მარია უკვე მადრიდშია

**ანხელ დი მარიას** შვებულებამ სულ რამდენიმე დღეს გასტანა. მუნდიალიდან არგენტინაში დაბრუნებულმა 22 წლის ნახევარმცველმა სამშობლოში მცირე ხანი დაყო და პირდაპირ მადრიდში გადაფრინდა, სადაც „რეალის“ სამედიცინო შტაბი გულდასმით გასინჯავს და თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ აღმოაჩნდა, სამეფო კლუბთან კონტრაქტსაც გააფორმებს. დი მარიას მადრიდული პრეზენტაცია სავარაუდოდ, პარასკევს გაიმართება.

*„ბედნიერი ვარ, რომ „რეალში“ თამაშის ღირსი გავხდი. ვიმედოვნებ, ამ კლუბთან ერთად ბევრ ტიტულს მოვიგებ. ჩემში გადახდილი თანხა უმაღლეს დონეზე თამაშს მავალდებულებს, მაგრამ ამ გამოწვევისთვის მზად ვარ. მადრიდში დიდი ამბიციებითა და პროფესიული ზრდის სურვილით ჩამოვედი“*, - უთხრა დი მარიამ ესპანურ პრესას.

„რეალმა“ ლისაბონის „ბენფიკას“ მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაუხადა. „ბენფიკას“ შემადგენლობაში დი მარიას 117 მატჩი აქვს ჩატარებული, სადაც 15 გოლი გაიტანა. მისი ევროპული კარიერა 2007 წელს დაიწყო, როცა „ბენფიკას“ „როსარიო სენტრალიდან“ მიაშურა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საფრანგეთი

# პრობლემა მხოლოდ დომენეკი იყო...

საფრანგეთის ნაკრების მცველის, ვილიამ გალასის განცხადებით, მუნდიალზე სამფეროვანთა კრახის ერთადერთი მიზეზი რაიმონ დომენეკი იყო. გალასის თქმით, ნაკრების ან უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელს ფეხბურთელებთან დიალოგის უნარი არ ჰქონდა.

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საფრანგეთის ნაკრების მთავარი და ფაქტობრივად, ერთადერთი პრობლემა დომენეკი იყო. მასთან ნორმალური ურთიერთობის აწყობა ვერა და ვერ მოვახერხეთ. შეუძლებელი იყო დომენეკთან ჯანსაღი დისკუსიის გამართვა. ჩვენი აზრი მისთვის აბსოლუტურად არაფერს ნიშნავდა და ამიტომაც მას საერთოდ აღარ ველაპარაკებოდით, მხოლოდ ვუსმენდით და იმას ვაკეთებდით, რასაც გვავალებდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას დომენეკს ბოიკოტი გამოვუცხადეთ, რადგან მან ანელკა გუნდიდან არა სიტყვიერი შეურაცხყოფის, არამედ ურთიერთობის გაწყვეტისთვის გააგდო. არადა, ანელკასთან ლაპარაკი დომენეკმა შეწყვიტა და ნიკოლამ მხოლოდ ამის შემდეგ არჩია დუმილი.

ვარჯიშის ბოიკოტირება კი მთელმა გუნდმა ერთსულოვნად გადაწყვიტა. მცდარია გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ვეტერანებმა ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ზეწოლა მოვახდინეთ“, - აცხადებს გალასი.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ამბები

## ვილარმა ფიფა გააკრიტიკა

პარაგვაის ნაკრების მეკარესა და კაპიტანს, **ხუსტო ვილარს** მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზების დონე არ მოეწონა. მან მუნდიალის მსვლელობისას თავს გადამხდარი ერთი ინციდენტიც გაიხსენა.

*„ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკა ასეთი დონის საფეხბურთო ტურნირის სამასპინძლოდ მზად არ აღმოჩნდა. პარაგვაის ნაკრებს ერთი სერიოზული უსიამოვნება გადახდა, როცა იტალიასთან მატჩის შემდეგ ავტობუსი გაგვიფუჭდა და ახალი ავტობუსის მოსვლას ამაოდ ველოდეთ 45 წუთი. შემდეგ კი იძულებულნი გავხდით, სასტუმროში ტაქსებით წავსულიყავით. ფიფამ მხოლოდ იმაზე იზრუნა, რასაც მაყურებელი ტელეეკრანით ხედავს“*, - აცხადებს ვილარი.

## განელები 20 ათასით დაფასდნენ

განის პრეზიდენტის, **ჯონ ატა მილსის** განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლისთვის მისი ქვეყნის ეროვნული ნაკრების თითოეული ფეხბურთელი 20 ათას აშშ დოლარს მიიღებს. პრეზიდენტმა სიამაყით აღნიშნა, რომ განის ნაკრების წევრებმა მუნდიალზე არა მხოლოდ სამშობლოს, არამედ მთელი აფრიკის ღირსება დაიცვეს.

განის ნაკრების წარმატებაზე ამ ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა შვილმა, გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა **კოფი ანანმაც** ისაუბრა. *„მეოთხედფინალში განცდილი მარცხის მიუხედავად, ჩვენი ფეხბურთელები სამშობლოში გამარჯვებულები დაბრუნდნენ“*, - განაცხადა ანანმა.

## რობინიოს სანტოსში დარჩენა უნდა

ბრაზილიის ნაკრების გარემარბი მშობლიურ „სანტოსში“ თავს ბედნიერად გრძნობს და „მანჩესტერ სიტიში“ დაბრუნება არ სურს. როგორც იცით, **რობინიო** სწორედ ამ ინგლისური კლუბის საკუთრებაა, ბრაზილიაში კი იჯარით თამაშობს.

*„დიდი იმედი მაქვს, რომ კარიერას „სანტოსში“ გავაგრძელებ. აქ თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ და წასვლას არსად ვაპირებ. იმედი მაქვს, „სანტოსი“ და „მანჩესტერ სიტი“ იჯარის გახანგრძლივებაზე იოლად მოილაპარაკებენ“*, - აცხადებს რობინიო.

შეგახსენებთ, 2008 წელს იგი „სიტიმ“ მადრიდის „რეალისგან“ 43 მილიონ ევროდ შეიძინა, მაგრამ დიდად ვერაფერში გამოიყენა და „სანტოსში“ მიმდინარე წლის დასაწყისში გაანათხოვრა.

## პალოპმა სევილიასთან გაახანგრძლივა

**ანდრეს პალოპმა** „სევილიასთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე გაახანგრძლივა. 36 წლის გოლკიპერს ანდალუსიურ კლუბთან წინა ხელშეკრულება 2011 წელს უნდა ამოწურვოდა.

პალოპმა „სევილიაში“ 2005 წელს გადავიდა „ვალენსიადან“, იქ ხუთი სეზონი ჩაატარა და ამ ხნის განმავლობაში თავი სტაბილური თამაშით გამოიჩინა. „სევილიასთან“ ერთად იგი ორჯერ დაეუფლა უეფას თასს. ესპანეთის ნაკრებთან ერთად კი პალოპი 2008 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი



# ფერგიმ კალთა გაშალა

**სერ ალექს ფერგიუსონს** თავისი ვარსკვლავისა და ფავორიტის **უეინ რუნის** დაცვა არასდროს მოჰბეზრდება. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი კვლავ დაუბრუნდა რუნის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის თემას და ბრძანა, რომ ფორვარდმა ხალხს მოლოდინი დიდი ფსიქოლოგიური ტვირთის გამო ვერ გაუმართლა. შეგახსენებთ, რომ ინგლისური ფეხბურთის მთავარი იმედი სამხრეთ აფრიკიდან გატანილი გოლის გარეშე წავიდა. სამშობლოში მისგან მუნდიალზე ისტორიული კვალის დატოვებასაც ელოდნენ, მაგრამ ვაგლახ, ის სრულიად უფერული გახლდათ.

*„ვფიქრობ, ყველაფერში დამნაშავე ის დიდი მოლოდინია, რომელიც ხალხს ჰქონდა“*, - თქვა სერ ალექსმა, რომელიც, სხვათა შორის, მუნდიალის დღეებშიც აქტიურობდა. ცნობილია, რომ ალჟირთან შეხვედრის შემდეგ, როდესაც რუნიმ ინგლისელ ქომაგებს ტელეკამერაში საყვედური ჩასძახა, „იუნაიტედის“ თავკაცმა მას დაურეკა და დამშვიდება ურჩია. ფერგიუსონმა განაგრძო:

*„ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ ის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო და სწორედ ეს იყო უმთავრესი. დიახ, გადამწყვეტი წინაისტორია გახლდათ. არ დაგავიწყდეთ, რომ ის გააცილეს, როგორც კაცი, რომელსაც მთელი მსოფლიო უნდა გადაერჩინა. არადა, რუნის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის დიდი გამოცდილება ნამდვილად არ აქვს. დაიცადეთ ოთხი წელიწადი და ნახავთ, რომ შემდეგ ჩემპიონატზე თქვენს წინაშე სულ სხვა ფეხბურთელი წარსდგება“.*

კიდევ, „იუნაიტედის“ შოტლანდიელმა თავკაცმა ბრძანა, რომ ფსიქოლოგიურმა ტვირთმა მარტო რუნი კი არა, მთელი ინგლისის ნაკრები წააქცია. მისი აზრით, გუნდზე უარყოფითად იმანაც იმოქმედა, რომ შესარჩევი ტურნირი აღმოჩნდა იოლი. ფერგიუსონმა თქვა:

*„მართალი გითხრათ, ინგლისის ნაკრებმა ძალიან გამიცრუა იმედი. არადა, ბევრს ველოდით. სწორედ ეს მოლოდინი დააწვათ ფეხბურთელებს მხრებზე მძიმე ტვირთად. თან, თავისი უარყოფითი როლი შესარჩევი ჯგუფიდან იოლმა გასვლამაც ითამაშა. ბოლოს და ბოლოს ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ იმ ჯგუფიდან მოხვდა, საიდანაც ვერმოხვედრა გაცილებით ძნელი იქნებოდა. ვინ იცის, შესარჩევ ეტაპზე უფრო ძლიერი მეტოქეები რომ შეხვედროდა, ინგლისისთვის უკეთესი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში გუნდს ფავორიტის სახელის რეალურ ბრძოლაში მოპოვება დასჭირდებოდა და ეს სულ სხვანაირად მოატრიალებდა მთელ სიტუაციას“.*

ფერგიუსონი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელის რანგში 1986 წელს გახლავთ ნამყოფი, **ფაბიო კაპელოს** მკაცრ რეჟიმსაც შეეხო.

*„ჩვენ მაშინ, ჩემპიონატის წინ სანტაფეში დავბანაკდით და ვცდილობდით რაც შეიძლება მსუბუქად დაგვეტვირთა მოთამაშეები. გარდა ამისა, ვაკონტროლებდით, რომ ეს დრო ფეხბურთელებს უქმად არ გაეფლანგათ“.*

ფერგიუსონი კაპელოს სრულად დაეთანხმა იმაში, რომ გერმანელებს საახლანლო არდადეგების გამო აქვთ ასეთი ენერგია შემორჩენილი - შეგახსენებთ, რომ ინგლისის 4:1 ძლევის შემდეგ გერმანელები არგენტინელებს შეხვდნენ და 4:0 მოუგეს. შეგახსენებთ იმასაც, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან გერმანულმა გუნდმა მიუნხენის „ბაიერნმა“ გააგდო. ფერგიუსონმა ბრძანა:

*„გერმანელებს სანაქებო ტრადიციები აქვთ. მათ თავად ჩამოაყალიბეს ის მენტალიტეტი, რომლის წყალობითაც დღეს ასე კარგად გამოდიან. ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გამოსვლის გამოცდილება არ აქვს, გერმანელები კი მენტალურად ყოველთვის ნახევარფინალში არიან. ამას დაამატეთ ის ფაქტი, რომ ბუნდესლიგა იანვარში მთელი თვით ისვენებს. ინგლისური გუნდები სეზონის განმავლობაში განუწყვეტლად თამაშობენ და ეს მათ ფეხბურთელებს საშინლად ღლის“.*

**ილია ბაბუნაშვილი**

გამოძახილი



მესუთ იოზილი ინგლისთან მატჩის დროს

# როგორ დაინდო გერმანიამ ინგლისი?

გერმანელებმა ინგლისელების კრიტიკისთვის მოიცალეს. ასე მაგალითად, ნახევარმცველმა **მესუთ იოზილმა** თქვა - **ფაბიო კაპელოს** სამხრეთ აფრიკაში ძალიან მოსაწყენი გუნდი ჰყავდაო.

*„ინგლისის ნაკრების 4:1 დამარცხება ჩემი საუცხოო მოგონებაა. პირველად ამ შეხვედრაში დამტკიცდა, რომ რაც უნდა თქვას ან დაწეროს ხალხმა მთელ მსოფლიოში, გერმანიის ნაკრების ყოველთვის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად დარჩება. რაც შეეხება ინგლისელებს... უეინ რუნიმ თქვა, რუსტენბორგის ბაზაზე დართსისა სნუკერის თამაშმა დაგვღალაო. რა გითხრათ. გუნდს, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰპეზრდება, ვფიქრობ, იქ არც არაფერი ესაქმება“.*

შემდეგ, სიტყვამ გერმანიისა და ინგლისის მერვედფინალში **ფრენკ ლემპარდის** მიერ გატანილი და არჩათვლილი გოლი მოტანა - შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში თავიდან გერმანელები დაწინაურდნენ, შემდეგ ინგლისელებმა სხვაობა შეამცირეს და მეტიც, წესით გაქვითეს კიდეც ანგარიში, მაგრამ ლემპარდის გოლი ამოუხსნელ მიზეზთა გამო არ ჩაითვალა. იოზილმა ამაზე დიპლომატიური პასუხი გასცა:

*„თუკი მსაჯმა ვერ დაინახა, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, ის გოლს ვერ ჩათვლიდა. ისე კი რად უნდა ლაპარაკი, რომ ლემპარდმა გოლი გაიტანა. ეს აშკარა გოლი იყო. რა თქმა უნდა, ის, რომ არ ჩათვალეს, ინგლისელთათვის ძალიან ცუდი იყო, თუმცა მეეჭვება, ამ გოლის ჩათვლას შეხვედრის საბოლოო შედეგზე გავლენა ექონია. იმ დღეს ჩვენ უფრო ძლიერი გუნდი ვიყავით და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ“.*

საინტერესოა, რომ იმავე თემაზე ჩამოვარდა ლაპარაკი **ლუკას პოდოლსკისთანაც**, რომელმაც ასე თქვა: *„ხალხი ინგლისთან თამაშსა და არჩათვლილ გოლზე ბევრს ლაპარაკობს, მაგრამ, მერწმუნეთ, აბსურდია იმის მტკიცება, რომ ეს გოლი ინგლისელებს თამაშის ბედს შემოუტრიალებდა და გამარჯვებას მოუტანდა. ჩვენ ჩვენსას მაინც გავიტანდით. თუ დაგვჭირდებოდა, მეტსაც შევყრიდით. ვიცი, რასაც ვამბობ - 4:1-ის შემდეგ გავჩერდით. დამიჯერეთ, ინგლისი შეგვეძლო უბრალოდ საშინელ დღეში ჩაგვეგდო.*

*სხვათა შორის, შეხვედრის შემდეგ ყველამ იმაზე დაიწყო ლაპარაკი, ინგლისს რა დაემართაო, თორემ ის არავის უთქვამს, გერმანია რა ძლიერი ყოფილაო. არადა, მე თუ მკითხავთ, ერთი გუნდი მეორეს ბევრად თუ არ სჯობია 4:1-ს ვერაფრით მოუგებს“.*

ილია ბაბუნაშვილი

ჰამბურგი

# არა რაფინიას, დემელი რჩება

## ფეე მარკუს ბერგს გაანათხოვრებს

„ჰამბურგის“ ხელმძღვანელები ახალი სეზონისთვის ემზადებიან და სატრანსფერო აქტივობებს გეგმავენ. ჩრდილოგერმანულ კლუბს „შალკეს“ მარჯვენა მცველის, **რაფინიას** შეძენა უნდოდა და შეფები ამავე პოზიციაზე მოთამაშე **გი დემელის** გაშვებას გეგმავდნენ, მაგრამ როგორც ჩანს, გადაიფიქრეს. გუნდის ახალი სპორტული დირექტორის, ექსფეხბურთელ **ბასტიან რაინჰარდტის** თქმით, რაფინიაში ფულის გადახდას, სჯობია, „ჰამბურგი“ მომავალ სეზონშიც დემელს ენდოს.

ამრიგად, კოტ დივუარელი უკანახაზელი, რომელსაც დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია ასპარეზობა, „ჰამბურგში“ რჩება. ამ უკანასკნელმა გასული სეზონი არც ისე კარგად ჩაატარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბოსები და ახალი მწვრთნელი **არმინ ფეე** მას ნდობას უცხადებენ.

სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ HSV ახალგაზრდა შვედ თავდამსხმელ **მარკუს ბერგს** გაანათხოვრებს. 23 წლის ბერგი ჩრდილოგერმანულ კლუბში ერთი წლის წინ გადავიდა და „ჰამბურგმა“ მის სანაცვლოდ საკმაოდ დიდი თანხა, 10 მილიონი ევრო გადაიხადა. მაგრამ ბერგმა იმედები ვერ გაამართლა, 30 მატჩში მხოლოდ 4 გოლი გაიტანა, რაც ცენტრალური თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია.

ბერგი, რომელმაც მსოფლიოს 21-წლამდელთა ჩემპიონატზე გამოიჩინა თავი, სავარაუდოდ, „პსვ ეინდჰოვენს“ მიაშურებს. ამ ფეხბურთელით ინგლისური „ვესტ ბრომვიჩიცაა“ დაინტერესებული. შეგახსენებთ, რომ „ჰამბურგმა“ აქამდე მხოლოდ ორი ახალი ფეხბურთელი გაიფორმა: მეკარე **იაროსლავ დრობნი** („ჰერტადან“) და 17 წლის **ლენარდ სოვა** („პორტსმუთიდან“).

გოტფრიდ ლენცი



გი დემელი ჰამბურგში რჩება

ვერდერი

# მუსიკოსებმაც ახალი ფორმით დაიწყეს...

## ვრანიეში მეორე გუნდში, როზენბერგი ჩემოდნებზე, ნიმაიერი რჩება

კვირის დასაწყისში, ბრემენის „ვერდერმა“ გულშემატკივრებს ახალი ფორმა წარუდგინა - ფორმა, რომლითაც ბრემენული კლუბი მომავალ სეზონში იასპარეზებს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ „მუსიკოსების“ ახალი სამოსის დიზაინი რევოლუციურია, რაც ფოტოზეც ჩანს. შესაბამისად, ახალმა ფორმამ გულშემატკივრებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია - ის ბევრს არ მოსწონს. ახალი ეკიპირება გუნდის ახალწვეულებმა, მილანის „ინტერიდან“ გადაბირებულმა ნიჭიერმა თავდამსხმელმა **მარკო არნაუტოვიჩმა** და **ფელიქს კროოსმა** წარადგინეს. მთავარი მწვრთნელის, **თომას შააფის** თქმით, 21 წლის არნაუტოვიჩი და 19 წლის კროოსი მომავალ სეზონში „ვერდერის“ ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურები იქნებიან.



თომას შააფი და ვერდერის ახალწვეულები:
ფელიქს კროოსი (მარცხნივ) და მარკო არნაუტოვიჩი (მარჯვნივ)

სხვა მხრივ, „ვერდერში“ ახალი არაფერია. კლუბმა მომავალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო - ოღონდ, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეების გარეშე. რაც შეეხება გეგმებს: დიდი შანსია, რომ 20 აგვისტომდე, როცა ბუნდესლიგის ახალი სეზონი დაიწყება, ბრემენული კლუბი რამდენიმე მოთამაშემ დატოვოს.

ნასვლის უპირველესი კანდიდატი **მარკუს როზენბერგია**. კლუბი და 27 წლის თავდამსხმელი შეთანხმდნენ, რომ მათი გზები უნდა გაიყოს, რადგან როზენბერგმა „ვერდერში“ იმედები ვერაფრით გაამართლა. მენეჯერ კლაუს ალოფსის თქმით, როზენბერგს საკმაოდ ბევრი მთხოვნელი ჰყავს, მაგრამ „ვერდერისთვის“ კონკრეტული წინადადებით ჯერ არავის მიუმართავს.

30 წლის საყრდენი ნახევარმცველი **იურიცა ვრანიეში** გასულ სეზონში თურქულ „გენჩლერბირლიგიში“ იყო განათხოვრებული და ბრემენში დაბრუნდა. თუმცა შააფი ახალ სეზონს ხორვატ ფეხბურთელთან ერთად არ გეგმავს. ამრიგად, სანამ ახალ კლუბს იპოვიდეს, შააფის თქმით, იურიცას შეუძლია, „ვერდერის“ 23-წლამდელთა გუნდთან ერთად ივარჯიშოს.

სავარაუდოდ, „ვერდერში“ დარჩება 26 წლის **პეტერ ნიმაიერი**. „მუსიკოსები“ ამ უკანასკნელს მხოლოდ იმ შემთხვევაში დათმობენ, თუ „სანტოსის“ 23 წლის შემტევ ნახევარმცველ **ვესლის** გადაბირებას მოახერხებენ, რომლის შეძენითაც ბრემენული კლუბი საკმაოდ დიდი ხანია დაინტერესებული. ჯერჯერობით გაურკვეველია „ვერდერის“ „აქილევსის ქუსლის“, ბრაზილიელი **კარლოს ალბერტოს** ბედი. ეს უკანასკნელი „ვასკო და გამაში“ იყო განათხოვრებული და წესით, ბრემენში უნდა დაბრუნდეს. ბრაზილიურ კლუბს მისი შენარჩუნება სურს, მაგრამ ბრემენელთა მიერ მოთხოვნილ თანხას (6 მილიონი) არ იხდის. შააფს კი პრობლემატური კარლოს ალბერტო არაფერში სჭირდება. არადა, „ვერდერმა“ ეს მოთამაშე ერთ დროს დიდი ზარზეიმით შეიძინა და მასში 10 მილიონი გადაიხადა.

გოტფრიდ ლენცი

შალკე

# ბორდონი მიდის, რაული გზაშია



ბრაზილიელმა მცველმა **მარსელო ბორდონმა** „შალკესთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და ახალი კლუბის ძიებაშია. მისი გადაბირება ბერძნულ „პანათინაიკოსს“ სურდა, მაგრამ როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ბორდონი და „პანათინაიკოსი“ ხელფასზე ვერ შეთანხმდნენ და ბრაზილიელი მცველი კარიერას, სავარაუდოდ, ყატარში გააგრძელებს - 34 წლის ბორდონს „ალ რაიანი“ ეპატიჟება. ბრაზილიელს „შალკესთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებდა, მაგრამ „ხუმარების“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** მას ნება დართო, რომ კლუბი უფასოდ დატოვოს. მარსელო ბორდონს „შალკეს“ მაისურით ბუნდესლიგაში 168 მატჩი აქვს ჩატარებული და ბოლო წლებში ის გელზენკირხენული კლუბის დაცვის ბურჯი გახლდათ.

სიახლეა **რაულის** ტრანსფერთან დაკავშირებითაც. როგორც ჩანს, „რეალიდან“ მისი „შალკეში“ ტრანსფერის განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ დროის ამბავია. მაგათმა „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ რაული „შალკეში“ ითამაშებს. „დესპოტი ფელიქსის“ თქმით, ასეთი ფეხბურთელის „შალკეში“ გადასვლა, ამ კლუბისთვის უდიდესი მოვლენაა.

*„ის ფაქტი, რომ რაული დაინტერესებულია, „შალკეს“ ფორმა მოირგოს, უკვე დიდი მიღწევაა. მჯერა, ამ დღეებში ყველაფერზე შევთანხმდებით და რაული გელზენკირხენში მალე ჩამოვა“,-* უთხრა მაგათმა „შპორტ ბილდს“. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რაულ გონსალესი „შალკესთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს და გელზენკირხენელები მას წელიწაში 5 მილიონ ევროს გადაუხდიან. რაულის ტრანსფერში უდიდესი როლი მიუძღვის **კრისტოფ მეტცელდერს**, რომელიც „რეალის“ ღირსებას იცავდა და მომავალი სეზონიდან „შალკეში“ ითამაშებს.

გოტფრიდ ლენცი

ბაიერნი

# რობენი: იყიდეთ ვინმე!

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი ჰოლანდიის ნაკრების ლიდერი **არიენ რობენი** მომავალ სეზონს ოპტიმისტურად უყურებს და უნდა, რომ „ბაიერნთან“ ერთად, გაისადაც წარმატებებს მიაღწიოს. ამისათვის კი ჰოლანდიელი გარემარბი, რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებს გუნდის გაძლიერებას სთხოვს. არადა, „ბაიერნის“ შეფებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ამ ზაფხულში გრანდიოზული ტრანსფერის განხორციელებას არ გეგმავენ და არ აპირებენ, თუნდაც ერთ ფეხბურთელში 20 მილიონი ევრო ან ამაზე მეტი დახარჯონ.

*„ფაქტია, რომ „ბაიერნს“ გაძლიერება სჭირდება. მართალია, გასული სეზონი ძალიან კარგად ჩავატარეთ და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვითამაშეთ, მაგრამ იმისათვის, რომ მინიმუმ სტატუს-კვო შენარჩუნდეს, „ბაიერნი“ კიდევ უნდა გაძლიერდეს. მე მინდა, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ,“ -* განუცხადა რობენმა „შპორტ ბილდს“.

გოტფრიდ ლენცი



არიენ რობენი ბაიერნის შეფებს ახალი ფეხბურთელების ყიდვას სთხოვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ამბები

# ვინ შეცვლის ტორესს?

„ლივერპულის" ახალი მწვრთნელი **როი ჰოჯსონი** კოსტარიკელი ამომავალი ვარსკვლავის **ბრაიან რუისის** ყიდვას აპირებს და ამ საქმისთვის 12,5 მილიონ ფუნტს (18,9 მილიონი დოლარს) არ იშურებს. ჰოჯსონმა იცის, რომ რუისმა გასულ სეზონში ჰოლანდიური „ტვენტეს" შემადგენლობაში 24 გოლი გაიტანა, რასაკვირველია, ფეხბურთელის თამაში ნანახიც აქვს და, როგორც ამბობენ, ის **ფერნანდო ტორესის** შემცვლელად ეგულება. ნიშნავს ეს იმას, რომ ტორესის მერსისაიდიდან წასვლა გადაწყვეტილი ამბავია? როგორც ინგლისური პრესა წერს, არა. ჰოჯსონი ტორესის „ენფილდ როუდზე" დარჩენის შემთხვევაშიც კი აპირებს 24 წლის კოსტარიკელის ყიდვას.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ჰოჯსონი ლონდონის „ფულჰემს" წვრთნიდა და ბრაიან რუისიც სწორედ ამ გუნდისთვის ჰყავდა შეგულებული. ახლა, როდესაც მან კლუბი გამოიცვალა, სავარაუდოდ, თავდამსხმელს ისეთ ფასად იყიდის, რომ თავისმა წინა კლუბმა კონკურენცია ველარ გაუწიოს - მოგეხსენებათ, „ფულჰემის" ფინანსური შესაძლებლობები „ლივერპულისას", მერსისაიდელთა ვალების მიუხედავად, მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

რუისი „ტვენტეში" ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **სტივენ მაკლარენმა** მიიყვანა. თავდამსხმელი ბელგიურ „გენტში" თამაშობდა, საიდანაც ჰოლანდიურმა კლუბმა 5 მილიონ ევროდ იყიდა და ისე ათამაშა, რომ ფასი სულ მცირე, გაუსამმაგა. სწორედ რუისის გოლების წყალობით გახდა „ტვენტე" ჰოლანდიის ჩემპიონი ისტორიაში პირველად და სწორედ ამ წარმატებამ შეუწყო ხელი მაკლარენის ბუნდესლიგის მწვრთნელობამდე ამაღლებას - იგი „ვოლფსბურგში" გადავიდა.

სხვათა შორის, რუისის თან წაყვანა მაკლარენსაც უნდა, მაგრამ როგორც ჩანს, „ტვენტე" „ვოლფსბურგისთვის" ძალიან ძვირს ითხოვს. გარდა ამისა, კოსტარიკელი ვარსკვლავით დაინტერესებულები არიან ესპანური გუნდები „სევილია" და „ვილიარეალი".

**ილია ბაბუნაშვილი**



გადავა მარიო ბალოტელის მანჩესტერ სიტიში?



ბრაიან რუისი

# იყიდეთ მარიო!

საინტერესოა - მილანის „ინტერმა" „მანჩესტერ სიტის" მისგან **მარიო ბალოტელის** ყიდვა შესთავაზა. ისტლენდელებს თავის მხრივ არ დაუდასტურებიათ, რომ ბალოტელისთან დაკავშირებით „სან სიროზე" რაიმე წერილი გააგზავნეს, მაგრამ მათი იტალიელი მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** იმთავითვე ცდილობდა თავისი ოდინდელი მოსწავლის გადაბირებას. შეგახსენებთ, რომ ბალოტელი მხოლოდ და მხოლოდ 19 წლისაა. სხვათა შორის, ბალოტელის შეძენით დაინტერესებული გახლავთ „მანჩესტერ იუნაიტედიც", თუმცა, „ინტერი" ამ ყმაწვილკაცში 30 მილიონ ფუნტს ანუ 45,5 მილიონ დოლარს ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ „ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** „სიტის" ჯეროვანი წინადადების მომზადება ურჩია. მან ასე თქვა: *„ამჟამად არ არსებობს ფეხბურთელი, რომლის გაყიდვაც არ შეიძლება, მაგრამ ფასი აუცილებლად ადეკვატური უნდა შემოგვთავაზონ. ყველა მოთამაშეს ბაზარზე თავისი ფასი აქვს".*

„სიტიმ", რომელსაც გერმანელი **ლუკას პოდოლსკის** ყიდვაც უნდოდა ამ ზაფხულზე უკვე დახარჯა 60 მილიონი ფუნტი, რაც, გუნდის ირლანდიელი მეკარის **შეი გივენის** რწმენით, მანჩინი შესაძლოა ფსიქოლოგიურად გადატვირთოს კიდეც. მოგახსენებთ, რომ ისტლენდელებმა უკვე დაიწყეს ვარჯიში და დღეში ორჯერაც გადიან საწვრთნელ მოედანზე.

*„ახალი ფეხბურთელების ყიდვაში კლუბმა ძალიან ბევრი ფული გადაიხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელს პირდაპირ მოსთხოვენ შესაბამის შედეგს. მისგან უკვე ჯილდოების მოპოვებას ელიან".*

გივენი, რომელსაც გასული სეზონის ბოლოს მხარი სტკიოდა, აგრეთვე შიშობს, რომ ახალ სეზონში მის ადგილს **ჯო ჰარტი** დაიკავებს. მან თქვა: *„ჯოსთან კონკურენცია, რასაკვირველია სახიფათოა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთ თვეში ყველაფერი რიგზე იქნება".*

**ილია ბაბუნაშვილი**



...ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ახალი პრეზიდენტის პირველი მონაგარი

## პეპის კონტრაქტი, საეჭვო სესკი, 150 მილიონი კრედიტი

„ბარსელონას" ახალმა პრეზიდენტმა **სანდრო როსელმა** გამოაცხადა, რომ მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება გუნდის მთავარ მწვრთნელ **ხოსეპ გვარდიოლასთან** და ის მზადაა კლუბთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმოს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების მესამე წლით გაგრძელების პერსპექტივაც. *„ჩვენ მივაღწიეთ ჯენტლმენურ შეთანხმებას, რომ პეპი ჩვენთან რჩება. ახლა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი და გვარდიოლას აგენტი მომავალი ხელშეკრულების დეტალებს ადგენენ. როდესაც ყველა დეტალზე მოილაპარაკებენ, პეპი „ბარსელონასთან" ახალ ხელშეკრულებას მოაწერს ხელს 2+1 სისტემით"*, - განაცხადა სანდრო როსელმა. ახალმა ბოსმა აგრეთვე დაადასტურა, რომ „ბარსელონას" ბ გუნდს ისევ **ლუის ენრიკე** გაწვრთნის.

როსელი კმაყოფილია **დმიტრო ჩიგრინსკის** ტრანსფერის განხორციელებით: *„კლუბის ხაზინაში 15 მილიონი ევრო შემოვა და ახლა ეს უმთავრესია, რადგან ჩვენ მცირე შეფერხებებს განვიცდიდით ბოლო ხანს. მადლობა სამწვრთნელო შტაბს და თანამშრომლებს, რომლებიც ამ შეფერხებებს გაგებით მოეკიდნენ. „ბარსელონას" ფინანსური უზრუნველყოფა დღეისათვის ჩვენი უმთავრესი საზრუნავია"*, - თქვა როსელმა.

ამასთან „ბლაუგრანას" ახალი პრეზიდენტი უკვე სიფრთხილით ეკიდება **სესკ ფაბრეგასის** შესაძლო ტრანსფერის საკითხს: *„ამის შესახებ ლაპარაკობენ მთელ ესპანეთსა და მსოფლიოში და სწორედ ეს უშლის ხელს ტრანსფერის განხორციელებას. მაგალითისთვის, ჩიგრინსკის საკითხზე „შახტართან" მოლაპარაკებამ უხმაუროდ, მაგრამ პროდუქტიულად ჩაიარა, ხუთ დღეში მიზანს მივაღწიეთ. სესკის შემთხვევა კი აბსოლუტურად სხვაა, ეს საკითხი ყურადღების ცენტრშია. ახლა სამხრეთ აფრიკაში მივდივარ და შევეცდები თავად ფეხბურთელთან საქმიანი საუბრით მივაღწიო შედეგს. ყველამ კარგად იცის, რომ ბიჭს სურს „ბარსელონაში" დაბრუნება"*, - განუცხადა „ბარსელონას" ოფიციალურ საიტს როსელმა და იქვე დაამატა, რომ გამორიცხულია კლუბმა სესკის სანაცვლოდ 50-60 მილიონი ევრო გადაიხადოს, არადა ესპანური და ინგლისური მედია დაახლოებით ამ თანხას ასახელებს.

როსელი სხვა სატრანსფერო საკითხებსაც შეეხო, მაგალითად **რაფა მარკესის** შესაძლო წასვლას: *„მის წარმომადგენელს ჩვენთან შეხვედრა ურს, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, რა მიზეზით. რაფას შეუძლია ჩვეულებრივად მოემზადოს ახალი სეზონისთვის „ბარსელონაში". ჩვენ მას დაველაპარაკებით"*, - თქვა „ბარსას" ბოსმა. ამასთან



სანდრო როსელი

როსელი უარყოფს, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გუნდიდან მიდის. პრეზიდენტის მტკიცებით, გვარდიოლას გეგმებში იბრაჰიმოვიჩი ძველებურადაა და არაფერი შეცვლილა.

მოგეხსენებათ, გასულ კვირაში „ბარსელონამ" **იაია ტურე** დაკარგა, რომელიც „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა, როსელმა ტურეს ტრანსფერზეც ილაპარაკა: *„მენეჯმენტი შეეცადა ტურე დარჩენაზე დაეყოლიებინა, მაგრამ მას ეს არაფრით სურდა, არ ვიცი, რომელი ახორციელებდა ზეწოლას მასზე აგენტი თუ მისი ძმა. მიმაჩნია, რომ თუ ფეხბურთელს 150%-ით გუნდში დარჩენა და ბრძოლა არ სურს, უნდა გაუშვა"*. როსელმა აღნიშნა, რომ უკვე აქვს შემოთავაზებები სხვა კლუბებიდან და მალე იჯარით გაუშვებენ **ჰლებს, კასერესს, კეირისონს** და **ენრიკეს**. ამავე დროს მან „ჭორად" მოიხსენია „ბარსელონას" დაინტერესება **რობენის, რობინიოს** ან **მატას** შესაძლო ტრანსფერზე.

სანდრო როსელმა განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოესპო „მცირე" ფინანსური შეფერხება და 150-მილიონევროიანი კრედიტი აელო.

როსელმა თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ამომწურავად ილაპარაკა, მაგრამ ესპანურ მედიაში არ წყდება სპეკულაციები. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალი ფინალურ ეტაპზეა, გულშემატკივრებს მაინც ერთობ აღელვებთ ვის იყიდის ან გაყიდის „ბარსელონა" (ან „რეალი"). ერთ-ერთი ამბავი საზოგადოებას AS-მა აუწყა. ინფორმაციის თანახმად, „ბარსელონა" ერთობ დაინტერესებულია „ხეტაფეს" 23 წლის ნახევარმცველის, **პედრო ლეონის** შეძენით. გამოცემა ამტკიცებს, რომ „ბლაუგრანა" მას შემდეგ დაინტერესდა ლეონის შეძენით, რაც **ხუან მატას** ტრანსფერი საეჭვო გახდა. შარშან პედრო ლეონს მართლაც ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა, ვინგერმა 35 მატჩში 8 გოლი გაიტანა, ის „ხეტაფეს" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. AS-ი ამტკიცებს, რომ „ბარსელონა", როგორც კი კრედიტს აიღებს, „ხეტაფეს" პედრო ლეონში 10 მილიონ ევროს შესთავაზებს.

„დეილი მეილი" ამტკიცებს, რომ „ბარსელონა" „მანჩესტერ იუნაიტედის" მარცხენა მცველის, **პატრის ევრას** შეძენითაცაა დაინტერესებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მისტა ანდრეს ინიესტასთან ბრძოლაში

# მისტა MLS-ში წავიდა

ამერიკული MLS ლიგის კლუბმა „ტორონტომ" ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი **მისტა** შეიძინა. 31 წლის შემტევს მთელი საფეხბურთო კარიერა ესპანეთში აქვს გატარებული, მადრიდის „რეალის" აღზრდილი, ყველაზე მეტად „ვალენსიაში" გატარებული ხუთი სეზონით დაგვამახსოვრდა, როცა „ღამურების" მაისურით 144 მატჩში 40 გოლი გაიტანა. მისტა ბოლოს „დეპორტივოში" ირიცხებოდა. ის ორჯერ გახდა პრიმერას ჩემპიონი, ერთხელაც უეფას თასის და სუპერთასის მფლობელი. „მარსელთან" ფინალში ერთი გოლი სწორედ მისტამ გაიტანა. „ტორონტოში" მისტას **დუეინ დე როსარიოს** შეუწყვილებენ, რომელიც ჩემპიონატში 8 გოლით კლუბის ბომბარდირია.

ესპანური ტრანსფერები

2 ივლისიდან დღემდე

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| დადი (კაბ) | ოსასუნა | ბურსასპორი (თურ) | თავ. აგენტი |
| ხუანხო ესპოზიტო | რასინგი | უოტფორდი (ინგ) | იჯარა |
| მიგელ პალანკა | რეალი | ელჩე | თავ. აგენტი |
| იაია ტურე (კოტ) | ბარსელონა | მანჩესტერ სიტი (ინგ) | 32 მლნ. ევრო |
| ელიზეუ (პორტ) | ლაციო | მალაგა | 1 მლნ ევრო |
| ჰარის მედუნიანინი | ვალიადოლ. | მაქაბი თ. (ისრ) | 2 მლნ. ევრო |
| ლეო ფრანკო (არგ) | გალათასარაი | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| მარკ ვალიენტე | სევილია | ვალიადოლიდი | თავ. აგენტი |
| კენედი ბაკირჩიოგლუ | აიაქსი | რასინგი | თავ. აგენტი |
| ტონი დოვლასი | უესკა | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| დმიტრო ჩიგრინსკი (უკრ) | ბარსელონა | შახტარი (უკრ) | 15 მლნ. ევრო |
| ჩავიერ ეჩეიტა | ბილბაო | ელჩე | თავ. აგენტი |
| მისტა | დეპორტივო | ტორონტო (კან) | თავ. აგენტი |
| როდოლფო ბოდიპო (გვი) | დეპორტივო | ვასლუი (რუმ) | იჯარა |
| ჯოფრე გუერონი (ეკვ) | ხეტაფე | ატლეტიკო პ. (ბრა) | 1,2 მლნ. ევრო |
| ხავი ტორესი | მალაგა | ლევანტე | იჯარა |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბრაზილია

# ლეონარდო: მე მზად ვარ!

**დუნგას** გადადგომის შემდეგ, ბრაზილიის ნაკრებში მისი შეცვლის უმთავრეს კანდიდატად **ლუიშ ფელიპე სკოლარი** სახელდებოდა, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, ამ უკანასკნელმა ძველ პოსტზე დაბრუნებაზე უარი განაცხადა. სამაგიეროდ, სელესაოში მუშაობის უდიდესი სურვილი აქვს „მილანიდან" ცოტა ხნის წინ დათხოვნილ **ლეონარდოს**, რომელმაც ამის შესახებ „სქაი იტალიას" უთხრა.

სხვა საქმეა, მოისურვებს თუ არა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია იმ ახალბედა მწვრთნელთან თანამშრომლობას, რომელსაც სადებიუტო სეზონში ბევრი ვერაფერი გამოუვიდა.

შეგახსენებთ, ფეხბურთელის რანგში ლეონარდო 1994 წელს ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ამბები

## ფორლანს ტრავმით უთამაშია

ნახევარფინალურ მატჩში **დიეგო ფორლანის** შეცვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორც გაირკვა, ურუგვაის ნაკრების ლიდერი **ოსკარ ტაბარესს** მოედნიდან ტყუილუბრალოდ არ გაუყვანია.

*„ფორლანი ჰოლანდიასთან თავიდანვე ტკივილით თამაშობდა, მაგრამ მოედანზე მაინც ბოლომდე დაიხარჯა და სანამ შეეძლო, იბრძოლა. მეორე ტაიმში კი მისი შეცვლა გარდაუვალი გახდა"*, - განაცხადა ტაბარესმა.

ტრავმის მიუხედავად, ფორლანს მუნდიალის მესამე ადგილისთვის მატჩში მონაწილეობის მიღების შანსი მაინც აქვს.

## მთელ ზაფხულზე გაწელილი ამბავი



როგორც ჩანს, **დუგლას მაიკონის** „რეალში" გადასვლა-არგადასვლაზე კიდევ დიდხანს მოგვიწევს წერა. თავდაპირველად, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ბრაზილიელი მარჯვენა მცველი „ინტერიდან" მადრიდში წავიდოდა, მაგრამ შემდეგ ეს ტრანსფერი ჩიხში შევიდა.

ფეხბურთელის აგენტი **ანტენიო კალიენდო** აცხადებს, რომ გამორიცხული არც მისი კლიენტის „ინტერში" დარჩენაა და არც - „რეალში" გადასვლა. *„დღეისათვის გადაჭრით არაფრის თქმა შემიძლია. ორივე კლუბმა ერთმანეთის პოზიცია კარგად იცის და ახლა ჯერი მათ გადაწყვეტილებებზეა. მოსალოდნელია, რომ „რეალისა" და „ინტერის" დიალოგი მთელი ზაფხული გაგრძელდეს"*, - ამბობს კალიენდო.

## ტოლდო კარიერას ასრულებს

**ფრანჩესკო ტოლდომ** ბუცებისა და ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა. *„ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ჩემი წასვლის დროა"*, - განაცხადა 38 წლის მეკარემ.

„ინტერში" იგი 2001 წელს გადავიდა და მილანური კლუბის ღირსება 147 მატჩში დაიცვა. ბოლო სეზონებია, იგი ბრაზილიელი ჟულიო სეზარის დუბლიორია. მაისში მოგებული ჩემპიონთა ლიგა ყველაზე სერიოზული ტიტულია მის კარიერაში.

ტოლდო დიდების ზენიტში ევრო-2000-ზე იყო, როცა იტალიის ნაკრებმა ფინალში მისი ბრწყინვალე თამაშით გაალწია. „სკუადრა აძურაში" მან 28 მატჩი ჩაატარა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩემპიონთა ლიგა

# ოლიმპი-აქტობე ეროვნულზე თუ ფოლადზე?

რუსთავის „ოლიმპმა" უეფაში საჩემპიონთალიგო 16-კაციანი სია გაგზავნა:

მეკარეები - **გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი;**

მცველები - **თემურ ღონღაძე, ლაშა ჯაფარიძე, გიორგი რეხვიაშვილი, დავით გიგაური, ლექსო კვახაძე, რევაზ ქემოკლიძე;**

ნახევარმცველები - **ლუკა რაზმაძე, დენის დობროვოლსკი, დავით ბოლქვაძე, ირაკლი დოლიძე, რევაზ გეწაძე, გიორგი ხიდეშელი.**

თავდამსხმელები - **ირაკლი მოდებაძე, გიორგი ჭედია.**

„ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძის** თქმით, დღეს განაცხადში შესწორების შეტანის ბოლო ვადაა. ქუთაისის „ტორპედოსთან" ხუთშაბათს დანიშნული მეორე საკონტროლო შეხვედრის შემდეგ გადაწყდება, გაუფორმებენ თუ არა კონტრაქტებს (და შესაბამისად, შეიყვანენ თუ არა განაცხადში) ნახევარმცველ **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძესა** და კენიელ ფორვარდ **ალენ ვანგას.**

*„ქუთაისის „ტორპედოსთან" მატჩის შემდეგ გაირკვევა, რომელი დარჩება. ჯერჯერობით, ისინი ურიგო შთაბეჭდილებას არ ტოვებენ. თუმცა საბოლოო პასუხისთვის კიდევ ერთხელაა დაკვირვება საჭირო. რაც შეეხება რეზო ქემოკლიძეს, მან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, ირაკლი მოდებაძემ კი ერთწლიანი",* - გვითხრა ჯორბენაძემ.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველი შეხვედრა აქტიუბინსკში 14 ივლისს გაიმართება, 21-ში კი მატჩს საქართველო უმასპინძლებს, ოღონდ, რუსთავი თუ თბილისი, ეს დღემდე გაურკვეველია. ამაზეა დამოკიდებული, მატჩი 20 ივლისს გაიმართება თუ 21-ში.

*„როგორც ცნობილია, ზამთარში ჩვენთან უეფას კომისიის წევრები იმყოფებოდნენ, რომელმაც ხელოვნური საფარი დაგვიწუნა. აქედან გამომდინარე, საშინაო არენაზე საერთაშორისო მატჩების გამართვა პრობლემური გაგვიხდა. ამდენად, ჩვენ კიდევ არ ვიცით, „აქტობეს" შინ ვუმასპინძლებთ თუ - არა. ეს უახლოეს დღეებში გვეცოდინება. ყველაფერი დამოკიდებულია უეფას კომიისის წევრთა საბოლოო დასკვნაზე. დელეგაცია რუსთავის სტადიონს კიდევ ერთხელ ესტუმრა, რათა „ფოლადის" მოედნის მდგომარეობის ლაბორატორიული შემოწმება ჩაეტარებინა. მათი ადრინდელი შენიშვნები გათვალისწინებულია და ძალიან ადვილი შესაძლებელია, თუნდაც ახლანდელის გამოსწორება - მოედნის სულ რალაც ერთი კვადრატული მეტრია გასასწორებელი. ამჟამად, ორი ვარიანტია: კარგი დასკვნის შემთხვევაში, პასუხი გასაგებია და რუსთავში ვითამაშებთ, თუ არა და - ეროვნულ სტადიონზე. თუმცა იმედი მაქვს, „ფოლადს" მაინც მწვანეს აუნთებენ. უეფაში გაგზავნილ მონაცემებში ჩვენს პრიორიტეტულ სტადიონად „ბორის პაიჭაძე" მივუთითეთ. უეფამ გაითვალისწინა, რომ ეროვნული არენა კიდევ ორი ქართული კლუბის - თბილისის „დინამოს" და „ვიტ ჯორჯიის" საშინაო სტადიონია. გამომდინარე აქედან, ევროპის ლიგაზე „დინამო" „ფლორას" თუ მოუგებს და შემდგომ ეტაპზე გავა, 22 ივლისს ითამაშებს, ხოლო „ვეტერინარების" საშინაო შეხვედრა სხვა დღეს გაიმართება, ჩვენ კი 20-ში, 18:00 საათზე ვითამაშებთ და არა 21-ში, მოედანი „დინამოს" მატჩისთვის უკეთ რომ მოამზადონ. თუ რუსთავში გვათამაშებენ, მაშინ 21 ივლისს თამაში 18:00 საათზე დაიწყება",* - ამბობს ჯორბენაძე.

მატჩს თურქ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. თბილისში მთავარი არბიტრი **ბიულენთ ილდირაი** გახლავთ, რომელსაც ევროთასებზე სათადარიგო მსაჯად ასაქმებდნენ, ბოლოს კი დააწინაურეს და ახალგაზრდული და ასაკობრივი ნაკრებების მატჩებს ანდობდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ფეხბურთელის ბედი

# ფირცხალავა კარიერას ამთავრებს ?!



ნიკა ფირცხალავა

**ნიკა ფირცხალავა** თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი, ვიცე-კაპიტანი და გამორჩეული პიროვნებაა. მასთან გასაუბრების შემდეგ მიხვდებით, რომ ფართო თვალსაწიერი აქვს. არცაა გასაკვირი - აქტიური საფეხბურთო კარიერის პარალელურად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი დაამთავრა. ასეთ განათლებულ ფეხბურთელს იშვიათად წააწყდებით...

ფირცხალავა „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში პატარა ასაკისა ჩაირიცხა და დიდ იმედებს იძლეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 23 წლისაა, გუნდის ვიცე-კაპიტნადაც დანიშნეს. „დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელები - **დუშან უჰრინი და რაინერ ცობელი** ენდობოდნენ და საკვანძო მოთამაშედ განიხილავდნენ...

თუმცა გამუდმებულმა ტრავმებმა ფეხბურთელი უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ზედიზედ სამჯერ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და აღმოჩნდა, რომ ბოლომდე ვერ განიკურნა. სრული 2 წელი მარტო მკურნალობაში დაკარგა...

ის არ არის იმ ტიპის ადამიანი, ღირსება რომ არ გააჩნია. ფირცხალავა მომხდარს განიცდიდა და ვერ ეგუებოდა იმ ფაქტს, რომ „დინამოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი და ვიცე-კაპიტანი ძირითადში ვერ ხვდებოდა.

შესაძლოა, ამის შედეგია ის, რაც გუშინ გახდა ცნობილი - ევროპის ლიგაზე ტალინის „ფლორასთან" მატჩის შემდეგ ნიკა „დინამოს" ვარჯიშებზე აღარ გამოჩენილა.

*„სამწუხაროდ, „ფლორასთან" საპასუხო შეხვედრაში ფირცხალავა დაგვაკლდება. მასზე გუნდი დიდ იმედებს ამყარებდა და დღესაც ამყარებს... მაგრამ სამწუხაროდ, გაუთავებელმა ტრავმებმა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც იმოქმედა. ფირცხალავამ გარკვეული დრო ითხოვა დასვენებისთვის. საბოლოო გადაწყვეტილებას ესტონეთიდან დაბრუნების შემდეგ ერთობლივად მივიღებთ",* - განაცხადა „დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ.**

ვერ გეტყვით, ამ ყველაფრის პრელუდია იყო თუ არა ის, რაც „ფლორასთან" მატჩის დროს ვიხილეთ - ნიკა მოედანზე აშკარად გაღიზიანებული გამოვიდა და ორიოდე ეპიზოდში მოწინააღმდეგეს მისთვის უჩვეულო აგრესიით შეეჯახა. ფირცხალავა ბრძოლისუნარიანობით ყოველთვის გამოირჩეოდა, მაგრამ... აგრესიულობით - არასდროს.

ახლა კი ვიგებთ, რომ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა, რაც 23 წლის უნიჭიერესი ფეხბურთელისთვის არასწორი გადაწყვეტილება გვგონია, როგორც ნიკა ამბობს, - სამი წელია არ მითამაშია და როცა ბიჭების ნაწილი 300 ლარზე თამაშობს, უხერხულია, მათზე ბევრად მეტ ხელფასს ვიღებდეო ესაა მისი თქმით ერთ-ერთი მთავარი მოტივი, - რის გამოც თამაში აღარ სურს.

ვფიქრობთ, „დინამოს" ხელმძღვანელები ყველაფერს გააკეთებენ, გადაწყვეტილება რომ შეაცვლევინონ და ფირცხალავა კვლავ ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩააყენონ - ჩვენ დასაკარგი ფეხბურთელი არ გვყავს, მით უფრო, ასეთი პიროვნება. ქართულ ფეხბურთში ხომ სწორედ ასეთი კეთილშობილი ადამიანების კატასტროფული ნაკლებობაა...

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე

აქტობე

# ყაზახებმა ფანჯარა დახურეს

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „ოლიმპის" მეტოქის, ყაზახური „აქტობეს" ხელმძღვანელები სატრანსფერო გეგმებთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. ასე მაგალითად, „აქტობეს" ვიცე-გენდირექტორი **ვასილი იურჩენკო** კლუბის ოფიციალურ ვებგვერდთან კომენტარში ამბობს:

*„ჩემპიონთა ლიგისთვის მზადებას 4 ივლისს, მოსკოვში შეკრებით ვიწყებთ. უკვე კლუბის განკარგულებაშია ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" ნახევარმცველი მარატ ხაირულინი და ჩვენთან ერთად ვარჯიშობს. ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე სხვა შენაძენები აღარ იქნება. გუნდიდან კი ბოლოს სერგეი სტრუკოვი წავიდა",* - ამბობს იურჩენკო.

ყაზახური „კომსომოლსკაია პრავდა" კი სხვა ინფორმაციას ავრცელებს: *„სანამ სატრანსფერო ფანჯარა ღიაა, ყაზახეთის მოქმედ ჩემპიონს დაკომპლექტება სჭირდება. მე-18 ტურში ალმათის „ყაირათთან" სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა თავდამსხმელმა ივან პერიჩმა... ჩემპიონის სამწვრთნელო შტაბი მოსკოვურ შეკრებაზე რამდენიმე ახალწვეულს დააკვირდება. აქტობეელები შემტევ ნახევარმცველსა და საიმედო მცველს ეძებენ".*

რაც შეეხება მოსკოვურ შეკრებას, ყაზახები რუსეთის დედაქალაქში ათ დღეს დაყოფენ: *„მოსკოვის გარეუბან ბელოკამენსკში „აქტობე" ორ საკონტროლო შეხვედრასაც გეგმავს - რუსეთის ან პოსტსაბჭოეთის სხვა ქვეყნის კლუბებთან. მეტოქეთა ვინაობა ჯერ უცნობია. მართალია, ეს საკმაოდ ძვირად ღირებული შეკრებაა, მაგრამ ჩვენ სერიოზული მიზნები გვაქვს - ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეთ. შინ მხოლოდ ერთი სტადიონი გვაქვს, სადაც ნორმალური საწვრთნელი პროცესის გამართვაა შესაძლებელი. ზედიზედ ორი-სამი დღე იქ რომ ვივარჯიშოთ, ლიგის პირველ მატჩამდე მოედანი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება. ამიტომ გადავწყვიტეთ მოსკოვში ჩასვლა. ამასთან, აქ უფრო ძლიერი სპარინგპარტნიორების გამონახვაა შესაძლებელი. ბიჭებმა გარემო უნდა შეიცვალონ და ფსიქოლოგიურად განიტვირთონ",* - ამბობს იურჩენკო.

„კომსომოლსკაია პრავდა" ყაზახების თავსატეხს ამხელს - საქართველოს ჩემპიონი „აქტობეს" მწვრთნელებისთვის ნამდვილი გამოცანააო:

*„რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური კონფლიქტის გამო, ამ თვითმყოფადი ქვეყნის გუნდები უკვე რამდენიმე წელია, „თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების თასის" გათამაშებაში აღარ მონაწილეობენ. ვიდეოჩანაწერებზეც რთული ვითარებაა. როგორც წესი, მეტოქეები საკუთარ ჩანაწერებს უხალისოდ გზავნიან. „ოლიმპზე" მწირ ინფორმაციას ვფლობთ. მხოლოდ ის ვიცი, რომ გუნდს ადგილობრივი მეტალურგიული კომბინატი აფინანსებს. შვეიცარიაში, წილისყრის დროს, კლუბის პრეზიდენტი გავიცანი. მან მითხრა, რომ „ოლიმპს" სპონსორებმა მიზნად ლიგის შემდგომ ეტაპზე გასვლა დაუსახეს. ჩვენ მსგავსი მიზნები გვაქვს. ასე რომ, ვფიქრობ, საინტერესო შეხვედრები გველის",* - ამბობს იურჩენკო.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# სეთურიძე ისევ კარლ ცაისში?



გიორგი სეთურიძე

**შესაძლოა,** გერმანიაში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერებს კიდევ ერთი შეემატოს. როგორც ირკვევა, 25 წლის შემტევი ნახევარმცველი **გიორგი სეთურიძე** გერმანიაშია ტესტირებაზე. გერმანული ვებგვერდების transfermarkt.de-სა და fcc-supporters.de-ს ინფორმაციით, სეთურიძე კვლავ იენის „კარლ ცაისში" გამოჩნდა. ის ბოლოს აზერბაიჯანში, სუმგაითის „სტანდარდში" გამოდიოდა (26 მატჩში 2 გოლი), 2007/08 წლების სეზონში ასპარეზობდა „კარლ ცაისში". თუმცა მაშინ იენელთა გუნდი მეორე ბუნდესლიგაში იყო, ამჟამად კი მესამე ბუნდესლიგაში თამაშობს.

გასულ სეზონში „კარლ ცაისი" მე-5 ადგილზე გავიდა და გერმანიის რიგით მეორე დივიზიონში ალზევება ვერ შეძლო. ჩვენებურს იენელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **იურგენ რააბი** („დინამო"-"კარლ ცაისის" ფინალის მონაწილე) საკონტროლო მატჩებში დააკვირდება. „კარლ ცაისში" სეთურიძის დარჩენა-არდარჩენის საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება.

transfermarkt.de-ს მიერ გიორგი სეთურიძე 250 ათას ევროდაა შეფასებული. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სეთურიძეს „სტანდარდთან" კონტრაქტის ვადა უკვე ამოეწურა და გერმანიაში თავისუფალი აგენტის სტატუსითაა ჩასული.

**დავით ცაბაძე**

ფუტსალი

# მეტოქეები ცნობილია, მიზანი უცვლელია

**6 ივლისს** უეფას შტაბბინაში გაიმართა უეფას ფუტსალის ლიგის საკვალიფიკაციო და ძირითადი ეტაპების წილისყრა. საქართველოს ჩემპიონი „იბერია", როგორც მაღალი რეიტინგის მქონე გუნდი, საკვალიფიკაციო ეტაპიდან გათავისუფლებული იყო.

ძირითად ეტაპზე, IV ჯგუფში, „იბერიასთან" ერთად, ჩეხური „ხრუდიმი", ბელარუსული „მაპიდი" და F ჯგუფის გამარჯვებული მოხვდნენ. ამ ჯგუფში კი გამარჯვებისთვის „დიორი" (უნგრეთი), „ჰელვეცია" (ინგლისი), „კროაცია 97" (არ გაგიკვირდეთ და შვეიცარიული კლუბია) და „ენკამპი" (ანდორა) იბრძოლებენ.

„იბერია" შარშანდელ ტურნირის ელიტრაუნდში გავიდა და აქედან გამომდინარე, პირდაპირ ძირითადი რაუნდიდან დაუშვეს - ჩვენებს ჯგუფური ეტაპის მატჩები 25 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე დაუგეგმეს.

ჯგუფის მატჩები ჩეხეთში ჩატარდება, გუნდები ერთ წრედ ითამაშებენ და ელიტრაუნდში ჯგუფის ორი საუკეთესო, სულ კი 12 გუნდი გავა. იქ კი მათ პირდაპირ დაშვებული გამარჯვებული „ბენფიკა" (პორტუგალია), ეკატერინბურგის „ვიზ-სინარა" (რუსეთი), „მურსია" (ესპანეთი) და „ყაირათი" (ყაზახეთი) დახვდებიან.

ელიტრაუნდის წილისყრა 12 ოქტომბერსაა დაგეგმილი. 16 კლუბი ოთხ ჯგუფში გადანაწილდება და 20-28 ნოემბერს საუკეთესო ოთხეულს გამოავლენს. ჯგუფების გამარჯვებული ოთხეული 2011 წლის 28 აპრილიდან 1 მაისამდე გამოავლენენ. „ოთხთა ფინალის" მასპინძლის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი - შეხვედრებს ერთ-ერთი ნახევარფინალისტის ქვეყანა უმასპინძლებს.

წილისყრის შედეგების კომენტარისთვის „იბერიას" უკრაინელ მთავარ მწვრთნელ **ოლეგ სოლოდოვნიკს** დავუკავშირდით: *„წილისყრის შედეგებით უკმაყოფილო არ ვარ. მთლიანობაშიც ყველა ჯგუფი თანაბარი ძალისაა. ერთადერთი, შედარებით რთული ის ჯგუფია, რომელშიც აზერბაიჯანის, რუმინეთისა და ლატვიის ჩემპიონები მოხვდნენ. ადრეც ვთქვი, რომ „იბერიას" მიზანი ელიტრაუნდში გასვლა და შემდეგ ოთხთა ფინალში თამაში იყო და ახლაც, წილისყრის შემდეგ, ეს მიზანი არ იცვლება".*

„იბერიასთვის" ფუტსალის ლიგის ეს გათამაშება მეათე იქნება. რაც შეეხება მის მეტოქეებს, ჯგუფის მასპინძელ „ხრუდიმს" ხუთ გათამაშებაში აქვს მონაწილეობა მიღებული და სამჯერ ელიტრაუნდშიცაა გასული. მინსკელთა შედეგი კი უფრო მოკრძალებულია - ძირითად ეტაპზე მხოლოდ ერთხელ, 2 წლის წინ ითამაშეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპის ლიგა

# ზესტაფონი ალადაშვილის გარეშე

ევროპისლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დღეს საპასუხო მატჩებია. შინ 5:0 მოგების შემდეგ, „ზესტაფონი" სან მარინოს „ფაეტანოს" სტუმრად ეთამაშება. იმერელთა კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** ინფორმაციით, **გია გეგუჩაძის** გუნდი სან-მარინოში გუშინ თბილისიდან, ჩარტერული რეისით იტალიის ქალაქ რიმინიში ჩაფრინდა. ზესტაფონელები რიმინიდან 20 კილომეტრით მოშორებით, მონტე კოლომბოში, სასტუმრო „ვილია ლერიში" დაბინავდნენ. იმერელთა გუნდის თავკაც გია გეგუჩაის განკარგულებაში 19 ფეხბურთელია. ესენია:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე;**

მცველები: **გიორგი ხიდეშელი, გიორგი ონიანი, ზაალ, ელიავა, მამუკა კობახიძე, კარენ მაკარიანი;**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ირაკლი ძარია, შოთა ბაბუნაშვილი, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ცხადაია, გიორგი მიქაბერიძე;**

თავდამსხმელები: **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი, გოგი ფიფია, საბა ლომია.**

როგორც ხედავთ, ზესტაფონელებს თან ახლავს თავდამსხმელი „ფაეტანოსთან" პირველ მატჩში დუბლის ავტორი **ჯაბა დვალი.** საქმე ის არის, რომ სანმარინოელებთან საშინაო შეხვედრაში დვალი დაშავდა და საპასუხო მატჩში მისი თამაში საეჭვო იყო, მაგრამ იმერელთა მეგოლე უკვე კარგად გრძნობს თავს და მოედანზე გასვლაც შეუძლია. „ფაეტანოსთა" ზესტაფონური შეხვედრაში გუნდის განაცხადში არ ყოფილა ნახევარმცველი თორნიკე აფციაური. როგორც გავიგეთ, აფციაური უკეთ არის, მაგრამ, ექიმებმა მას სრულად გამოჯანმრთელების მიზნით, გამოჯანმრთელება ურჩიეს. იმერლებს თან არ ახლავს კიდევ ერთი ფეხბურთელი, ახალწვეული კახა ალადაშვილი. ამ 26 წლის ნახევარმცველმა ზესტაფონელთა კლუბთან, სამიოდე დღის წინ, 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. თუმცა უეფა განაცხადში მისი გვარი შეტანილი არ იყო და შესაბამისად გუნდს სან მარინოში ვერ დაეხმარება. მომდევნო რაუნდში ასპარეზობისას, ალადაშვილს უკვე შეეძლება „ზესტაფონის" რიგებში თამაში.

„ფაეტანოსთან" შინ 5:0 მოგების შემდეგ, ზესტაფონელების მომდევნო ეტაპზე გასვლაში, ეჭვი არავის ეპარება. იგივე ტენდენცია იგრძნობა „ფაეტანოს" მთავარ მწვრთნელ **სერენო ურალდის** მიერ სან-მარინოს ტელევიზიისთვის მიცემულ კომენტარშიც.

*„ძლიერ მეტოქესთან ამჯერად შინ გვიწევს თამაში. სტუმრად დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ, ძნელია რაიმე მოტივაციაზე საუბარი. ჩემი ფეხბურთელებისგან მხოლოდ ერთს ვითხოვ, გვინდა ევროპის ლიგაზე გოლი გავიტანოთ და შევეცადოთ, შინ არ წავაგოთ".*

დაბოლოს, „ფაეტანო"- „ზესტაფონის" მატჩი დღეს ფაეტანოში, „ოლიმპიკო სერავალეზე", თბილისის დროით 22:30 საათზე დაიწყება. შეხვედრას ანდორელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება. არბიტრი **იგნასიო როზადოსი** იქნება.

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა



მიროსლავ კუბეკი

# ვიტ ჯორჯიას საევროპო განაცხადი

## 25 ფეხბურთელით ჩეხურ დუკლასთან

ზუსტად ერთი კვირა და ქვეყნის თასის მფლობელი „ვიტ ჯორჯია" ევროპის თასის გათამაშებაში, მეორე რაუნდიდან, ჩეხეთის ბრინჯაოს პრიზიორ ოსტრავას „ბანიკთან" მატჩით ჩაერთვება. მანამდე კი ვეტერინარები უკრაინაში განაგრძობენ მოსამზადებელ შეკრებას და სამშობლოში 9 ივლისს დაბრუნდებიან. შეგახსენებთ, რომ ჯორჯიელებმა ყირიმში სამი საკონტროლო მატჩი უკვე გამართეს, სიმფეროპოლის „ტავრიასთან" 1:2 დამარცხდნენ, „ნაფტოვიკთან" 0:3 წააგეს და „ხარკოვის „ჰელიოსს" 1:0 სძლიეს. ქართველებთან და ახალი სეზონისთვის ავსტრიაში ამზადებებს გუნდს ოსტრავას „ბანიკის" მთავარი მწვრთნელი **მიროსლავ კუბეკი.** „ბანიკზე" ქვემოთ მოგითხრობთ, მანამე კი ჩვენს გუნდზე ვთქვათ.

ვიტელებმა ევროპის ლიგაზე ასპარეზობისათვის უეფაში უკვე გაგზავნეს განაცხადი, რომელშიც 25 ფეხბურთელი შეიყვანეს. ვეტერინართა მიერ, უეფაში გაგზავნილი საევროპო შემადგენლობა ფეხბურთელთა მუდმივი ნომრებით, ასეთია:

მეკარეები: **1. არდალიონ მიქაბერიძე, 12. ჯინო რეჭია, 25. გიორგი ძაძამია;**

მცველები: **2. გიორგი სარაჯიშვილი, 3. დავით ლომია, 4. ლაშა კასრაძე, 14. ირაკლი ჭანკვეტაძე, 20. დავით ხურცილავა, 22. რევაზ ლანიაშვილი, 28. ჯემალ გოგიაშვილი, 29. გურამ ადამაძე;**

ნახევარმცველები: **6. გიორგი ვასაძე, 8. გურამ გურეშიძე, 15. გიორგი კორიფაძე, 19. მირიან დვალიშვილი, 21. დავით მაისაშვილი, 24. ირაკლი კლიმიაშვილი, 27. გიგა ბეჭვაია, 30. გიორგი ჯანელიძე;**

თავდამსხმელები: **5. ჯაბა ლიპარტია, 9. მიხეილ როსტაშვილი, 10. გიორგი ბერიაშვილი, 13. ბესიკ ჩიმაკაძე, 18. ვახტანგ კვარაცხელია, 23. ბექა ზაქრაძე;**

ახლა „ბანიკზე" ვთქვათ, მიროსლავ კუბეკის გუნდი ავსტრიაში გადის მოსამზადებელ შეკრებას. „ბანიკმა" რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა. ოსტრაველებმა ლუგანსკის „ზარიასთან" 1:1 ფრე ითამაშეს, „გრადკორნს" 2:0 სძლიეს, იაპონურ, ხიროსიმას „სანფრესესთან" 2:5 წააგეს და გრაცის „შტურმი" 1:0 დამარცხეს. ბოლოს კი „ნოიშტადთან" 1:1 ფრეზე გაიყარნენ. ავსტრიულ „ნოიშტადთან" „ბანიკმა" 4-3-3 ტაქტიკითა და ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

**დანეკი - რეჟნიკი, ნოივირტი, ბოლფი, ნევესი - ლუკეში (89. ვოინარი), მარეკი, ჰუსბაუერი (62. ფრეილახი) - შენკერიკი (62. ვრტო), ვარადი (87. ზეჰერი), პილიკი (შმეიკა).**

სიახლეა ისიც, რომ „ბანიკმა" 5 ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიმატა. **ჰუსბაუერი, პილიკი, შმეიკალი, ფრეილახი** და **კუკალი.** ამ კვინტეტიდან კუბეკმა რამდენიმე ავსტრიულ „ნოუშტადთან", ბოლოს გამართულ საკონტროლო მატჩშიც გამოცადა...

საინტერესო უნდა იყოს „ბანიკის" თავკაც მიროსლავ კუბიკის კომენტარიც, რომელიც ჩეხურმა ვებგვერდებმა გაავრცელეს.

*„ქართულ ფეხბურთსა და მით უმეტეს ჩვენს მეტოქე „ვიტ ჯორჯიას" შესახებ ბევრი ნამდვილად არაფერი ვიცი. თუმცა მეტოქეზე ინფორმაციის შეგროვებას ვაგრძელებთ. ვიცი, რომ ქართველები ტექნიკურ და ჭკვიან ფეხბურთს თამაშობენ. ბევრი მიიჩნევს, რომ ამ წყვილში ჩვენ ვართ ფავორიტები, მაგრამ ეს საქმით უნდა დავამტკიცოთ. ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ ქართველებთან რთული მატჩები გველის".*

დაბოლოს, ევროპის ლიგის მეორე რაუნდში „ვიტ ჯორჯია" ჩეხურ „ბანიკთან" პირველ მატჩს შინ გამართავს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ეს შეხვედრა 15 ივლისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება და 18 საათზე დაიწყება. ამ შეხვედრას გერმანელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. არბიტრი კი **ბაბაკ რაფატი** იქნება.

**დავით ცაბაძე**



ევროპის ლიგა

# დინამოს რობერტინიო დაემატა

## ტალინში 16 ფეხბურთელით

ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ტალინის „ფლორასთან" თბილისურ მატჩში, ბრაზილიელი **რობერტინიო** გუნდის განაცხადში არ ყოფილა. თამაშამდე გაცხადდა, რომ ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი გუნდს ტრავმის გამო ვერ დაეხმარებოდა. მისი თამაში საპასუხო შეხვედრაშიც საეჭვო იყო, მაგრამ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა.

„დინამო" ტალინში გუშინ რიგის გავლით ჩაფრინდნენ და დღეს „ფლორასთან" საპასუხო შეხვედრას გამართავს. ჩვენს გუნდს რობერტინიო კი დაემატა, მაგრამ გამოაკლდა მცველი **ლაშა ჩადუნელი** და ნახევარმცველი **ნიკოლოზ ფირცხალავა**. აღსანიშნავია ისიც, რომ „დინამო" ესტონეთში მხოლოდ 16 ფეხბურთელით გაემგზავრა. თბილისელთა გუნდის თავკაც **კახა კაჭარავას** განკარგულებაში შემდეგი ფეხბურთელები არიან:

მეკარეები: **გიორგი ლორია, ბექა შეყრილაძე;**

მცველები: **ლევან ხმალაძე, ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი, გიორგი გველესიანი;**

ნახევარმცველები: **ალექსანდრე კოშკაძე, გიორგი კახელიშვილი, ედნილსონი, დონალდ ჯუისი, რობერტინიო, გიორგი თექთურმანიძე, გიორგი მამუჩიშვილი, ირაკლი ლექვთაძე;**

თავდამსხმელები: **მათე ვაწაძე, ზვიად მეტრეველი.**

დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა კახა კაჭარავამ გუშინ გუნდი ტალინში, „ლელ კოკ არენაზე" ავარჯიშა". თბილისში მოგებული 2:1-ის შემდეგ, ჩვენს გუნდს ესტონეთში მოუწევს მომდევნო რაუნდში გასვლისთვის ბრძოლა. ტალინელებს 1:0 აწყობთ, ჩვენებს ფრეც ხელს აძლევთ და ესტონელი მიმომხილველების მტკიცებით, მეტოქეებისგან ფრთხილი თამაშია მოსალოდნელი.

დაბოლოს, „ფლორა"-„დინამოს" მატჩი ტალინში, თბილისის დროით 19:45 საათზე დაიწყება. შეხვედრას უკრაინელი მსაჯები გაუძღვებიან. მატჩის არბიტრი **იური მოსეიჩუკი** იქნება.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერის მოლოდინში

# გურამ კაშია ახლა ბელგიიდან ელოდება...

თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი, საქართველოს ნაკრებში ნათამაშები **გურამ კაშია** უგუნდოდაა და ჯერ არ იცის, რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას. ცნობილი იყო, რომ ის პრაღის „სლავიაში" გადადიოდა, ტრანსფერი თითქოს გადაწყვეტილი იყო - ჩეხები მზად იყვნენ, აეყვანათ ფეხბურთელი იმის მიუხედავადაც, რომ „დინამო" საკომპენსაციო თანხას ითხოვდა. მოთამაშეთა სტატუსის ფიფასეული დებულებით, ქართული კლუბის მოთხოვნა საფუძვლიანია.

ამ საკითხთან დაკავშირებით, თბილისის „დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს განუმარტა: *„აქ ელემენტარულ უვიცობასთან გვაქვს საქმე. ვინაიდან გურამი „დინამოს" აღზრდილია, კლუბს საკომპენსაციო თანხა ეკუთვნის. კაშია აბსოლუტურად თავისუფალია არჩევანში. მას შეუძლია ნებისმიერ გუნდს დაუკავშიროს ბედი. „დინამო" და ფეხბურთელის მომავალი კლუბი არაფერზე თანხმდებიან, უბრალოდ, იმ კლუბმა უნდა გადაიხადოს ის თანხა, რომელსაც ფიფა მოთამაშის აღმზრდელ გუნდში გატარებული წლების მიხედვით არეგულირებს".*

...იყო ინფორმაცია, თითქოს „დინამო" 170 ათას ევროს ითხოვდა, „სლავია" კი 110 ათასის გადახდაზე დათანხმდა და საბოლოოდ, საკითხის დასაზუსტებლად ფიფას მიმართეს. თუმცა არასწორია გავრცელებული ხმები, თითქოს, ქართულ-ჩეხური მოლაპარაკება თანხაზე შეუთანხმებლობის გამო ჩაიშალა. კაშია სხვა მიზეზით წამოვიდა - პრაღაში კონტრაქტის გასაფორმებლად ჩავიდა და არა - გასინჯვაზე. თუმცა „სლავიას" ხელმძღვანელობა შეიცვალა, ახლებმა კი გუნდის გაწმენდა გადაწყვიტეს, რადგან „სლავიაში" 35 ფეხბურთელი ირიცხებოდა. სანამ არასასურველ მოთამაშეებს არ გაუშვებდნენ, ახლების აყვანა არ სურდათ, კაშიას კი სთხოვეს, სხვა კლუბთან კონტრაქტი არ გაეფორმებინა და ორი კვირა მოეცადა, ამასობაში კი ჩეხები ფინანსური პრობლემების მოგვარებას შეეცდებოდნენ...

მაგრამ კაშიამ მოცდა არ ისურვა, რადგან როგორც უთხრეს, ისრაელის ვიცე-ჩემპიონ „მაქაბიში" ჩარიცხვა 90 პროცენტით გადაწყვეტილი იყო და ხაიფელებს ავსტრიულ შეკრებაზეც შეუერთდა. საბოლოოდ, ისრაელშიც არ დარჩა, რადგან ბოლოს საკმაოდ გაურკვეველი ვითარება შეიქმნა...

ჩეხებთან კონტრაქტის გაფორმებით დაიმედებული ცენტრალური მცველი „მაქაბიში" მოუმზადებელი ჩავიდა, სეზონის დასრულების შემდეგ ისვენებდა. ამიტომაც იყო, რომ ბუქარესტის „დინამოსთან" კარგად ვერ ითამაშა, თუმცა მოსკოვის „ლოკომოტივთან" „მაქაბის" ხელმძღვანელებს უკვე მოეწონათ.

საბოლოოდ, მისი საკითხი წინა კვირას, „ვიენასთან" მატჩის შემდეგ უნდა გარკვეულიყო. „მაქაბი" მასთან ერთად კიდევ ოთხი ცენტრალური მცველის ჩამოყვანას აპირებდა და აღმოჩნდა, რომ 90-პროცენტიანი კონტრაქტი არც ისე საიმედო იყო. კაშია წამოვიდა და ახლა ერთ-ერთი ბელგიური კლუბის წინადადების იმედადაა, თბილისის „დინამოში" დაბრუნებას კი არ აპირებს.

მოკლედ, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ქართველი მცველი უგუნდოდაა. ევროთასების მოახლოებისას, როცა ქართულ კლუბებს ხეირიანი ფეხბურთელების სერიოზული პრობლემა აქვთ, ასეთი ფეხბურთელის უგუნდოდ ყოფნა დაუშვებელია.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# სეთურიძე ისევ კარლ ცაისში?

შესაძლოა გერმანიაში მოასპარეზე ქართველ ლეგიონერთა რიცხვს კიდევ ერთი ჩვენებური შეემატოს. როგორც ირკვევა, 25 წლის შემტევი ნახევარმცველი **გიორგი სეთურიძე** გერმანიაშია ტესტირებაზე. გერმანული ვებგვერდების transfermarkt.de-სა და fcc-supporters.de-ს ინფორმაციით, გიორგი სეთურიძე ისევ იენის „კარლ ცაისში" გამოჩნდა. სეთურიძე, რომელიც, ბოლოს აზერბაიჯანში, სუმგაითის „სტანდარდში" გამოდიოდა (26 მატჩში 2 გოლი), 2008-08 წლებში ასპარეზობდა „კარლ ცაისში". თუმცა მაშინ იენელთა გუნდი მეორე ბუნდესლიგაში იყო. ამჟამად კი ეს გუნდი მესამე ბუნდესლიგაში ასპარეზობს. „კარლ ცაისი" გასულ სეზონში მე-5 ადგილზე გავიდა და გერმანიის რიგით მეორე დივიზიონში აღზევება ვერ შეძლო. როგორც ირკვევა, ჩვენებურს იენელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **იურგენ რააბი** საკონტროლო მატჩებში დააკვირდება და „კარლ ცაისში" სეთურიძის დარჩენა-არდარჩენის საკითხიც ამის შემდეგ გადაწყდება.

პოპულარულ ვებგვერდ transfermarkt.de-ს მიერ გიორგი სეთურიძე 250 ათას ევროდ არის შეფასებული. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სეთურიძეს „სტანდარტთან" საკონტრაქტო ვადა უკვე ამოეწურა და იენელთა გუნდში თავისუფალი აგენტის სტატუსით არის ტესტირებაზე.

**დავით ცაბაძე**

ტენდენცია



# გრიშიკაშვილი დაგვიბრუნდა

„დაბრუნების ტენდენცია" გრძელდება - სხვადასხვა დროს აქედან წასული ფეხბურთელები ისევ სამშობლოში ბრუნდებიან და საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობას აგრძელებენ! ჰო, ეს მართლაც დადებითი ტენდენცია უკვე რამდენიმე წელიწადია გრძელდება და ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ერთი-მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელების ჩვენთან დაბრუნებით ეროვნულ ჩემპიონატსაც მეტი ლაზათი ექნება. აბა, გაიხსენეთ, ორი წლის წინათ, თბილისის „ლოკომოტივში" **რატი ალექსიძე, ლევან ცქიტიშვილი, ვიტალი დარასელია** და **გიორგი ლომაია** რომ დაბრუნდნენ, ეს გუნდი როგორ ათამაშდა? საბედნიეროდ, წინა სეზონშიც არაერთი ფეხბურთელი დაგვიბრუნდა და საქართველოს XXI ჩემპიონატიც მეტ-ნაკლებად საინტერესოდ რომ ჩატარდა, მათი დამსახურებაც იყო: **დავით იმედაშვილის, გია კვარაცხელიას, სანდრო იაშვილის, თემურ ღონღაძის** (ყველა - „ოლიმპი"), **ჯაბა დვალის, ლევან კორღალიძის, დავით გამეზარდაშვილის** (სამივე - „ზესტაფონი"), **ალექსანდრე გოგობერიშვილის** („სიონი"); აღარაფერს ვამბობთ გასული სეზონის ორ ყველაზე „ხმაურიან დაბრუნებაზეც": ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ცხინვალის „სპარტაკში" ხომ საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები, **გიორგი დემეტრაძე** და **ლადო ბურდული** ასპარეზობდნენ...

ახალი სეზონის დაწყებამდე თვეზე ოდნავ ნაკლები რჩება, მაგრამ უკვე ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ XXII ჩემპიონატმა, სხვა ფაქტორების (უპირველესად, უმაღლეს ლიგაში „ტორპედოსა" და „კოლხეთის" აღზევებით) გათვალისწინების გარდა, დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში კი, ისევ და ისევ, სხვადასხვა დროს აქედან წასული ფეხბურთელების საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებას ვგულისხმობთ. თანაც, იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების ჩამონათვალი ახალი სეზონის დაწყებამდე კიდევ გაიზრდება და ამჟამად თუ ათი ასეთი მოთამაშეა, ჩემპიონატის დაწყებამდე (ან უშუალოდ მსვლელობის დროს) ეს რიცხვი, შესაძლოა, გაორმაგდეს კიდეც. აი, ისინიც, გარკვეული დროის შემდეგ რომელთა ხილვაც ქართველ გულშემატკივარს, ფაქტობრივად, ყოველ შაბათ-კვირას რომ შეეძლება: **დავით ბოლქვაძე, რევაზ გეწაძე, ირაკლი მოდებაძე** (სამივე - „ოლიმპი"), **ლევან ხმალაძე** („დინამო"), **შოთა ბაბუნაშვილი, კახა ალადაშვილი** (ორივე - „ზესტაფონი"), **სერგი ორბელაძე, რევაზ გოცირიძე** (ორივე - „სიონი"), **კახა ჩხეტიანი, რომან ახალკაცი** („ორივე - „ბაია").

კიდევ ვიმეორებთ: ეს სია აუცილებლად გაიზრდება და ამ ტენდენციასაც უნდა მივესალმოთ; თორემ, ცოტაც და, უმაღლეს ლიგას **ჭაბუკთა ლიგად** „მოვნათლავდით"! რა თქმა უნდა, ნიჭიერ ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსი ყოველთვის უნდა ჰქონდეთ; მაგრამ არც ისე უნდა ხდებოდეს, როცა უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობას 18-19 წლის ბიჭები წარმოადგენენ.

...ორი დღის წინ კიდევ ერთი „დაბრუნების" შესახებ შევიტყვეთ: გარკვეული პაუზის შემდეგ, 36 წლის **სოსო გრიშიკაშვილი** კვლავაც საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებს და თავის ისედაც ხანგრძლივ კარიერას, სავარაუდოდ, ცხინვალის „სპარტაკში" გააგრძელებს. ეს ინფორმაცია **მურთაზ შელიასთან** გადავამოწმეთ: საქართველოს ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა და ამჟამად, „სპარტაკის" ვიცე-პრეზიდენტმა დაგვიდასტურა, რომ გრიშიკაშვილის გუნდში ჩარიცხვა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავიაო! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ სეზონში საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე სწორედ სოსო გრიშიკაშვილი იქნება, რომელსაც 37 წელი 25 დეკემბერს შეუსრულდება.

გრიშიკაშვილის კარიერა უკვე 19 წელიწადია გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში არაერთი კლუბიც გამოიცვალა - ქართულიც და უცხოურიც; წარმატებული სერიებიც ჰქონდა და ისეთი დროც ყოფილა, ესა თუ ის მწვრთნელი ნაკლებად რომ ენდობოდა. საერთოდ კი, სოსო გრიშიკაშვილს უმაღლეს ლიგაში რვა გუნდში უთამაშია და სხვადასხვა დროს აი, ამ მწვრთნელების ხელმძღვანელობით ასპარეზობდა: **თემურ ცერცვაძე, თემურ მახარაძე, ჯემალ მახარაშვილი** (სამივე - „კახეთი," თელავი), **რევაზ ძოძუაშვილი** („მეტალურგი", რუსთავი), **ოთარ კორღალიძე, რევაზ არველაძე, გოჩა ტყებუჩავა, გივი ნოდია, კახა ცხადაძე, ანდრეი ჩერნიშოვი, კახა კაჭარავა, დუშან უჰრინი** (ყველა - „დინამო"), **სოსო ფილია** („კოლხეთი", ფოთი), **გიორგი დევდარიანი, ლუის ცაკარიასი** (ორივე - „თბილისი"), **ამირან გოგიტიძე** („ბათუმი"), **ვლადიმერ ხაჩიძე** („ბორჯომი"). ამას გარდა, 1995, 1996 და 1999 წლებში რუსულ „ალანიაში" თამაშობდა 1997 და 1998 წლებში კი ლატვიის ჩემპიონატში ასპარეზობდა: ჯერ - „ვენტსპილსში", მერე - „დაუგავაში". ყველაზე უცნაური კი ის არის, ამ ცხრამეტი წლის განმავლობაში სოსო გრიშიკაშვილმა მხოლოდ და მხოლოდ ერთი აქაური ტიტულის მოპოვება შეძლო: 2000 წელს „დინამოს" შემადგენლობაში საქართველოს სუპერთასს დაეუფლა. დანარჩენ შემთხვევებში კი მუდამ მცირედი აკლდებოდა: „თბილისის" შემადგენლობაში ორჯერ ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, „დინამოს" შემადგენლობაში ერთხელ მეორე ადგილზე გავიდა, ერთხელაც - მესამეზე.

ამას გარდა, 1994 წელს რუსთავის „მეტალურგის" შემადგენლობაში საქართველოს თასის ფინალში იასპარეზა, თუმცა ის შეხვედრა თბილისის „დინამოს" გამარჯვებით დამთავრდა. სხვათა შორის, ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ სოსო გრიშიკაშვილი სწორედ 1994 წელს გაიცნო, როცა ახალგაზრდა მეკარის მონაცემები **რევაზ ძოძუაშვილმა** შეამჩნია და რუსთავის „მეტალურგში" მიიწვია (მანამდე კი ბევრისთვის უცნობმა მეკარემ თელავის „კახეთში" სამი ჩინებული სეზონი ჩაატარა). საერთოდაც, 1994 წელი გრიშიკაშვილისათვის მართლაც განსაკუთრებულად უნდა მივიჩნიოთ: უმაღლეს ლიგაში ახლადდამკვიდრებულ მეკარეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა! სადებიუტო მატჩი კი ნიგერიაში ჩაატარა, როცა 1994 წლის პირველ ივნისს იქაურ ქალაქ იბადანში საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრა მასპინძლებთან (1:5). საქართველოს ნაკრების მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ჩივაძემ** დებიუტანტი მეკარე მოედანზე მეორე ტაიმში შემოიყვანა და ამ დროს ანგარიში უკვე 5:1 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ.

სხვათა შორის, გრიშიკაშვილის დამსახურებაც არის, ის მატჩი უფრო კატასტროფული სხვაობით რომ არ წავაგეთ: დებიუტანტმა მეკარემ ერთი-ორი რთული ბურთიც აიღო და, რაც მთავარია, შეხვედრის 85-ე წუთზე პენალტიც მოიგერია! ამას მოჰყვა ორი სეზონი „ალანიაში", თუმცა ვლადიკავკაზურ გუნდში გრიშიკაშვილს მეტად სერიოზული კონკურენტი ჰყავდა **ზაურ ხაპოვის** სახით და ამიტომაც იყო, ქართველ მეკარეს იშვიათად რომ უწევდა თამაში რუსეთის ჩემპიონატში. რუსეთიდან ლატვიაში გადავიდა, 1999 წლის მიწურულს კი, ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ისევ საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდა.

ამასობაში კი... საქართველოს ნაკრებშიც აღარ იძახებდნენ, ვიდრე 1998 წელს ჩვენი უპირველესი გუნდი **ვლადიმერ გუცაევმა** არ ჩაიბარა. სულ კი სოსო გრიშიკაშვილმა საქართველოს ნაკრებში ათი შეხვედრა ჩაატარა და აქედან, მხოლოდ ერთი იყო ოფიციალური (1999 წლის 27 მარტს სლოვენიასთან). ბოლო სანაკრებო მატჩი კი ათი წლის წინ, ირანის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა იყო, თანაც, საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნებულ უკვე გამოცდილ მეკარეს, რატომღაც, გუნდების ხშირი ცვლაც დასჩემდა: ხან, ერთ შეცდომას არ პატიობდნენ, ხან, ნაკლებად ენდობოდნენ და ასე შემდეგ...

...ბოლო ორი სეზონი სომხეთში თამაშობდა (ერევნის „მიკაში") და საკმაოდ წარმატებითაც; თუმცა, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ახლა ისევ საქართველოში დაბრუნდა და თავის შესაძლებლობებს ცხინვალის „სპარტაკში" გამოავლენს.

**გია ტუხაშვილი**

ჭიდაობა



კახა გენაძე (მარცხნივ) და ლადო ვარძელაშვილი

პრესკონფერენცია

# მინისტრი მოჭიდავეებს ეცნობა, გორს დარბაზს ჰპირდება

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ახალდანიშნული მინისტრი **ლადო ვარძელაშვილი** ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან დაბრუნებულ მოჭიდავეთა ნაკრებებს შეხვდა. შეგახსენებთ, რომ ამ პირველობას ბულგარულმა სამოკოვომ უმასპინძლა, სადაც ბერძენ-რომაელებმა ერთი ოქროთი და ორი ვერცხლით გუნდური პირველობაც მოიპოვეს. ამ გუნდიდან ჩემპიონი **ვასილ იმერლიშვილი** გახდა, რომელიც 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობს და მასაც ამ წონის ლიდერ **რამაზ ნოზაძის** მწვრთნელი **ოთარ ტატიშვილი** ავარჯიშებს. ვერცხლის მედლები **თორნიკე მახარაძემ** (50) და **საჩინო დავითაიამ** (66) მოიპოვეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მონაგარი ორ-ორი ოქრო-ვერცხლი და ერთიც ბრინჯაოს მედალია, თუმცა გუნდურ პირველობას მაინც ვერ შეწვდნენ და მესამეს დასჯერდნენ. აქ საჩემპიონო ტიტული **დავით ხუციშვილმა** (74) და **გიორგი საკანდელიძემ** (120) ირგუნეს, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55) და **თენგიზ ჩოჩიშვილმა** (60) ფინალური შეხვედრები დათმეს, **ლაშა ტალახაძე** (50) კი მესამეზე გავიდა.

გუშინდელი პრესკონფერენციით მინისტრმა გუნდებს წარმატებაც მიულოცა და თან ჭიდაობის ფედერაციასთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრაც გამოუვიდა. პრესკონფერენციას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გენაძეც** ესწრებოდა ახალგაზრდული ნაკრებების თავკაცებთან - **ვლადიმერ ადეიშვილსა** და **ნუგზარ სხირელთან** ერთად.

**კახა გენაძე**: *„ჩვენი გუნდების ასეთმა წარმატებულმა გამოსვლამ დაადასტურა, რომ საქართველოში ჭიდაობას დიდი მომავალი აქვს. წინ კიდევ არაერთი ჩემპიონატი გველოდება და მჯერა, ეს ახალგაზრდები ღირსეულად ჩაანაცვლებენ ახლანდელ ლიდერებს. მინდა, მათ კიდევ ერთხელ მივულოცო ეს გამარჯვება და გულშემატკივართა სახელით დიდი მადლობა ვუთხრა ამისთვის. აღსანიშნავია ბერძენ-რომაელთა გუნდური გამარჯვებაც ევროპის ჩემპიონატზე. სამომავლოდ ორივე ნაკრებს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებ. ახლა აღებული მაღალი თამასა არც სამომავლოდ უნდა დავწიოთ დაბლა. მინდა, ჩვენს ახალ მინისტრს ვუსურვო, სპორტის სხვა სახეობებშიც ჰქონოდეს ასეთივე წარმატებები."*

**ლადო ვარძელაშვილი**: *„გუნდს, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს მეც დიდ მადლობას ვუხდი ასეთი კარგი შედეგისთვის. ეს მიღწევა კიდევ ერთხელ გვაიმედებს, რომ სპორტის ამ სახეობაში - ჭიდაობაში მომავალშიც გვექნება კარგი მაჩვენებლები. ასევე წარმატებებს ვუსურვებ იმ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში, რომლებიც ამ ახალგაზრდებს ნამდვილად ექნებათ."*

**ნუგზარ სხირელი**: *„ევროპის ჩემპიონატზე 32 ქვეყანა მონაწილეობდა, ჩვენ კი პირად პირველობაში ორ-ორი ოქრო-ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოვიპოვეთ. ძალზე გულდასაწყვეტია დავით მარსაგიშვილის მარცხი, რომელიც ევროპის ჩემპიონი უნდა გამხდარიყო და ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატიც იყო, მაგრამ სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ასე არ მოხდა და წააგო. ამ შეცდომებს მსოფლიოს პირველობისთვის გავითვალისწინებთ, რომელიც სულ მალე გაიმართება ბუდაპეშტში. ვეცდებით, იქაც ისევე გავამართლოთ ქომაგთა იმედები, როგორც - ბულგარეთში".*

მინისტრი ვარძელაშვილი გორის საჭიდაო სკოლის პრობლემასაც შეეხო და სხირელს თითქოს მოუბოდიშა, შიდა ქართლში რწმუნებულად მუშაობისას ეს რომ ვერ მოაგვარა. ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ ის პერიოდი ქვეყნისთვის უძნელეს დროს - რუსეთ-საქართველოს ომს დაემთხვა და საამისოდ ვერ მოიცალა, თუმცა იქვე პირობა დადო, რომ გაისად ამ პრობლემას აუცილებლად მოაგვარებს. იმედია, სიტყვასაც შეასრულებს და გორსაც ეღირსება ერთი ხეირიანი დარბაზი, რასაც ეს ქალაქი ნამდვილად იმსახურებს - ის ხომ თავისუფალ ჭიდაობაში ერთ-ერთი მთავარი ცენტრია საქართველოში და იქაურები ლამის მუდმივად ნაკრების ნახევარს შეადგენენ. არადა, პატარა, მოუხერხებელი დარბაზი მსურველებს ვერ იტევს და იქაურები აშკარად შეუფერებელ პირობებში ვარჯიშობენ.

სხირელმა ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე საუბრისას ერთი ამბავიც გაგვიმხილა - ბუდაპეშტში თითქმის უცვლელად იჭიდავებს ევროპაზე ნამყოფი შემადგენლობა, მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდება - 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში **თორნიკე ხიდეშელს ომარ გუსოშვილი** შეცვლის, სხვა წონებში კი კვლავაც ტალახაძე (50), ხინჩეგაშვილი (55), ჩოჩიშვილი (60), **დავით ტლაშაძე** (66), ხუციშვილი (74), მარსაგიშვილი (84) და საკანდელიძე (120) იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



ჭიდაობა

ინტერვიუ ვლადიმერ ადეიშვილთან

# მეგობრობამ რა ჰქმნა!



ვლადიმერ ადეიშვილი

**ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა ნაკრების თავკაცმა ვლადიმერ ადეიშვილმა მორიგ წარმატებას მიაღწია – მისმა შეგირდებმა ბულგარეთში დასრულებულ ევროპის პირველობაზე გუნდურ ჩათვალში გაიმარჯვეს, პირად პირველობაში კი ერთი ოქრო და ორი ვერცხლი მოიპოვეს. კონტინენტის ჩემპიონი ვასილ იმერლიშვილი (96) გახდა, ხოლო ვიცე-ჩემპიონობა თორნიკე მახარაძემ (50) და საჩინო დავითაიამ (66) ირგუნეს. შეგირდებისგან განსხვავებით, ადეიშვილისთვის გუნდური ჩემპიონობა პირველი არაა. გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ის სიტყვით არ გამოსულა, თუმცა განვლილი ჩემპიონატის შეფასება ცალკე ვთხოვეთ. არც მწვრთნელი დაგვზარდა და საკმაოდ საინტერესო ტენდენციებზეც ისაუბრა. თან, 20-25 ივლისს ბუდაპეშტში გასამართავ მსოფლიოს პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობაც გაამხილა.**

**- ალბათ, კითხვაც არ უნდა - თქვენი გუნდის გამოსვლით კმაყოფილი იქნებით...**

- ცხადია, კმაყოფილი ვარ და შეფასებაც მხოლოდ დადებითია. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მწვრთნელებს - ზაზა სილაგაძესა და ვილიამ ხარაზოვს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ წარმატებაში. ისინი ექვსი-შვიდი თვე თავდაუზოგავად მედგნენ გვერდში და მაქსიმუმს აკეთებდნენ ამ ბიჭების მოსამზადებლად.

ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ძალზე შეკრული გუნდი იყო და ბულგარეთში გამარჯვებაც ამან განაპირობა. ეს ჩემს სამწვრთნელო კარიერაში მესამე გუნდური პირველობაა - 2000 და 2004 წლებშიც გავხდით კონტინენტის ჩემპიონები. ახლა რომ ვუკვირდები, ყოველთვის ასე შეკრული, მეგობრული გუნდი იყო და აკი წარმატებებიც მოიპოვეს. ერთ მაგალითს გეტყვით: საჩინო დავითაია ცოტა თავისებური ბიჭია - მშრომელი, თავდაუზოგავად მოვარჯიშე, მაგრამ ცოტა მორიდებულია, თითქოს უჭირდა სხვებთან კონტაქტი, თუმცა ცალკე მასთან, ცალკე გუნდის წევრებთან საუბარმა შედეგი გამოიღო, ბიჭებმა მოახერხეს მისი დაახლოება, ისიც დაუმეგობრდა სხვებს და შედეგიც მოვიდა. არადა, ალალად ვიტყვი - არც ველოდებოდით მისგან ამას. მას წონის პრობლემა არ აწუხებს, თან ძალზე მონდომებულია და სულ ვფიქრობდი, რომ შედეგი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ახლა არ ველოდი. თუმცა ის ფინალიც წაართვეს აზერბაიჯანელ რასულ ჩუნაევთან. ისიც ძლიერი მეტოქეა და საჩინომ პირველი პერიოდი ნამდვილად წააგო. შესვენებაზე რომ გამოვიდა, შემომხედა და მტკიცე ხმით მითხრა, მაინც მოვუგებო. აქ პირველ შეხვედრასაც გავიხსენებ ლატვიელ ეივიდას სეკუსთან, რომელიც სათანადოდ არ შევაფასეთ და გაუჭირდა. საკმაოდ მკაცრად დაველაპარაკე და ვუთხარი, ლატვიელთან წაგება არ გვეკადრება-მეთქი... იმის შემდეგ წაგების საფრთხის წინაშე არც დამდგარა აზერბაიჯანელთან იმ პირველ პერიოდამდე და მაშინაც აქეთ დამამშვიდა. მართლაც, შევიდა ლეიბზე და მეორე სეტი 2:0 მოუგო. დაიწყო მესამე და იგებდა 1:0-ს. ამ დროს მეტოქე ზემოდან შეახტა და თან ფეხი ჩაუხვია, რომ არ გადაეგდო. სამაგიეროდ, ამან წინ ჩაჩეხა და თან გადაატრიალა, რის გამოც სამი ქულა მიიღო, მაგრამ შვეიცარიელ მსაჯ მარიანა ნობსის ინიციატივით, შეხვედრა შეაჩერეს და ის სამი ქულა გააუქმეს, რადგან ფეხის ჩახვევა ამას დააბრალეს. შეხვედრაში ძველი ანგარიში კი დარჩა - 1:0 დავითაიას სასარგებლოდ, მაგრამ ამ მომენტმა ფსიქოლოგიურად იმოქმედა, დაიბნა და როგორც კი შეხვედრა განახლდა, მაშინვე დაკარგა დასაწანი ქულები...

**- ყველაზე მეტად ვისი გეიმედებოდათ, ვინ იყო მწვრთნელთა ფავორიტი?**

- იმერლიშვილისგან წარმატებას ნამდვილად ველოდებოდით, რადგან უკვე საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. მან შარშაწწინ ჩვენს ნაკრებში მსოფლიოც იჭიდავა და ევროპაც. ამიტომ ველოდებოდი შედეგს და გაამართლა კიდეც.

წარმატებას ასევე ველოდებოდი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქემალ ხარაბაძისგანაც, მაგრამ მისით უკმაყოფილო დავრჩი და მსოფლიოს პირველობაზე ვცვლი კიდეც - გოგა გოგიბერაშვილს ვაყენებ. ხარაბაძე ძალიან პერსპექტიულია, მაგრამ რატომღაც ჩქარობს კარიერის აწყობას. შარშან საწვრთნელი პროცესი მიატოვა და გერმანიაში, კლუბში წავიდა საჭიდაოდ, რაც ახალგაზრდა და ჭაბუკი მოჭიდავეებისთვის გამართლებულად არ მიმაჩნია. ასე უკვე ზრდასრული მოჭიდავე შეიძლება მოიქცეს და არა - დამწყები. ის ჯერ პატარაა და ადრეა ეს მისთვის. ამის შესახებ ვაფრთხილებდი კიდეც, მაგრამ არ დაიჯერა, თუმცა აუხდა ჩემი სიტყვები.

**- მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სხვა ცვლილებებიც ხომ არ მოხდება გუნდში?**

- ცვლილებები იქნება. მაგალითად, მძიმე წონაში შოთა გოგისვანიძეს მისივე ძმა, ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი სერგო გოგისვანიძე შეცვლის. 50 კილოგრამში საერთოდ არ გვეყოლება მონაწილე - მახარაძე წონას არ იკლებს და არც ვაძალებ, რომ არ გადავწვა. ის, ალბათ, წონასაც შეიცვლის, მაგრამ ეს არ იქნება პრობლემა, რადგან პერსპექტიული ბიჭია. ამ წონაში სხვა არავინ გვყავს - აქ საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა ნაკრების წევრმა მოიგო, მაგრამ მაშინ მახარაძეში პერსპექტივა დავინახეთ და აქცენტი მაინც მასზე გავაკეთეთ. ამ შვიდთვიანმა შრომამ გაამართლა კიდეც, თუმცა ახლა წონის დაკლებას არ ვაძალებ. სხვა წონებში ისევ იგივენი იჭიდავებენ - მინდია წულუკიძე (55), დავითაია (66), უშანგი ჩიტიაშვილი (74), არსენ კახაბრიშვილი (84) და იმერლიშვილი (96). ამათგან წულუკიძემ და კახაბრიშვილმა ახლაც მესამესთვის იჭიდავეს, მაგრამ წააგეს, თუმცა მსოფლიოზე მათი მაინც მეიმედება.

ისე, ახლა ამათი წაგებაც მსაჯების ბრალია: წულუკიძე პოლონელთან დამარცხდა, კახაბრიშვილი - შვეიცარიელთან; მათ კი მედლები არ ჰქონდათ და ეს იყო ბოლო შანსი. ტურნირის დასრულების შემდეგ ის ქალბატონი, მარიანა ნობსი მობრძანდა და მოგვიბოდიშა, თუმცა რაღა დროს!

მოგეხსენებათ, გაისად მსოფლიოს ჩემპიონატს ჩვენ ვუმასპინძლებთ და ეს ცვლილებებიც იმ ტურნირისთვის მზადებას ისახავს მიზნად. ბევრ წონაში თაობათა ცვლა მოხდება და მინდა, ბიჭებმა გამოცდილება მიიღონ, რათა იმ ტურნირს რაც შეიძლება მეტი გამოცდილებით შეხვდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

## წყვილებში დარჩნენ

21 წლის **სოფიო შაფათავამ** (293) შეძლო საფრანგეთის ქალაქ ბიარიცში 100-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაქსიმუმი იყო ქართველი ჩოგბურთელისთვის - პირველ წრეში სოფიომ ულაპარაკოდ წააგო მე-5 ნომრად განთესილ რუმინელ **სიმონა ჰალეპთან** (111) - 0:6, 1:6. ჩვენებური ჯერჯერობით რჩება ბასკურ ქალაქში, ის რუს **ელენა ჩალოვასთან** (178) დუეტში წყვილთა თანრიგში თამაშობს. პირველ წრეში შაფათავა და ჩალოვა ადგილობრივ ჩოგბურთელებს **პოლინ პარმენტიესა** (107) და **სტეფანი კოენ-ალოროს** (142) ეთამაშებიან.

ბრიუსელში **მანანა შაფაქიძე** (400) მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) პირველ ნომრად იყო განთესილი. მანანამ უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა და მსოფლიოს 808-ე ჩოგან **ჟოზან ვან ბენეკომთან** (ჰოლანდია) სამ სეტში წააგო - 3:6, 6:0, 3:6. ეს ტურნირის პირველი წრის მატჩი იყო. შაფაქიძე სლოვაკ **ჟუჟანა ზლოხოვასთან** (510) ერთად წყვილთა ბადეში მე-2 ნომრად არის განთესილი და უკვე ნახევარფინალშია. ეს დუეტი პირველი წრისგან თავისუფალი იყო, მეორეში კი ქართველმა და სლოვაკმა ინდოელ **პჰადკეს** და ფრან **ვორს** მოუგეს - 6:3, 6:3.

## ნახევარფინალი ასე ახლოს იყო

**ანა ტატიშვილი** (155) ძალიან ახლოს იყო კარიერაში პირველად WTA-ს ტურნირის ნახევარფინალში გასვლასთან - ანა ამერიკელ **ლილია ოსტერლოსთან** დუეტში შვედეთის ღია პირველობის მეოთხედფინალში თამაშობდა. წინა წრეში მან და მისმა ამერიკელმა მეწყვილემ გზიდან **ოქსანა კალაშნიკოვასა** (156) და სლოვენიელი **ზეკ პეშკირიჩის** დუეტი ჩამოიცილეს. გუშინ კი ისინი პირველ ნომრად განთესილებს, იტალიელ **ფლავია პენეტას** (12) და არგენტინელ **ჟიზელ დულკოს** (48) დაუპირისპირდნენ. ბაშტადში თავიდან ტატიშვილისა და ოსტერლოს უპირატესობა აშკარა იყო, მათ სეტი 6:4 მოიგეს, მეორეში კი, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა, ფავორიტებმა 7:5 იმარჯვეს. დაინიშნა ტაი-ბრეიკი, რომელიც 10 ქულამდე გრძელდება. ტატიშვილი და მისი მეწყვილე 5:3 დაწინაურდნენ, მაგრამ ეს უპირატესობა ველარ შეინარჩუნეს და ერთის გარდა ყველა დარჩენილი მონწოდება წააგეს - 6:4, 5:7, 6:10.

დასანანია, რომ მოეგო, ანა 130 სარეიტინგო ქულას დააგროვებდა და მსოფლიოს საუკეთესო ასეულში შევიდოდა (ახლა 118-ე პოზიციაზეა წყვილებში), ახლა კი ანა 70 ქულით დაკმაყოფილდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ნანა, ეს შენი ტურნირია

## თქვა და გაიმარჯვა კიდეც

**როგორც იცით, სომხურ ჯერმუკში ორიოდე დღის წინათ დამთავრებულ მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის მეოთხე ტურნირში შესანიშნავად ითამაშა ქართველმა დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და უახლოეს მდევარ რუს ტატიანა კოსინცევას ქულა-ნახევრით გაუსწრო.**

**სომხური ბატალიების ტრიუმფატორს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გუშინ შეხვედრა მოუწყვეს. გრან-პრის სერიის ერთპიროვნულ ლიდერს გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ, სახელოვანმა მოჭადრაკემ, „ნტნ“-ის პრეზიდენტმა ნანა ალექსანდრიამ, დიდოსტატმა ზურაბ სტურუამ...**



ნანა ძაგნიძე 23 წლისაა. ჭადრაკის თამაში 5 წლისამ დაიწყო ქუთაისში. შეჯიბრებებში 7 წლის ასაკიდან მონაწილეობს და მრავალი წარმატებისთვის მიუღწევია. თანატოლებში სამჯერ გაიმარჯვა ევროპის პირველობებზე, ოთხჯერ კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ქალთა ეროვნულ ჩემპიონატებში სამჯერ მოიპოვა ოქროს მედალი. საქართველოს ნაკრებთან ერთად პირველი იყო 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ევროპის საკლუბო ჩემპიონატებზე სამჯერ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, კონტინენტის გუნდური პირველობების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელია. არაერთხელ მიუღწევია წარმატებებისთვის საერთაშორისო ტურნირებზეც. განსაკუთრებით ფიდეს გრან-პრის გათამაშებაზე იყოჩაღა. შარშან ჩინურ ნანძინში მეორე იყო. წლეულს ნალჩიკში — მესამე, ახლახან კი, როგორც ვთქვით, ჯერმუკში პირველობა არავის დაუთმო. გუშინ ქართველ დიდოსტატს სპორტის სამინისტროში შეხვედრის შემდეგ გავესაუბრე:

— სომხეთში გამგზავრებამდე პირად მწვრთნელ ზურაბ სტურუასთან ერთად ბაზალეთზე გავიარე საწვრთნელი შეკრება, სადაც საქართველოს ნაკრების წევრებიც იმყოფებოდნენ; ინტენსიურად მოვემზადე როგორც საჭადრაკო თეორიებში, ისე ფიზიკურად. ნალჩიკის გრან-პრიდან დაბრუნების შემდეგ ვაღიარე, რომ ფიზიკურ კონდიციებში აშკარად მოვიკოჭლებდი. განსაკუთრებით ტურნირის მეორე ნახევარში გამიჭირდა. ამიტომაც ხარვეზის გამოსასწორებლად ყველაფერი ვიღონე: დავდიოდი ტრენაჟორებზე, ყოველდღიურად ვცურავდი. ერთი სიტყვით, ჯერმუკში უფრო ყოჩაღად ვგრძნობდი თავს და ეს შედეგშიც აისახა.

**— როდის მიხვდი, რომ ტურნირის მოგება შეგეძლო?**

— ჯერმუკში რომ მივდიოდით, მე და ჩემმა მწვრთნელმა გადავწყვიტეთ, გამართული ჭადრაკი მეთამაშა. წინასწარ არ მიყვარს ადგილების დაგეგმვა და ეს არც ახლა გამიკეთებია. მით უმეტეს, რომ თავიდან პირველობაზე ფიქრი მთლად რეალური არც იყო — ჯერმუკში ხომ სამი მსოფლიოს და ორი ევროპის ჩემპიონი ასპარეზობდა. პირველ ტურში 2002 წლის ევროპისა და 2004-2006 წლების მსოფლიოს ჩემპიონის, ბულგარელ ანტოანეტა სტეფანოვას ძლევამ ძალების რწმენა შემმატა. რვიდან 7,5 ქულა რომ მოვაგროვე, ძალაუნებურად გავიფიქრე: ნანა, ეს შენი ტურნირია, ბოლომდე უნდა გაიტანო და გაიმარჯვო-მეთქი.

**— უმთავრეს კონკურენტ კოსინცევასთან კარგი პარტია გამოგივიდა...**

— ნალჩიკის გრან-პრიზე ტატიანასთან შეხვედრისას უკეთესი პოზიცია მქონდა, მაგრამ ერთ მომენტში შევცდი: ჯერ ფიგურა უნდა ამეყვანა და მერე გრძელი როქი გამეკეთებინა. მე კი სვლები ამერია და პარტია წავაგე. საკუთარ თავზე გავბრაზდი, კოსინცევას კი გულში ჩემთვის დავემუქრე — ამ პარტიის მოგებას არ შეგარჩენ, სადაც შეგხვდები, ყველგან გაგიტან-მეთქი. არადა, რუსი დიდოსტატი დღევანდელ ქალთა ჭადრაკში უძლიერეს მოთამაშედ მიიმაჩნია, დიდ პატივსაც ვცემ, მაგრამ, ყოველივეს მიუხედავად, ჯერმუკში სარევანშოდ ვიყავი განწყობილი. თუ დამიჯერებთ, პარტიის წინ იოტისოდენიც არ მინერვიულია. მეტოქეც ამჩნევდა ჩემს შემართებას და, ეტყობა, მასზე ამანაც იმოქმედა. მართლაც, კარგი პარტია გამოგვივიდა. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ჩემდა სასიკეთოდ დამთავრდა და ნადილი ავისრულე.

ამ პარტიის შემდეგ გამოსასვლელი დღე გვქონდა. აქტიურად დავისვენე. მეგობარ მოჭადრაკეებთან ერთად ბევრი ვიარე ფეხით. ექსკურსიაზეც ვიყავით. უნდა ითქვას, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ჩინებული პირობები შემოგვთავაზეს.

**— ჩიბურდანიძესთან შეხვედრაზე რას იტყვი?**

— ქალბატონ მაიას უდიდეს პატივს ვცემ. იგი ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანია, ბავშვობის კერპი და როგორ გინდა, ასეთი პიროვნების წინააღმდეგ იბრძოლო? ამიტომაც ვთხოვე ბატონ ზურაბ სტურუას, ქალბატონ მაიასთან სათამაშოდ განმაწყვე, იგი მეტოქედ წარმომადგენინე-მეთქი. საამისოდ, მართლაც სათანადოდ გაისარჯა.

**— მაიამ რა გითხრათ პარტიის წაგების შემდეგ?**

— მარცხი, აბა, ვის უხარია, მაგრამ ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონს სახეზე წყენა არც დასტყობია. გულით მომილოცა გამარჯვება და ტურნირზე წარმატება მისურვა.

**— დიდ მიზანთან ახლოს ხარ — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის რუს ალექსანდრა კოსტენიუკს ეთამაშო. მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?**

— ცხადია, კოსინცევას. ყველაზე დიდი შანსი მას აქვს. თუმცა, ნურც ინდოელ ჰამფი კონერუს დავივიწყებთ, რომელმაც კიდევ ორი ტურნირი უნდა ითამაშოს. ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი სიუ იუჰუა და ერთ-ორ მოჭადრაკეც ინარჩუნებენ პირველობის შესაძლებლობას, მათ შორისაა ჩინელი ჰოუ იფანი.

**— კოსინცევამ მეოთხე ტურნირზე რატომ თქვა უარი?**

— ნესით, გრან-პრის სერიის რომელ ეტაპზე ითამაშებ, ეს შეჯიბრებების დაწყებამდე უნდა განაცხადო. ტატიანამ თავიდანვე სამი ასპარეზობა აირჩია, რადგან ერთ-ერთი ტურნირი ევროპის საკლუბო ჩემპიონატს ემთხვეოდა და რუსმა მოჭადრაკემ საკუთარ კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტა არ ისურვა.

**— ჰოუ იფანს ბოლო ტურში მე-13 სვლაზე დაუზავდი. ფიდე კი 30 სვლამდე ყაიმზე შეთანხმებას კრძალავს. რა მოხდა? მით უმეტეს, რომ ჩინელ მეტოქეს გრან-პრისთვის ქულები სჭირდებოდა...**

— გრან-პრის დებულებით, ყაიმზე შეთანხმება, საერთოდ, აკრძალულია, თუ პოზიცია სამჯერ არ განმეორდა, მუდმივი ქიში არ არის, ან დაფაზე „მკვდარი ყაიმი“ არ დგას. მე ნახევარ ქულაზეც თანახმა ვიყავი, ამიტომ პოზიციის გამეორება დავიწყე. ჰოუ იფანიც ამყვა. ეტყობა, ისიც გადაიღალა და ბრძოლის გაგრძელების სურვილი არ ჰქონდა. გრან-პრის იმხელა ენერგია მიაქვს, რომ ადამიანს ზოგჯერ ჭამის მადაც გეკარგება.

**— ამიტომაც მე-4 ეტაპისთვის მზადებას, ალბათ, ახალვე შეუდგები...**

— ისე ვარ დაღლილი, ერთი კვირა მაინც თუ არ დავისვენე, ვერაფერს შევძლებ. მერე კი პირად მწვრთნელთან ერთად მზადებას შევუდგები, ოღონდ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადისთვის, რომელსაც ხანტი-მანსიისკი უმასპინძლებს. ქალებს ტიტული გვაქვს დასაცავი. გრან-პრის ბოლო ეტაპზე იმ შეჯიბრების შემდეგ ვიფიქრებ...

ჯერმუკში ნანა ძაგნიძის წარმატებასთან და მსოფლიოს ჩემპიონთან მისი შესაძლო შეხვედრის შესახებ აზრის გამოთქმა რამდენიმე სპეციალისტს ვთხოვე:

**ნონა გაფრინდაშვილი,** ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი: შეჯიბრების პირველი დღიდან ასპარეზობის მონაწილეებს არ მოვცილებივარ. იქაურ ბატალიებს მათთან ერთად განვიცდიდი. ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე მოჭადრაკეებს მართლაც გაუჭირდათ. ბოლო ტურებში ისე იყვნენ დაღლილი, მგონი, თამაშიც ეზარებოდათ, უამრავ შეცდომას უშვებდნენ. ამგვარ სიტუაციაში ყველაზე ყოჩაღად ნანა ძაგნიძე გამოიყურებოდა. ფანტასტიკური შედეგი აჩვენა. ამ ტურნირმაც დაგვარწმუნა, რომ იგი გრან-პრის ეტაპების წინ საკუთარი ძალების მობილიზებას ახერხებს. პირადი მწვრთნელის ხელიც დაეტყო. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერმუკში სულ სხვა ნანა ძაგნიძე ვიხილეთ.

**ზურაბ სტურუა:** ქალებში ასეთი მაღლი დონის ტურნირი მე არ მახსოვს: ვაჟებში დიდოსტატის ტიტულის მატარებელი შვიდი ქალბატონი თამაშობდა, რომ არაფერი ვთქვათ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონების სიმრავლეზე. ამ ასპარეზობისთვის მე და ჩემი შეგირდი სათანადოდ მოვემზადეთ: ბევრი რამ შევცვალეთ დებიუტებში, ენდშპილებში. მიხარია, რომ ნანამ პირველ 8 ტურში 7,5 ქულა მოაგროვა. ამგვარ ტურნირებში ასეთი რამ კიდევ როდის გამეორდება, არავინ იცის. ვეცდებით, ბოლო ეტაპზეც წარმატებით გამოვიდეთ.

**გია გიორგაძე:** ნანას რეალური შანსი აქვს, გრან-პრის გათამაშება მოიგოს, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში შეხვდეს კოსტენიუკს და ქართველებს დიდი ხნის ნანატრი ტიტული დაგვიბრუნოს. ნანას ეს პასუხისმგებლობა შეგნებული აქვს და მზად არის, თავისი წილი ტვირთი ღირსეულად ზიდოს.

**— ზურაბ სტურუასთან მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ნანას სათამაშო კლასი საგრძნობლად ამაღლდა, მაგრამ მიზნის მისაღწევად ეს იკმარებს? ნორვეგიელი ვუნდერკინდის — მაგნუს კარლსენის უდიდეს წარმატებებს ნიჭთან ერთად ის სამწვრთნელო შტაბიც განაპირობებს, რომელიც ახალგაზრდა დიდოსტატს ზურგს უმაგრებს. თქვენც ხომ არ ფიქრობთ თბილისში ძაგნიძისთვის ასეთი შტაბის ჩამოყალიბებაზე?**

— გეთანხმებით. სერიოზული სამწვრთნელო შტაბი სასწრაფოდაა ჩამოსაყალიბებელი. სახელმწიფოს მხარდაჭერით ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ძაგნიძემ ფინალში ითამაშოს და დაფნის გვირგვინიც მოიპოვოს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კალათბურთი

ქართულ-ამერიკული სატრანსფერო სიახლეები

# პოსლი და გრინი ესპანურ ორბიტაზე

საქართველოს ნაკრების ორი ამერიკელი ახალწვეული **ქუინტონ ჰოსლი** და **ტორინ გრინი** ჩვენს ეროვნულ გუნდთან ერთად ავსტრიაში ვარჯიშს უკვე შეუდგნენ. ვიდრე ისინი ქართველებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან, მათი აგენტები საკლუბო საკითხებზე მუშაობენ. ეფექტურად ჩატარებული სეზონის შემდეგ გრინსაც და ჰოსლისაც ძლიერ გუნდებში თამაში სურთ. პირველი შარშან ბერძნულ აეკ-ში ასპარეზობდა, ხოლო ჰოსლი - თურქულ „იზმირში“.

უკანასკნელი ინფორმაციით, მათი გადაბირებით ესპანური კლუბები არიან დაინტერესებულნი. ერთ-ერთი კანარული გაზეთის ცნობით, გრინის დამატებაზე ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელი „გრან კანარია“ მუშაობს:

*„გამთამაშებლის პოზიციაზე ტორინ გრინის ვარიანტი განიხილება. იგი ახალგაზრდა უკანახაზელია, ამერიკაში ფლორიდის უნივერსიტეტში ელ ჰორფორდთან და იოაკიმ ნოასთან ერთად თამაშობდა, შემდეგ ევროპაში გადმოვიდა და „სარაგოსაში“ გამოდიოდა. გასული სეზონი ბერძნულ აეკ-ში გაატარა.“*

ესპანეთის ჩემპიონატში გადასვლა, გრინის კარიერაზე ნამდვილად დადებითად აისახება. თუმცა, ჯერ საკონტრაქტო საკითხებზე არავინ ლაპარაკობს. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

■ ■ ■

ასევე ჯერ არაფერი გადაწყვეტილა ქუინტონ ჰოსლისთან მიმართებაშიც, თუმცა ესპანური გაზეთები უკვე აქტიურად ლაპარაკობენ მისი „ხუვენტუდში“ გადასვლის შესახებ. გამოცემა „ენკანჩაში“ ვკითხულობთ:

*„ხუვენტუდის“ მთავარ მწვრთნელთან დაახლოებულმა ჟურნალისტმა ხავი ბალესტეროსმა თავის დღიურში დაწერა, რომ ხუვენტუდელთა ორბიტაზე საინტერესო კალათბურთელი გამოჩნდა - ქუინტონ ჰოსლი. იგი გასულ სეზონში თურქულ „იზმირში“ თამაშობდა. მანამდე კი მადრიდის „რეალში“ ცდიდა ძალებს. „ტერმინატორმა“ (ჰოსლის ასე იცნობენ საკალათბურთო წრეებში) ახლახან საქართველოს პასპორტი მიიღო, რაც ესპანეთში გადასვლას გაუადვილებს. „ხუვენტუდის“ მთავარ მწვრთნელს იმედი აქვს, რომ ქუინტონ ჰოსლი სწორედ ის კალათბურთელია, რომელიც მის გუნდს მომავალი სეზონის წინ სათანადოდ გააძლიერებს. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „ხუვენტუდი“ წარუმატებლად გამოვიდა - მე-11 ადგილი დაიკავა და პლეი ოფში ვერ გავიდა.“*

**ვაჟა სიმონიშვილი**




რაგბი

# ფინალი: ლელო-ლოკომოტივი

გუშინ საქართველოს თასის ორი საპასუხო ნახევარფინალური მატჩი გაიმართა და გაირკვა იმ ორი კლუბის ვინაობა, საქართველოს თასისთვის რომ იბრძოლებს. მაშ, ასე, 14 ივლისს, ოთხშაბათს ფინალი გველის - თასის მფლობელი „ლელო“ ტიტულის დაცვას „ლოკომოტივთან“ მატჩში შეეცდება. გუშინ „ლოკომოტივი“ ბათუმს ეწვია და ადგილობრივ გუნდს ანგისას სტადიონზეც მოუგო - 29:17. სხვათა შორის, პირველ შეხვედრაში რკინიგზელებმა მხოლოდ 9-ქულიანი სხვაობით იმარჯვეს (24:15).

„ლელომ“ „აიას“ პირველ მატჩში 4-ქულიანი სხვაობით მოუგო - 25:21. საპასუხო შეხვედრა გუშინ ვაკეში გაიმართა და „ლელომ“ 19:12 იმარჯვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

# საქა-რთველო ძირითად ბადეში მარცხით იწყებს

შვეიცარიის ქალაქ გშტადში დაიწყო მსოფლიო ტურის მორიგი ტურნირი - „ენერგი გრანდ სლემ 2010“, სადაც ჩვენი პლაჟბურთელებიც მონაწილეობენ. ქალთა ტურნირით დავიწყოთ. **საქა (კრისტინა სანტანა)** და **რთველო (ანდრეზა ჩაგასი)** რეიტინგით ძირითად ბადეში ვერ მოხვდნენ, თუმცა მათი 2144 ქულა საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ისინი ტურნირზე პირველ ნომრებად განეთესათ. საქა-რთველომ იოლად გაიარა საკვალიფიკაციო ბადე. ჩვენებმა ჯერ მასპინძლებს **(ბრუნერი, ჰაიდრიხი)** მოუგეს 2:0 (21:14, 21:16), შემდეგ კი მე-16 ნომრად განთესილი პოლონური დუეტი **(ვიატრი, ურბანი)** დაამარცხეს - 2:0 (21:13, 21:18). ორივე მატჩს სანტანა და ჩაგასი საათზე მეტს არ მოუნდნენ. ასე გავიდა საქართველო ძირითად ბადეში, სადაც მათ განთესვის 24-ე ნომერი მისცეს.

პირველი შეხვედრა ჩვენებურებს შვეიცარიელებთან ჰქონდათ. **კუნისა** და **ცუმკერის** დუეტი ტურნირზე მე-9 ნომრად განთესეს. ჩვენებმა მხოლოდ მეორე სეტში შეძლეს ხეირიანი წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მაინც წააგეს - 0:2 (13:21, 19:21). თამაში 40 წუთს გაგრძელდა. მეორე მეტოქე კიდევ უფრო ძლიერი ჰყავს ჩვენს გუნდს, ბრაზილიელები **მარია კლარა** და **კაროლი** მე-8 ნომრად არიან განთესილნი. საქა-რთველო პულში კიდევ ერთ მატჩს გამართავს 25-ე ნომრად განთესილ რუსებთან **(ბრატკოვა, უკოლოვა)**.

თუკი საქა-რთველოს ბრძოლამ მოუწია ძირითად ბადეში გასაღწევად, ჩვენს ვაჟებს **გეორ-გია (რენატო გომეში, ჟორჟე ტერშეირო)** საკმარისი რეიტინგი აქვთ, რათა იქ მოხვედრილიყვნენ. ვაჟთა ტურნირი ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპზეა, ძირითადი ბადე წუხელ გვიან შედგებოდა...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კრისტინა სანტანა (საქა) გშტადში

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტული ქრონიკები

ჩაუქები

## ამერიკელთა გამაოცებლები



დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“, 1 ივლისი, 2010

ეს წერილი „ცნობის ფურცელმა“ უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში (1903 წლის 16 აპრილს) დაბეჭდა, თუმცა მასში აღწერილი ამბავი ჩვენთვის უკვე ნაცნობ მოვლენას და ფაქტებს უკავშირდება. „ჩვენს მკითხველთ ემახსოვრებათ, რომ ერთმა ჩიკაგოელმა ანტრეპრენერმა ჩიკაგოს უკანასკნელი გამოფენის დროს საქართველოდან ამერიკაში წაიყვანა ოცამდე ჩვენებური ყმაწვილი. ქართულ ტანისამოსში გამოწყობილები, საუკეთესო ცხენოსნები და მომღერლები... ამერიკის თვით საუკეთესო ცხენოსნებიც იძულებულნი გამხდარან თურმე, ჩვენებურთათვის პირველობა დაელოცათ ცხენოსნობაში. ამ გარემოებას მოხერხებული ანტრეპრენერი უფრო გაუმხნევებია და ამაზე წინათ გურიიდან ოცი ყმაწვილი კიდევ დაუბარებია ნიუიორკში. ეს ოცი კაცი მათ მეთაურებს დიმიტრი ცინცაძეს და ლუკა სართაშვილს ამ ექვსი დღის წინათ ბათუმიდან მარსელში ჩამოუყვანიათ... მთლად იარაღში ჩამსხდარნი რაზმი რომ უნახავთ, ზოგს რუსის აფიცრები ჰგონებია ლანჩხუთელები, ზოგიც კავკასიის ყაზახ-რუსებს ეძახდნენ თურმე. წარმოიდგინეთ მათის აქ ყოფნის ამბავი გაზეთშიაც კი დაუბეჭდავთ. აი რას ვკითხულობთ მათ შესახებ მარსელის გაზეთ „ლე რეველ დუ ლიონში“: გუშინწინ გვეწვივნენ ბ-ნნი დიმიტრი ცინცაძე და ლუკა სართაშვილი, კავკასიელი ყაზახ-რუსები, რომელთაც ოცი მხედარი მიჰყავთ ამერიკაში, სადაც საზოგადოებას თავიანთი ცხენოსნობა უნდა აჩვენონ პონეი ბილის ცირკში. ამ უცხოელთა საუცხოვო ტანისამოსი, მათი თეთრი და რუხვის ფერი ბუხრის ქუდები, გრძელი სამოსელი (ჩოხა), ბრჭყვიალა მასრები, ოქროვერცხლით დაფერილი იარაღი მთელს ქალაქს აკვირვებდა.

მარსელელნი ხომ გააკვირვეს ჩვენმა თანამემამულეებმა, მაგრამ გულგრილად არც პარიზელნი დახვედრიან. აქ ჩამოვიდნენ 7 აპრილს. ეს რაზმი მთელ არსენალ ასხმული, ნამდვილ მეომრებს აგონებდა პარიზელთ. საცა კი გაივლიდნენ, ქუჩებზე ტევა არ იყო ხოლმე.

...მეტადრე ამერიკელი მანდილოსნები მოვხიბლეთო. ერთმა შეძლებულმა ქალმა ერთ ჩვენს ამხანაგს უთხრა ცოლად გამოგყვებიო, მაგრამ აბდალმა ჩვენებური გურული ციცა არჩია და ქე ჭამს ახლა გურიაში ჭადს და ლობიოს“.

საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული 1903 წლის 12 აპრილის „ცნობის ფურცელში“. ერთი ინგლისელი გურული ცხენოსნების შესახებ მკითხველებს საინტერესო მოსაზრებას უზიარებს: „საკვირველი ცხენოსნები არიან... ავსტრალიისა და ამერიკის მინდვრებში ვყოფილვარ, ასობით და ათასობით ვიცნობდი ცხენოსნებს, მაგრამ მსგავსი კი არაფერი არ მინახავს. ეს კაცები ასე გვგონია ცხენზე ამოსულები არიანო. ვერ გამოირჩევა: სად თავდება კაცი და სად იწყება ცხენი“.

როგორც ძველი წყაროებიდან ირკვევა, სხვადასხვა დროს უცხოეთში დაახლოებით ასამდე ქართველი ცხენოსანი გამოდიოდა და თავის ოსტატობას აჩვენებდა მაყურებელს. ზოგი მათგანის ვინაობა ცნობილია, ზოგისა — არა. ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი გვარების ჩამოთვლა. დარწმუნებული ვართ, რომ ვიღაც უსათუოდ შეავსებს ამ სიას, ქართველ მხედართა უცხოეთში მოგზაურობას რაღაც ახალ ფაქტს, ცნობას ან ამბავს დაუმატებს. ქართველ ცხენოსანთა გვარების ჩამოთვლა, ვფიქრობთ, იმითაც არის საინტერესო, რომ ჩვენი სახელოვანი წინაპრების სახელები არ დაიკარგება.

აი ისინი, ვინც მაღალი მხედრული ოსტატობითა და ღირსებებით უცხოეთის საზოგადოებას ხიბლავდა: ივანე როსტომის ძე მახარაძე, პავლე მახარაძე, ლუკა ნანიკოს ძე ჩხარტიშვილი, ქიშვარდი მახარაძე, ყარამან კალანდარიშვილი, სილიბისტრო მახარაძე, კ. კვეტაიშვილი, ბარბარე სპირიდონის ასული ზაქარაშვილი-იმნაძისა, კ. ცინცაძე, ვალიკო და უშანგი კვეტაიშვილები, იოსებ სიმა მაქსიმელის ძე იმნაძე, ივანე მაქსიმელის ძე ჯორბენაძე, ირაკლი ცინცაძე, პორფილე ივანეს ძე ქანთარია, კონსტანტინე ნანიკოს ძე ჩხარტიშვილი, თეოფანე (ტიფო) ქავთარაძე, ივანე დიანოსის ძე ბარამიძე, სიმონ ორაგველიძე, გიორგი ოთარის ძე ჩხაიძე, ქრისტინე დავითის ასული ცინცაძე, მალხაზ და მიხეილ ანთაძეები, იოსებ და ივანე ბარამიძეები, მოსე გიგინეიშვილი, პლატონ, ალექსანდრე, ხალამპრე მურვანიძეები, იორამ და რაფიელ მშვიდობაძეები, ნიკოლოზ სურგულაძე, ბესარიონ, დიმიტრი, იოსებ, მელიტონ და ფოლტა ცინცაძეები, მიხა დარასელია, მენაღარიშვილი, კირილე ხოფერია...




ამ პუბლიკაციაზე მუშაობის დროს გიორგი ოთარის ძე ჩხაიძის ქალიშვილმა ეკატერინემ გვიამბო საინტერესო ფაქტის შესახებ, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

ქართველი ცხენოსნების გამოსვლას ამერიკის შეერთებულ შტატებში თურმე დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი (1901-1909 წ.წ). ქართველი მხედრების გამოსვლა პირველად ვაშინგტონში უნახავს, მერე კი მათ უჩვეულო ატრაქციონს ჩიკაგოში დასწრებია.

ჩიკაგოში გიორგი ჩხაიძეს რაღაც ურთულესი ილეთი შეუსრულებია, რასაც პრეზიდენტი გულწრფელად აღუფრთოვანებია, შეჯიბრების შემდეგ ქართველი მხედრისთვის მას სამახსოვრო ლარნაკი და ოქროს ბეჭედი მიურთმევია, ლარნაკზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, გამოსახულია ცხენზე ამხედრებული პრეზიდენტი ხმლით ხელში.

**ზურაბ თედორაძე**

თარიღი — 8–14 ივლისი

08.07.1975. დაიბადა პავლე ჯიმშელაძე — რაგბი.
10.07.1950. დაიბადა შოთა ჩოჩიშვილი — ძიუდო. გარდაიცვალა 2009 წელს.
10.07.1965. დაიბადა ნინო უჩაძე — ტყვიის სროლა.
10.07.1910. დაიბადა შალვა დიასამიძე — კალათბურთი. გარდაიცვალა 1974 წელს.
12.07.1912. დაიბადა შალვა ჩიხლაძე — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. გარდაიცვალა 1997 წელს.
12.07.1956. დაიბადა ედიშერ მაჩაიძე — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
13.07.1969. დაიბადა კახი კახიაშვილი — ძალოსნობა.
13.07.1940. დაიბადა იური დიაჩკოვი — მძლეოსნობა.
10.07.1991. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია გახდა საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის კონფედერაციის წევრი.

იყო ასეთი შემთხვევა

## გაჩემპიონება ნათხოვარი მაისურებით

1987 წელს ქუთაისის „აია“ პირველად გახდა რაგბიში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. გადამწყვეტი მატჩი მოსკოვში, მონინოში გაიმართა უშუალო კონკურენტ ვვა-სთან. ქართველები სათამაშოდ წითელი მაისურებით ჩავიდნენ. მონინოელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ჩვენც წითელი მაისურები გვაქვს და, რადგან მოქმედი ჩემპიონები ვართ, არჩევანი ჩვენზეაო. რა უნდა ექნათ ქუთათურებს? სხვა ფერის მაისურები წაღებული არ ჰქონდათ და მასპინძლებმა თავიანთი სათადარიგო ლურჯი მაისურები ათხოვეს. მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ ქუთაისელებმა მრისხანე მეტოქეს მისსავე მოედანზე მათივე მაისურებით სძლიეს და ჩემპიონობა იზეიმეს. აქვე დავძენთ, რომ დუგლას კავთელაშვილის ხელმძღვანელობით „აია“ მომდევნო, 1988 და 1989 წლებშიც კიდევ ორჯერ ზედიზედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი.

თქვენთვის, ერუდიტებო ვიქტორინა

1. ფეხბურთში 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე რომელმა ქართველმა ფეხბურთელმა გაიტანა 4 გოლი ხუთ მატჩში?
ა – ვიტალი დარასელია
ბ – რამაზ შენგელია
გ – ვლადიმერ გუცაევი

2. ალექსანდრე ჩივაძე ფეხბურთში მსოფლიოს რომელ ჩემპიონატში კაპიტნობდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს?
ა – არგენტინის
ბ – მექსიკის
გ – ესპანეთის

3. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი ერთ სპორტულ სეზონში გახდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი და დაეუფლა სსრ კავშირის თასს. რომელ წელს?
ა – 1978 წელს
ბ – 1979 წელს
გ – 1980 წელს

4. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 1999 წელს საქართველოს ნაკრების რომელმა ფეხბურთელმა გაუტანა თბილისში ერთადერთი გოლი (1:2) საბერძნეთის ნაკრებს?
ა – თემურ ქეცბაია
ბ – გიორგი ნემსაძე
გ – გიორგი ძინძლაძე

5. საქართველოდან რომელ საფეხბურთო მსაჯს მიენიჭა პირველს საერთაშორისო კატეგორიის წოდება?
ა – გიორგი ბაქანიძე
ბ – ილია გოჭორიძე
გ – კარლო ყრუაშვილი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

ჩვენზე წერდნენ...

„ქართველები ბრძოლის წინ ლელობურთს თამაშობდნენ, რათა ფსიქოლოგიურად განეწყოთ ჯარი. მრავლისმეტყველია აგრეთვე თბილისის რამდენიმე უბნის სახელწოდებები: — საბურთალო, ასპარეზი, ყაბახი. ხოლო რაც შეეხება მრავალრიცხოვან რელიგიურ დღესასწაულებს, ისინი როგორც წესი, თავდებოდა სახალხო თამაშებით, გართობებით და სანახაობებით. მრავალმა, სხვადასხვაგვარმა, სწრაფი მოძრაობებით დამახასიათებელმა თამაშებმა, როგორც ე.ა. პოკროვსკი ამბობს, დასაბამი აიღეს იმ ხალხში, რომელსაც უყვარს სისწრაფე, სიმარჯვე, ცოცხალი, ხალისიანი მოქმედება“.



პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** ქართველი ფეხბურთელები, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებში იასპარეზეს, იყვნენ **გივი ჩოხელი** და **მიხეილ მესხი** (სამ-სამი მატჩი), **სლავა მეტრეველმა** მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა, **სერგო კოტრიკაძე** სათადარიგო მეკარე იყო და იმ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღია. 1962 წლის (ჩილე) მუნდიალს საბჭოთა ნაკრები მეოთხედფინალში გამოეთიშა.

**პირველმა** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ქართველებიდან გოლი გაიტანა სლავა მეტრეველმა. ეს მოხდა 1966 წელს ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატში, მესამე ადგილისთვის მატჩში პორტუგალიასთან.

**პირველად** ყველაზე მეტმა ქართველმა (6) ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში 1970 წელს მექსიკაში იასპარეზა. სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიოდნენ: **კახი ასათიანი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, გივი ნოდია, სლავა მეტრეველი** (არ უთამაშია), **ანზორ კავაზაშვილი**. ასათიანმა გოლიც გაიტანა. საბჭოთა ნაკრები მერვედფინალში დამარცხდა ურუგვაისთან.

ფოტომატიანე



## 41 წლის წინათ...

ეს ფოტო 1969 წელს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართული სოციალისტური ქვეყნების „დინამიადის“ დღეებშია გადაღებული. პირველობა წილად ხვდა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა გაერთიანებულ გუნდს. მწვრთნელთაგანაც ერთი თბილისელი იყო — ლევან ინწკირველი, მეორე მოსკოველი — ევგენი გომელსკი. II რიგში (მარცხნიდან) მათ გარდა დგანან: ა. პეტროვი (მოსკოვი), ვ. ალთაბაევი, თ. ჩიხლაძე, ვ. ნარიმანიძე (სამივე — თბილისი), უცნობი, გ. სოკოლოვი (მოსკოვი), ა. სხიერელი (თბილისი).

I რიგში: პ. ილიუკი, ვ. ცინმანი (ორივე-მოსკოვი), ვ. უგრეხელიძე, ა. ლეჟავა, ს. მალალაშვილი (სამივე-თბილისი).

ფოტო „ლელოს“ არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი | მსოფლიოს ჩემპიონატი 2010

# მხოლოდ ორი ჩემპიონით



ამერიკის ნაკრების კიდევ ორმა ვარსკვლავმა თქვა ოფიციალური უარი მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლაზე.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** განაცხადა, რომ გასულმა სეზონმა ძალიან ბევრი ენერგია წაართვა და ამის გამო არ გაემგზავრება თურქეთში სათამაშოდ. უარის სხვა მიზეზი აქვს „დენვერ ნაგეტსის" ფორვარდ **კარმელო ენტონის** - მას ამ კვირას ქორწილი აქვს და მთელი ზაფხულის ოჯახთან ერთად გატარებას აპირებს.

*„წამყვანი მოთამაშეების არყოფნას სამი მიზეზი აქვს: მათ, უბრალოდ, არ სურთ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში, ან ტრავმები აწუხებთ, ან კიდევ დაღლილი არიან გასული სეზონის შემდეგ. მათი არჩევანი ჩვენთვის გასაგებია"*, - განაცხადა ამერიკის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ.**

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ 2008 წლის ოლიმპიური გუნდიდან წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ **დერონ უილიამსი** და **კრის პოლი** გაემგზავრებიან. ამერიკელები შეკრებას ლას ვეგასში 19-24 ივლისს გაივლიან, რის შემდეგაც საბოლოოდ დადგინდება 12-კაციანი განაცხადი. ჯგუფურ ეტაპზე აშშ-ის მეტოქეები იქნებიან ხორვატიის, ბრაზილიის, ირანის, ტუნისისა და სლოვენიის ნაკრებები.

ერთი ვარსკვლავის გარეშე დარჩა სერბეთის ნაკრები. მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს ვერ შეძლებს ცენტრი **დარკო მილიჩიჩი,** რომელმაც ცოტა ხნის წინ „მინესოტა ტიმბერვულვზთან" გააფორმა კონტრაქტი. როგორც ირკვევა, სწორედ კლუბმა არ მისცა მილიჩიჩს მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის უფლება.

და კიდევ, პლანეტის პირველობაზე ვერ ვიხილავთ გასული ევროლიგის საუკეთესო მოთამაშეს, ბელგრადის „პარტიზანის" ცენტრ **ალექს მარიჩს.** წარმოშობით ხორვატ კალათბურთელს ავსტრალიის ნაკრებში უნდა ეთამაშა, მაგრამ მარიჩმა გუნდის ხელმძღვანელობას უარი შეუთვალა. ალექსმა მიზეზად გასულ სეზონში მიღებული მუხლის ტრავმა დაასახელა.

მძლეოსნობა



# სემენია ტურნირებზე დაუშვეს

## ბოლტს 100 მეტრზე სირბილის უფლება მისცეს

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (IAAF) სამხრეთაფრიკელ მორბენალ **კასტერ სემენიასთან** დაკავშირებით ოფიციალური გადაწყვეტილება გაახმოვანა. სპორტსმენს, რომლის სქესის დასადგენად გენდერული ტესტის ჩატარება გახდა საჭირო, საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლის უფლება მისცეს.

როგორც IAAF-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, ფედერაციის ექიმები ამ გადაწყვეტილებამდე ანალიზების შემოწმების შემდეგ მივიდნენ. გენდერული ტესტის დეტალები არ გახმაურებულა. ამასთან, საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან ეს ორგანიზაცია არანაირ კომენტარს აღარ გააკეთებს კასტერ სემენიასთან დაკავშირებით. ახლა სპორტსმენს სხვა ქალ მძლეოსნებთან ერთად შეუძლია ნებისმიერ ტურნირში მონაწილეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ IAAF-მა სემენია ქალად აღიარა.

კასტერს სქესის გასარკვევად ტესტების ჩატარება მას შემდეგ დაავალდებულეს, რაც ერთი წლის წინ, 800 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ ბევრს ეჭვი შეეპარა იმაში, რომ სემენია მამაკაცი იყო. გაკეთდა გენდერული ტესტი, რომლის შედეგებს სპორტსმენი 11 თვე ელოდა და ამ დროის განმავლობაში აკრძალული ჰქონდა ტურნირებზე გამოსვლა.

■ ■ ■

მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი **უსაინ ბოლტი** პირველად გაირბენს „ბრილიანტის ლიგაზე" 100 მეტრ დისტანციას. ეს კომერციული სერიის მეშვიდე ეტაპზე მოხდება, რომელსაც შვეიცარიის ქალაქი ლოზანა უმასპინძლებს.

თავიდან სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი 200 მეტრზე აპირებდა გამოსვლას, მაგრამ ეტაპამდე რამდენიმე დღით ადრე უსაინმა გადაწყვეტილება შეცვალა და ორჯერ ნაკლები დისტანცია აირჩია, რათა არ გაირთულოს აქილევსის მყესის ტრავმა, რომელიც სულ ახლახან მოირჩინა. ბოლტი მზად არის სარბენ ბილიკზე გასასვლელად, მაგრამ მიუნხენში ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ ამჯერად იამაიკელი მხოლოდ 100 მეტრზე მოსინჯავს ძალებს.

ფორმულა 1 | ბრიტანეთის გრან-პრის წინ

# რედ ბული ჩემპიონობაში დარწმუნებულია

ავსტრიელმა მულტიმილიონერმა, ენერგეტიკული სასმლის - „რედ ბულის" მწარმოებელი კომპანიის მფლობელმა **დიტრიხ მატეშიცმა** განაცხადა, რომ 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონი მისი გუნდის რომელიმე პილოტი გახდება. თუმცა მომავალი ტრიუმფატორის გვარი არ დაუსახელებია.

გაზეთ Salzburger Nachrichten-სთვის მიცემულ ინტერვიუში მატეშიცმა განაცხადა: *„აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ მანქანით და საკუთარი პილოტებით. ერთადერთი, რაც არ მაწყობს - საერთო ჩათვლაში არსებული მდგომარეობაა. ასეთი ბოლიდებითა და პილოტებით ჩემპიონატის ლიდერები უნდა ვიყოთ. ახლა მოგვიწევს ჩამორჩენის გაბათილებაზე ზრუნვა. მჯერა თუ არა, რომ „რედ ბულს" შეუძლია ჩემპიონობის მოპოვება? რა თქმა უნდა, მჯერა. სხვაგვარი განწყობა აბსურდული იქნებოდა. თუ ასეთი პოტენციალის გუნდს გამარჯვება არ შეუძლია, მაშინ რა აზრი აქვს ჩემპიონატში მონაწილეობას?1"*

## მაკლარენი შიდა ომებს გვპირდება

სავარაუდოდ, ბრიტანეთის გრან-პრის ყველაზე მეტი ენთუზიაზმითა და ნერვული განწყობით „მაკლარენი" ხვდება. **მარტინ უიტმარშის** შეგირდებს საშინაო რბოლის მომგებიანი პოზიცია აქვთ - **ლუის ჰემილტონი** და **ჯენსონ ბატონი** ლიდერობენ ჩემპიონატს საერთო ჩათვლაში, გუნდი კი პირველ ადგილზეა კონსტრუქტორთა თასზე. ასეთი მდგომარეობა ბრიტანელ ფანებზეც მოქმედებს - უახლოეს უიკ-ენდზე სილვერსტოუნის ტრიბუნებზე ანშლაგს ელოდებიან.

შეგახსენებთ, რომ „მაკლარენის" ჩემპიონები ბრიტანულ რბოლას სხვადასხვაგვარი მიღწევით ხვდებიან. მაგალითად, ჰემილტონმა 2008 წელს შეძლო აქ გამარჯვება, ბატონის საუკეთესო შედეგი კი 2004 წელს „ჰონდას" მანქანით მოპოვებული მეოთხე ადგილია. შარშან, ბრიტანეთის გრან-პრის წინ ჯენსონს წინა შვიდი ეტაპიდან ექვსი ჰქონდა მოგებული და ლიდერობდა ჩემპიონატს, მაგრამ სილვერსტოუნზე მხოლოდ მეექვსე მივიდა ფინიშთან. აი, ამიტომაც არის ბატონისთვის ღირსების საკითხი კვირას გასამართავი რბოლის მოგება.

*„სილვერსტოუნში პოდიუმზე არასოდეს ავსულვარ და წელს ვაპირებ ამ ნაკლის გამოსწორებას,* - განაცხადა ბატონმა, - *გავიმარჯვე მონაკოში, მსოფლიოს ჩემპიონიც გავხდი, მაგრამ ბრიტანეთის ეტაპზე ჯერ ვერ გავიმარჯვე. ეს სიტუაცია სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს".*

მაგრამ საშინაო ტრასაზე მხოლოდ ბატონი არ გეგმავს გამარჯვებას. *„დარწმუნებული ვარ, ჯენსონს ძალიან უნდა აქ მოგება, მაგრამ ჩემზე მეტად არა. მას ესიზმრება სილვერსტოუნზე გამარჯვება, მაგრამ სინამდვილეში ჯენსონის ოცნება რომ ახდეს, ამისთვის ჩემი დამარცხება მოუწევს* - ამბობს ჰემილტონი. - *მე აქ ერთხელ უკვე გავიმარჯვე და ორი წლის წინანდელი შედეგის გამეორებას ვაპირებ, რადგან სილვერსტოუნზე ისეთი ფანტასტიკური ატმოსფერო სუფევს, რომ აქ გამარჯვებით მიღებული ემოცია არც ერთ სხვა რბოლას არ შეედრება. მოკლედ, მომავალ ეტაპზე მხოლოდ მოგება დამაკმაყოფილებს. თუ ბატონი ჩემზე უკეთ შეასრულებს სამუშაოს, საწინააღმდეგო არაფერი მექნება, მაგრამ მეც იგივეს ვაპირებ. ღია და სამართლიანი ბრძოლა გვექნება და გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო სწრაფად ირბოლებს. იმედი მაქვს, დუბლის შესრულებას შევძლებთ. თუ ეს გამოგვივა, ფანტასტიკური საჩუქარი იქნება ჩვენი გულშემატკივრებისთვის! მაგრამ ვამჯობინებ, ამ დუბლში პირველი ვიყო და არა - მეორე!"*

## პაემანი გულშემატკივრებთან

ასეთი რამ იშვიათად ხდება, ფორმულა 1-ის 60-წლიან ისტორიაში კი ეს პირველი შემთხვევაა. ლონდონის BAFTA-ს თეატრში ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციამ (FOTA) გულშემატკივრებთან შეხვედრა მოაწყო. ფანების რიცხვი ორასს აჭარბებდა. მათ საშუალება ჰქონდათ კითხვები დაესვათ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ჩვეულებრივ ტელეეკრანებზე ხედავენ ხოლმე.

რა თქმა უნდა, შეხვედრას რბოლების უშუალო მონაწილეები არ დასწრებიან, სამაგიეროდ, FOTA-მ ამ შეხვედრაზე „მაკლარენის" ბოსი მარტინ უიტმარში, „ფერარის" პრესატაშე **ლუკა კოლაჯანი,** „ლოტუსის" ბოსი **ტონი ფერნანდესი,** „მერსედესის" სარბოლო ინჟინერი **ჯოკ კლია** და „ფორს ინდიას" ტესტპილოტი **პოლ დი რესტა** მიავლინა.

დაახლოებით საათ-ნახევარი ისინი გულშემატკივრების კითხვებს პასუხობდნენ, იმპროვიზებული პრესკონფერენცია კი ITV-ის ყოფილ კომენტატორსა და ცნობილ ანალიტიკოს **ჯეიმს ალენს** მიჰყავდა. მთავარი თემა იყო - როგორ ვაქციოთ ფორმულა 1 მაყურებლისთვის უფრო საინტერესო სანახაობად. შეხვედრის შემდეგ უიტმარშმა აღიარა, რომ დიდი შთაბეჭდილება მიიღო ფანების მხრიდან გამოჩენილი დაინტერესებით, ფორმულა 1-ის შესახებ მათი განსწავლულობითა და საინტერესო და საქმიანი წინადადებებით. FOTA-ის პრეზიდენტის თქმით, ასეთი შეხვედრები უფრო რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს და დაჰპირდა გულშემატკივრებს, რომ ყველაზე საინტერესო და ორგინალურ იდეებს ასოციაციის სხდომებზე განიხილავენ. თუმცა უიტმარშმა იქვე დაამატა - რომელიმე იდეის ცხოვრებაში გატარება სწრაფად ვერ მოხდება.

## ალონსო და ჰემილტონი აღარ იჩხუბებენ

მსოფლიოს ორ ყოფილ ჩემპიონს - ესპანელ **ფერნანდო ალონსოსა** და ბრიტანელ ლუის ჰემილტონს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა, რომელიც ჯერ კიდევ 2007 წლიდან იღებს სათავეს - როცა ეს პილოტები „მაკლარენში" ერთად გამოდიოდნენ. პარტნიორობა, რომლისგანაც ძალიან ბევრს ელოდნენ, დადგენილ ვადაზე გაცილებით ადრე დასრულდა. ალონსო ვერ შეეგუა ბრიტანულ გუნდში ჰემილტონის ფავორიტობას და სამწლიანი კონტრაქტი ერთი სეზონის შემდეგ გაწყვიტა. მას შემდეგ ამ ორ პილოტს შორის ღია საბრძოლო მოქმედებები აღარ ყოფილა, მაგრამ ფერნანდო და ლუისი ხელიდან არ უშვებენ ერთმანეთის განერვიულების შემთხვევას.

ევროპის გრან-პრის შემდეგ ალონსომ, რომელიც იშვიათად ავლენს თავის სამხრეთულ ტემპერამენტს, დაივიწყა ჩვეული თავშეკავებულობა და ჰემილტონზე მიიტანა იერიში - მისი თქმით, „მაკლარენი" და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია რბოლის შედეგების მანიპულირებით იყვნენ დაკავებული. შეგახსენებთ, რომ ესპანელის აშკარა განრისხება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვალენსიაში გამართული რბოლის სტიუარდებმა დააგვიანეს ჰემილტონისთვის საჯარიმო სანქციის გამოტანა მას შემდეგ, რაც ბრიტანელმა პეისკარს გაუსწრო. ჰემილტონს პიტლეინზე საჯარიმო შესვლა მაშინ დაუწესეს, ეს სასჯელი რომ აღარ იმოქმედებდა რბოლაში ლუისის პოზიციაზე. მოკლედ, დასჯა წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ალონსო კი, რომელსაც წესი არ დაურღვევია და პეისკარის გამოსვლის მომენტში მხოლოდ რამდენიმე მეტრით ჩამორჩებოდა ლუისის „მაკლარენს", საბოლოოდ მერვე ადგილზე გავიდა, არადა, მინიმუმ პოდიუმზე ასვლის შანსი გააჩნდა.

ვალენსიას რბოლის შემდეგ ჰემილტონმა საკმაოდ გესლიანად ურჩია ესპანელს, რომ მან საკუთარი პილოტაჟის სტილს მიაქციოს ყურადღება. *„შემთხვევით ხომ არ გახსოვთ, ბოლო წრეზე ვის გაასწრო ბუემიმ „ტორო როსოთი"?* - ირონიულად იკითხა ბრიტანელმა.

მაგრამ მოსალოდნელი სკანდალი არ აგორდა. ორივე „დუელანტმა" ჩათვალა, რომ უმჯობესი იქნებოდა ძალების დაზოგვა და ნერვების მოთოკვა. *„ვალენსიას შემდეგ კონტაქტი გვქონდა,* - განაცხადა ჰემილტონმა „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *მე მაქვს ფერნანდოს მობილური ტელეფონის ნომერი, მას - ჩემი. ერთმანეთს რამდენიმე sms გავუგზავნეთ და ურთიერთობა მოვაგვარეთ. ორივენი პილოტები ვართ და კარგად გვესმის, ხანდახან რა რთულია თავის შეკავება. ამასთან, მიმდინარე სეზონი ორივესთვის ძალიან დაძაბულად მიმდინარეობს, ნერვები უკიდურესად არის დაჭიმული, თანაც არნახულ პრესინგს ვგრძნობთ და ამიტომაც ყოველთვის ვერ ვაკონტროლებთ საკუთარ გამონათქვამებს. სხვათა შორის, ამ სეზონში მეც მქონდა ჩავარდნა ავსტრალიის გრან-პრიზე".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი — ტურ დე ფრანსი 2010



# დავარდნილების ტური

ტურ დე ფრანსის მეოთხე ეტაპი ნორვეგიელი **ტორ ჰუშოვდის** გამარჯვებით დასრულდა, შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ** კი ისევ დაიბრუნა ლიდერის ყვითელი მაისურა.

არც ამ რბოლამ ჩაიარა ნაქცევებისა და ტრავმების გარეშე. რაც მთავარია, ფრანგულ ველომარათონს ორი მრბოლელი გამოეთიშა, რომლებსაც შეეძლოთ გენერალურ კლაფისიკაციაში მაღალ ადგილებზე პრეტენზიის გამოცხადება. „გარმინის" ამერიკელმა წევრმა **კრისტიან ვანდეველდემ** ადრე ვერ შეძლო ჯიროს დასრულება, ახლა კი ტურიდანაც გავარდა. თავისი ერთ-ერთი ლიდერი დაკარგა „რაბობანკმა", ეს გახლავთ **რობერტ ჰესინკი**, რომლის გარეშეც რუსი **დენის მენშოვი** მთებში, ალბათ, ბევრს ვერაფერს გახდება.

მეოთხე ეტაპი ექვსი მრბოლელის გაქცევით დაიწყო. ინიციატორად ფრანგი **პიერ როლანი** მოგვევლინა, რომელიც წინადღეს თანამემამულე **სილვენ შავანელის** მაგალითით იყო აღფრთოვანებული. თუმცა გაქცეულებმა შორს წასვლა ვერ შეძლეს - როგორც კი ძირითად ჯგუფთან უპირატესობამ ოთხი წუთი შეადგინა, პელოტონი გააქტიურდა. წინ „ქუიქსტეპის" მრბოლელები იყვნენ, რომლებიც შავანელის ყვითელ მაისურას იცავდნენ.

ტურის მონაწილეებს მეოთხე ეტაპზე „პარიზი-რუბეს" კლასიკური ერთდღიანი რბოლის მსგავსად ქვაფენილიანი მონაკვეთის გავლა უწევდათ. თუმცა სანამ ამ ადგილს მიაღწევდნენ, ტრასაზე პირველი მასობრივი წაქცევა მოხდა, რომლის გამოც დაახლოებით 30 მრბოლელი დაზარალდა, მათ შორის ცნობილი **დამიანო კუნეგო**.

ლიდერთა ჯგუფმა კარგა ხანი ერთად იარა, მაგრამ თანდათან დაიშალა და წინ მარტო სვლა კანადელმა **რაიდერ ჰეშედალმა** განაგრძო. პელოტონში კი კანჩელარა აქტიურობდა - თავისი მოქმედებებით ის ძირითად ჯგუფს შლიდა და თან წინ მიათრევდა თავისი გუნდის კაპიტან **ანდი შლეკს**. „საქსობანკის" ტაქტიკამ ბრწყინვალედ იმუშავა, მაგრამ ერთი სამწუხარო ამბავი მაინც ვერ აიცილა თავიდან - ანდი შლეკი დაეცა და უმძიმესი ტრავმა მიიღო. შესაძლოა, მან შეძლოს რბოლის გაგრძელება, მაგრამ მაღალ მიზნებზე პრეტენზია აღარ ექნება.

კანჩელარამ ბოლომდე არ გაზარდა ტემპი და ამით თავის ლიდერზე იზრუნა, თუმცა ის მაინც მოახერხა, რომ ჰეშედალის მდევართა რიცხვი ხუთამდე შეამცირა. ამ ჯგუფში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად ჰოშოვდი და „ბიემსის" ლიდერი **კეიდელ ევანსი** მიიჩნეოდნენ. უკან არანაკლებ დრამატული ბრძოლა იყო გუნდების ლიდერებსა და მათ საუკეთესო გრეგარებს შორის.

თავიდან **ლენს არმსტრონგმა** შეძლო ძირითადი ჯგუფის გახლეჩა და უკან ჩამოიტოვა კონტადორი და სხვა ფავორიტები. ამის შემდეგ ტურის მოქმედმა ჩემპიონმა ტემპს მოუმატა და ლენსის დაწევას შეეცადა. როცა ესპანელი ამერიკელს წამოეწია, სწორედ ამ დროს ტურის შვიდგზის ჩემპიონს საბურავი გაუსკდა. ლენსისთვის საუბედუროდ, ახლოს ტექნიკური ჯგუფი არ აღმოჩნდა და ამერიკელმა ამის გამო წუთი დაკარგა. არმსტრონგმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო გრეგარის - **იაროსლავ პოპოვიჩის** დახმარებით სცადა მთავარ კონკურენტთან მიახლოება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. კონტადორმა არ დაუცადა არმსტრონგს და **ალექსანდრ ვინოკუროვის** დახმარებით კანჩელარას ჯგუფს გამოედევნა. „ასტანას" ლიდერებმა შეძლეს ჩამორჩენის შემცირება, მაგრამ ბოლო სიტყვა რბოლაში მაინც „საქსობანკმა" თქვა.

მათ მეტოქეებს თითქმის წუთი მოუგეს, რისი წყალობითაც კანჩელარამ დაიბრუნა ლიდერის ყვითელი მაისურა, ანდი შლეკმა - რბოლის ფავორიტის სტატუსი. კონტადორს კი საბურავი გაუსკდა და ამის გამო რამდენიმე წამი დაკარგა. რაც შეეხება ეტაპის გამარჯვებულს, ჰუშოვდს ფინიშზე კონკურენტი არ ჰყოლია.

**III ეტაპი**

1. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, Cervelo TestTeam) - 4.49,38; 2. **ჯერეინტ ტომასი** (ბრიტ, Team Sky) - იგივე დრო; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - იგივე დრო; 4. **რაიდერ ჰეშედალი** (კან, Garmin) - იგივე დრო; 5. **ანდი შლეკი** (შვეიც, Team SaxoBank) - იგივე დრო; 6. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, SaxoBank) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, SaxoBank) - 14.54,00; 2. **ჯერეინტ ტომასი** (ბრიტ, Team Sky) - +0,23; 3. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,39; 4. **რაიდერ ჰეშედალი** (კან, Garmin) - +0,46; 5. **სილვენ შავანელი** (საფ, Quick Step) - +1,01; 6. **ანდი შლეკი** (შვეიც, Team SaxoBank) - +1,09; 7. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, Cervelo TestTeam) - +1,19; 8. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +1,31; 9. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - +1,40... 18. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +2,30... 48. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +3:19... 49. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +3:20...

დოპინგი

# WADA და ფარმაცევტები გაერთიანდნენ

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA) და ფარმაცევტული კომპანიების ჯგუფმა სპორტში დოპინგთან კოორდინირებული ბრძოლის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი - იტყობინება სააგენტო „როიტერი".

კონტრაქტი ლოზანაში გაფორმდა. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ WADA-სთან ფარმაცევტული კომპანიების თანამშრომლობა აბსოლუტურად ნებაყოფლობითია.

მხარეების მიერ გაფორმებულ კონტრაქტში წერია, რომ ფარმაცევტული კომპანიები შეატყობინებენ ანტისადოპინგო სააგენტოს იმ ახალი პრეპარატების შესახებ, რომელიც ამაღლებს სპორტსმენების ამტანობას და აუმჯობესებს მათ სხვა ფიზიკურ თვისებებს. გარდა ამისა, კომპანიებმა, რომლებიც სამკურნალო პრეპარატებს ამზადებენ, დამოუკიდებლად უნდა მოახდინონ დოპინგის ეფექტზე ახალი წამლების ტესტირება.

WADA-ს არაერთხელ მოუწოდებია სხვადასხვა ორგანიზაციისთვის დოპინგის გამოყენებისა და გავრცელების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისკენ. ერთ-ერთი სპორტული ორგანიზაცია, რომელმაც მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოსთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა, ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია გახლავთ.

კრივი

# თარიღი ისევ შეიცვალა

საბოლოოდ დაზუსტდა სუპერმძიმე წონაში უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუს პრეტენდენტ **ალექსანდრ პოვეტკინს** შორის საჩემპიონო ბრძოლის თარილი. როგორც ადრე ვწერდით, მოკრივეები IBF-ის ვერსიით 18 სექტემბერს ფრანკფურტში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ეს საინტერესო ჩხუბი ერთი კვირით ადრე - 11 სექტემბერს ჩატარდება.

როგორც რუსი მოკრივე ამბობს, თარილის გადატანა უკრაინელი მოკრივის პრომოუტერული კომპანიის - K2-ის მოთხოვნით მოხდა. „ჩემთვის ამ თარილის არჩევა ცოტათი მოულოდნელი გახდა, რადგან ყველამ ვიცით, რა მოხდა ამ დღეს ცხრა წლის წინ", - პოვეტკინმა ჟურნალისტს 2001 წელს ნიუიორკში მომხდარი ტერორისტული აქტი გაახსენა.

ბრძოლის ჩატარების ადგილი არ შეცვლილა. შეხვედრას უმასპინძლებს ფრანკფურტის „აინტრახტის" საფეხბურთო სტადიონი - „კომერცბანკ-არენა", რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს.




ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **I საკ. ეტაპი. II მატჩი** | |
| რუდარი-ტრე ფიორი | 4:1 (3:0) |
| **ნორვეგიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ტრონსბერგი-ფოლო | 0:2 |
| ფრედრიკსტადი-სტარტი | 0:1 |
| ჰიონეფოსი-ოდ გრენლანდი | 1:5 |
| სანდეფიორდი-რუსენბორგი | 1:4 |
| სიოგნდალი-ლოვ ჰამი | 3:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ჰაუგესუნდი | 3:0 |
| ტრომსიო-რანჰეიმი | 0:2 |
| ვიკინგი-კონგსვინგერი | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| **სუპერთასი** | |
| დებრეცენი-ვიდეოტონი | 1:0 |
| **ლატვია** | |
| იეგლავა-ოლიმპსი | 1:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ნიუპორტი** | |
| ფიში-დევარმანი | 6:2, 6:0 |
| სოედა-დაბული | 5:7, 2:6 |
| კუერი-ბრაუნი | 4:6, 3:6 |
| რამი-კლაასენი | 7:5, 1:6, 6:7 |
| ხირალდო-ბლუმფილდი | 3:6, 6:7 |
| ო. როხუსი-ბუბკა | 6:3, 6:3 |
| მაუ-დანჩევიჩი | 6:7, 3:6 |
| ჰარისონი-კუდლა | 7:5, 7:6 |
| **WTA. ბასტადი** | |
| რუსი-ვრლიჩი | 5:7, 7:5, 4:6 |
| საფაროვა-შპრემი | 2:6, 7:5, 6:3 |
| პარა სანტონხა-ლაგოსტერა | 6:4, 6:3 |
| დულკო-მალეკი | 6:2, 1:6, 7:6 |
| პენეტა-სტეფენსი | 6:1, 6:1 |
| გრონეფელდი-კრეიბასი | 6:3, 0:6, 4:6 |
| სტრიუკოვა-ამანმურადოვა | 3:6, 6:4, 6:0 |
| რეზაი-ვორაკოვა | 6:4, 6:2 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| პენგი-სევასტოვა | 1:6, 1:6 |
| ჰერცოგი-კასტანიო | 4:6, 6:4, 6:4 |
| კლეიბანოვა-შნიდერი | 4:6, 3:6 |
| დულგერუ-ჩაკვეტაძე | შეწყდა |

TV პროგრამა

**8 ივლისი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მონპელიე.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. იუვენტუსი-ბაიერნი.
**12:00** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი.
**13:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლივერპული-ფიორენტინა.
**15:50** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
**17:40** საფეხბურთო პროგრამა.
**18:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
**20:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**20:45** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-რუბინი.
**22:35** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
**00:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.
**02:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ლივერპული.
**04:00** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შტუტგარტი.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** სუპერბაიკი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალი ამბები.
**11:15** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. ბუდაპეშტი. უნგრეთი. მიმოხილვა.
**11:45** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**12:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**13:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:30** ბოულინგი. PBA-ის ტური. აშშ. მიმოხილვა.
**15:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. IV ეტაპი. კამბრე-რეიმსი.
**16:10** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**16:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი. ეპერნე-მონტარჟი (LIVE).
**19:30** ტამესივარი (ნივთების მსხვრევა). მსოფლიოს ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
**20:00** ძალლები. აშშ. ტელეჟურნალი.
**21:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი. ეპერნე-მონტარჟი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:40** ახალი ამბები.
**22:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**01:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**02:00** პრო-რესტლინგი.

ამბები

**კალათბურთი**

## დუჰონი ორლანდოში წავიდა

გამთამაშებელმა **კრის დუჰონმა** და „ორლანდო მეჯიქმა" ოთხწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს. ხელშეკრულების მიხედვით, კალათბურთელი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 15 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

კრის დუჰონი ბოლო ორი სეზონი „ნიუ იორკ ნიქსში" თამაშობდა, ადრე კი ოთხი წელი „ჩიკაგო ბულზის" ღირსებას იცავდა.

## როდრიგესი რეალს დარჩა

მადრიდის „რეალმა" ოფიციალურად წარადგინა ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელი **სერხიო როდრიგესი** - წერს ესპანური გაზეთი „მარკა". როგორც კალათბურთელი მიიჩნევს, ეს ტრანსფერი მის კარიერაში ყველაზე დიდ წარმატებად უნდა გამოცხადდეს.

*„ძალიან კმაყოფილი ვარ. მინდა მადლობა ვუთხრა კლუბის ხელმძღვანელობას ამ ნდობისთვის. იმედი მაქვს, „რეალი" ჩემთან ერთად დიდ გამარჯვებებს მოიპოვებს. მადრიდელებთან კონტრაქტი - დიდი ნაბიჯია ჩემს კარიერაში და ყველაფერს გავაკეთებ ამ შანსის გამოსაყენებლად. თანაც, „სამეფო კლუბის" ზოგიერთ კალათბურთელთან ადრე ერთ კლუბში მითამაშია"*, - ამბობს როდრიგესი.

*„აქვე ისიც უნდა დავამატო, რომ მთავარი მწვრთნელი ეტორე მესინა - ბრწყინვალე სპეციალისტია, რომლისგანაც ბევრს ვისწავლი. ასეთ მწვრთნელთან მუშაობა მთავარი მიზეზია იმისა, თუ რატომ გავაკეთე საბოლოო არჩევანი მადრიდზე"*, - აცხადებს „რეალის" ახალწვეული.

## სპანულისი მტრების ბანაკში

საბერძნეთის ჩემპიონის „პანათინაიკოსის" მცველი **ვასილის სპანულისი** პირეოსის „ოლიმპიაკოსის" მოთამაშე გახდა. ბერძნული პრესის ცნობით, საბერძნეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა 2010 წლის ევროლიგის ვიცე-ჩემპიონთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ჯამში ხელფასის სახით 7.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ჰიუსტონ როკეტსის" ყოფილი მოთამაშით მოსკოვის ცსკა-ც იყო დაინტერესებული, მაგრამ სპანულისმა სამშობლოში დარჩენა ამჯობინა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## მანუტე ბოლის დასაფლავება



## ლეო მესი



## ფილ ჯექსონი vs პატ რაილი



## ბრაზილიური ო'გლობოს რეაქცია არგენტინის ნაგებაზე




## პოლანდია ფინალშია



## დიეგოს საჩუქარი




## 9 ივლისიდან




### რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი

რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური, ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის

## 1966 წელი: მოჰამედ ალის მორიგი გამარჯვება

